გაზეთი დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 29 ოქტომბერი, 2005 წელი.

№251-252 (5284-5285)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

# საქართველოს რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ფასი 50 თეთრი.

◎ სტიქია

## წყალდიდობა გურიასა და იმერეთში



მდინარე ნატანების ადიდების შედეგად კვლავ დაიტბორა ქალაქ ოზურგეთის ცენტრალური ნაწილი. დატბორილია აღმაშენებლის პროსპექტის 50-მდე ოჯახი, დატბორილია აგრარული ბაზარი და ოზურგეთის ცენტრალური მოედნები.

ქალაქის დატბორვა 26 ოქტომბერს ღამით დაწყებულმა ხანგრძლივმა წვიმებმა გამოიწვია.

ამჟამად მიმდინარეობს სათავე-ნაგებობების სარეაბილიტაციო სამუშაოები. გარკვეულწილად, შესაბამისმა სამსახურებმა ეს შეძლეს და წყლის დონე შედარებით დაწეულია. მსხვერპლი არ არის.

ჩოხატაურის რაიონის სოფელ ვანზომლეთში იმყოფება სამაშველო ჯგუფი, რომელიც აღდგენით სამუშაოებს ახორციელებდა. ჯგუფი ჩარჩენილია ადიდებულ მდ. სუფსის მიდამოებში და გამოსვლას ვერ ახერხებს.

ორდღიანმა კოკისპირულმა წვიმებმა იმერეთში მდინარე რიონის, ნასარელას, სულორისა და კაპიტონას ადიდება გამოიწვია.

დატბორილია საცხოვრებელი სახლები, სახნავ-სავარგულები. მოსახლეობა საკუთარი ძალით უმკლავდება მოვარდნილ წყალს. შემთხვევის ადგილზე იმერეთში პრეზიდენტის რწმუნებული აკაკი ბობოხიძე იმყოფება. ჯერჯერობით მოსახლეობის ევაკუაცია არ იგეგმება, მსხვერპლი არ არის, თუმცა ზარალი დიდია.

## ანონსი

### ისმინე, სწავლის მძებნელო!..

ჩვენი გაზეთის რედაქცია, რომელიც ითვალისწინებს უამრავი აბიტურიენტის, მათი მშობლებისა და ახლობლების თხოვნას, მომავალი კვირიდან იწყებს სხვადასხვა საგანში იმ პროგრამების ბეჭდვას, რომელთა მიხედვითაც მოუწევთ მომავალ წელს უმაღლეს სასწავლებელში შესვლის მსურველთ ერთიან ეროვნულ გამოცდაზე გასვლა.

1 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნდება საგამოცდო პროგრამა ქართულ ენასა და ლიტერატურაში.



ამნაირებს, ცხადია, ურჩევნიათ, ოქროს სამკაულები გამოიდნონ ჯართისგან, ვიდრე ფოლადი და მილები...

◎ კვირის თვალსაწიერი

## ბელურები კალოზე

გასულ შვიდდღიურს „მოარული ძეგლების“ კვირა შეიძლება ვუწოდოთ.

მემედ აბაშიძე ცხრა წლის შემდეგ ბათუმის ბულვარიდან თავის სახელობის ქუჩაზე „გადაჯდა“.

დავით IV აღმაშენებელი კი ამ დღეებში დედაქალაქის რესპუბლიკის მოედნიდან დიღმისკენ „გაჭენდება“. მეფე უკვე შეფუთულია და ჩემოდანში დევს.

მოკლედ, დამყაყებული ერთფეროვნება შეტორტმანდა. ვარდი უეკლოდ ვის მოუკრეფიაო და ჩვენი დასავლურად განსწავლულ-დარახტული ხელისუფლებისთვის ყველაფერი, რაც აქამდე გაკეთებულა, უვარგისი და გადასაგდები აღმოჩნდა. თვითმარქვია, საეჭვოდ მომრავლებული „თანამედროვე ხელოვნების ექსპერტები“ გადაჭრით აცხადებენ, ყველა ძეგლი, რომელიც „ევროინტეგრაციას არ შეესაბამება“ , უნდა ავიღოთ, ან, უკეთეს შემთხვევაში, თვალს მოვაფაროთ.

იხ. მე-2 გვ.



## ახალი ფორმის მოკრძალებული ხიბლი

იხ. მე-5 გვ.

## გარიგების შნოც აღარა გვაქვს...

„ნუ იქნები ქურდი, ნუ იქნები მატყუარა, ნუ იქნები უზნეო!“

იხ. მე-3 გვ.

## „მე ალო არ არის, ალოს მამა არის“... ანუ, კოჩკოჩანადან – მტკვრამდე



ჩუღურეთი

იხ. მე-8 გვ.

რას წერდა გაზეთი „დროება“ 1884 წლის 22 მარტის ნომერში და რა ახდა 120 წლის შემდეგ?

იხ. მე-2 გვ.

„მარეგულირებლების“ ინსტიტუტი უნდა დაიხვეწოს

იხ. მე-4 გვ.




## ლოკოკინებსაც კი შესძლებიათ ორგაზმის განცდა?!

იხ. მე-16 გვ.

⊙ კვირის თვალსაწიერი

# ბელურები კალოზე

**პირველი გვერდიდან**

ერთი სიტყვით, ახლა ის დროა, „ქართვლის დედა“ სადმე ავჭალაში გავისტუმროთ, თორემ ზურაბ ჭიაბერაშვილის გენიალური მიგნებისა არ იყოს, ამ შუა ქალაქში ყველას თვალში ეჩხირება თავისი მახვილ-ფალოსითა და საშო-ფიალით, სააკაძე კი საერთოდ გადავადნოთ, მეორე ხომ ისედაც გვაქვს კასპში.

... რომელიღაც ჩვენმა დღევანდელმა დიდმა მოღვაწემ ისიც კი თქვა, ამდენი ცხენი რა ამბავიაო. გეგონება, ცხენებზე იაკობ გოგებაშვილი ან ფიროსმანი ისხდნენ და არა მართლა მხედარი მეფეები! ჰოდა, ჩამოვსვათ გორგასალი ძირს, შენ ხარ ჩემი ბატონი, შევუფრინოთ მხარზე მიმინო, ჩამოვკიდოთ წელზე მდუღარეში ჩახარშული ხოხობი, მივცეთ ხელში კომპასი და თბილისის რუკა და ევროინტეგრაცია გარანტირებული გვექნება!..

ცხრა საუკუნის წინათ დავით აღმაშენებელმა თბილისი თურქთა ურდოებს გამოგლიჯა, ახლა მადლიერი შთამომავლობა ღამეებს უთევს მის ქანდაკებას, მერიის ურდოებმა რომ არ გადაკარგონ ქალაქის ცენტრიდან.

ასეა, მეფევ ბატონო, კარგი ჰქენი, ქვაზე დადე...

ოღონდ, ერთი კია: ანტითანამედროვე ევროინტეგრაციულმა მოძრაობამ აშკარად ანტისახელისუფლებო ელფერი მიიღო. საბრძოლო შეძახილს „ხელები შორს დავით აღმაშენებლისგან“, მსუყე პოლიტიკური სურნელი დაჰკრავს.

თავის მხრივ დედაქალაქის მერი საზოგადოებას „რელიგიურ უვიცობას“(?) და „მკრეხელობას“(?) უკიჟინებს.

ერთი სიტყვით, საკითხი ასე დგას: თუ რესპუბლიკის მოედნიდან დავითის ძეგლის აღებას ეწინააღმდეგები, ესე იგი, კომუნისტური იდეოლოგიისა ხარ, საიდანაც მტრულ ელემენტობამდე ერთი ნაბიჯია; თუ მიიჩნევ, რომ მისი ადგილი იქ არ არის, ეს თვით დავითის, მთელი მისი ნაღვაწის მიმართ პოლიტიკური (ანუ უარყოფითი) დამოკიდებულების აშკარა გამოხატულებაა!

ასეთ რადიკალურ პოლარიზაციაში აშკარად იკარგება ჭეშმარიტება: უბრალოდ, საზოგადოებას სურს ჩართული იყოს ქალაქის ცხოვრებაში, იცოდეს რა ხდება და რა მოხდება, თბილისის ბედ-იღბალი არ წყდებოდეს ერთპიროვნულად, ანუ შეიქმნას ისეთი მოჩვენებითობა მაინც, თითქოს მათაც ვინმე რამედ აგდებს და რამეს ეკითხება, რაც მთავარია, ჩამოყალიბდეს გამოკვეთილი საქალაქო პოლიტიკა — სახელმწიფოს პოლიტიკა დედაქალაქთან მიმართებაში — და ყველაფერი არ წყდებოდეს ერთი კაცის, თუნდაც პრეზიდენტის გემოვნების შესაბამისად.

თურმე, სადღაც, რომელიღაც კაბინეტში ისე დაარტყეს ბეჭედი დავითის ძეგლის გადატანას, კაციშვილი აზრზე არ იყო. ბატონმა გიგი უგულავამ გვამცნო, ამ ძეგლის დადგმის შესახებ რაიმე დოკუმენტაცია მერიაში არ არსებობს, მხოლოდ ჰონორარის გაცემის ცნობააო. ანუ, მაშინ ვიღაცის ერთპიროვნული სურვილით დაიდგაო, თბილისელთათვის არაფერი უკითხავთო.

არადა, ახლა სწორედ იმ გზას იმეორებს ბატონი მერი. აილო და „ოფსაიტში“ დარჩენილ თბილისელებს არც „დავითის“ აღებაზე ჰკითხა რამე და არც იმის შესახებ, თავისუფლების მოედანზე, სადაც ერთ დროს ლენინი იდგა, თურმე უკვე მაისში ზურაბ წერეთლის 30 თუ 33-მეტრიანი „თავისუფლების მონუმენტი“ რომ უნდა დაიდგას. ეს იქნება სვეტი, ცხენზე ამხედრებული წმინდა გიორგით, რომელიც შუბით გველეშაპს გმირავს (როგორც ვხედავთ, ამ საძულველ ცხენს გვერდს მაინც ვერ უვლიან).

წლების შემდეგ თბილისის სხვა მერი მოიკითხავს ამ „თავისუფლების მონუმენტის“ დოკუმენტაციას და ისიც გაოცებული იტყვის, არც კონკურსი, არც ტენდერი, როგორ და რანაირადო. თბილისელები კი მტყუანი იქნებიან, ხვალ დილას თვალს რომ გაახელენ და შიგ 33-მეტრიანი სტელა გაერჭობათ, კიდევ ერთხელ რომ იგრძნონ თავი გაცუცურაკებულად და პატრონი შეუკურთხონ „ვისაც ჯერ არს“?

ახლა „დავითის“ „დაბალ ესთეტიკურ ღირებულებას“ ჩაებღაუჭნენ.

ეგრე რომ მივყვეთ, სად წავალთ!

ყოველი ქანდაკება იმ ეპოქის სარკეა, რომელმაც ის დადგა. ამითაც არის ისინი ფასეული.

ერთი „თანამედროვე ხელოვნების ექსპერტი“ ჭაბუკი მწერალი იკლავს თავს განსაკუთრებით ამ ძეგლის „დაბალ ესთეტურ ღირებულებაზე“. შეიძლება ასეც არის, მაგრამ, ჯერ ერთი, მას თუ არ მოსწონს, სხვას მოსწონს (ისე, ყველას მოსაწონი ქმნილებებიც უხვად აქვს ბატონ მერაბ ბერძენიშვილს, ამიტომ ასე გამიზნულად არ უნდა ვატკინოთ გული დიდ ხელოვანს), მეორეც, ამ ახალგამომცხვარი მწერლის თხზულებებიც ერთობ დაბალი ესთეტიკური ღირებულებისაა, მაგრამ მაინც წერს და ბეჭდავს, და რა ვქნათ ახლა, ავუკრძალოთ თუ მარჯვენა მოვჭრათ?

მაგრამ მთელ ამ ამბავში სხვა რამ უფრო ნიშანდობლივია და ხელისუფლებისგან მისი გათვალისწინებაც უფრო ეგების: საზოგადოების გამოკითხვა ადასტურებს, რომ თბილისელთა 50 პროცენტი უარყოფითად აფასებს სახელმწიფოს პოლიტიკას დედაქალაქთან მიმართებაში. ეს არის დასაფიქრებელი, თორემ მთელი ქალაქი თავიდან ბოლომდეც რომ გადაღებო და მოკირწყლო, მაინც გამოჩნდება ხალხი, ვისაც ეს არ მოეწონება! მთვარია, ეს მოასფალტებული ქუჩები მათხოვრებით არ იყოს სავსე, მოქალაქეები სანაგვეებში არ იქექებოდნენ, შელამაზებული ფასადებით კი უკვე ჩამოქცეული ან ხვალ დასანგრევად განწირული სახლები არ იმალებოდეს...

ჯერაც არ დამცხრალა საგარეო საქმეთა მინისტრ სალომე ზურაბიშვილის თანამდებობიდან გადადგომით გამოწვეული აჟიოტაჟი. ჯერ ერთი, საზოგადოება მისი სახით ახალ გმირს ელის; მეორე, სავარაუდოა, რომ ამ გადადგომას სამი სახელმწიფო მინისტრის — გოგა ხაინდრავას, კახა ბენდუქიძისა და გია ბარამიძის გადადგომაც (გადაყენებაც) მოჰყვეს, როგორც სალომე ზურაბიშვილის გულშემატკივრებისა და მის მიმართ პარლამენტის მიერ გამოჩენილი „უჩვეულო“ სიმტკიცით უკმაყოფილებისა; მესამეც, პარლამენტში მინისტრის გამოძახებას ხალხი უკვე მოლოდინით შეჰყურებს, დააცურებენ თუ არაო.

რა თქმა უნდა, ასეთი მოლოდინი დიდი შეცდომაა: დააცურებენ იმას, ვისი დაცურებაც სანქცირებული იქნება.

თორემ, რაც უნდა თავი გაიგიჟოს ოპოზიციამ, პარლამენტში ხუთშაბათს თავდაცვის მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილის გამოსვლა ზერელე და დილეტანტური იყოო, ან, დაბარებული შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი რატომ არ გამოცხადდაო, ტყუილად ექნება ვინმეს მათი „ადგილმონაცვლეობის“ იმედი.

ისევე, როგორც, რამდენიც უნდა იმარჩიელოს ხალხმა, ბოლოს და ბოლოს, გაგვაგებინეთ მაინც ვინ ისროლა 20 სექტემბერს ნაღმები ცხინვალშიო, ან რაგინდ შუბლშეკვრით მოითხოვოს აშშ სახელმწიფო დეპარტამენტმა, ამის ჩამდენი მკაცრად დასაჯეთო, ყურებზე ხახვსაც ვერავის დააჭრიან.

ერთი უბრალო მიზეზის გამო: თავდაცვის მინისტრმა ისე მტკიცედ განაცხადა, თუ მსროლელი ჩვენი მხრიდან (ანუ თავდაცვის სამინისტროს ძალებიდან) აღმოჩნდა, მაშინვე თანამდებობიდან გადავდგებიო, რომ ენა არ მოგიტრიალდება რამის სათქმელად (მართლა რომ გადადგეს, ხომ დავიღუპეთ!). ისევ ოსურ მხარეში უნდა ვეძიოთ მსროლელი, კოკოითის ნამამაძაღლარად უნდა ვიგუმანოთ.

აქ, რა თქმა უნდა, იმას აღარ გავიხსენებ, მინისტრი და შტაბის უფროსი როგორ იდგნენ გზაზე და ცხინვალიდან როკისკენ მიმავალ მანქანებს „პუსტა-პუსტა“ ინსპექტორებივით ჩხრეკდნენ, ან — ამ ჩხრეკამ და გოგა ხაინდრავას თქმისა არ იყოს, ვიღაც მტრების თუ დეგენერატების მიერ იმ საიდუმლო გასროლებმა, კარგა ხნით რომ შეაფერხა კონფლიქტის მოლაპარაკების პროცესი.

არც იმას, საგანგებოდ შერჩეულმა, ასე ვთქვათ, ჯილდოს სახით აშშ-ში სასწავლებლად გაგზავნილმა, საქართველოს პრეზიდენტის მიერ ჩვენი დღევანდელობის გმირად შერაცხულმა ოფიცერმა ქალმა ლია კაპანაძემ სამშობლო და მცირეწლოვანი შვილი ფეხებზე რომ დაიკიდა და ამერიკაში დარჩა.

როცა ჰკითხეს, ვინ შეურჩია პრეზიდენტს ეს ქალბატონი თანამედროვეობის შუქურვარსკვლავად გამოსაცხადებლადო, ირაკლი ოქრუაშვილმა ჩვეული, მონა-ლიზასებური იდუმალი ღიმილით უპასუხა, თვითონ პრეზიდენტს ჰკითხეთო.

ვკითხავდით, მაგრამ ბატონი პრეზიდენტის მოხელთება იოლი არ არის. თუ თვითმფრინავში არ ზის, მაშინ თვითონ ირაკლი ოქრუაშვილთან ერთად ოთხკილომეტრიან კროსს აკეთებს კრწანისის პოლიგონზე, დილაუთენია განგაშით წამოყრილი ჯარისკაცების მწკრივში...

ისე რომ, ესეც უპასუხო კითხვათა უსასრულო სიას უნდა მივამატოთ.

კითხვები კი ისე უხვად გვეხვევიან, როგორც ბელურები კალოს. ოღონდ, ისევე იოლად არ ქრებიან, როგორც მარცვალზე გაფაციცებული ის ბელურები ხელის აქნევაზე...

**ალეკო ასლანიშვილი**

⊙ კონტროლის პალატა

## ჩაჭრილებსაც მიეცემათ ძველ ადგილებზე დაბრუნების შანსი

**საქართველოს კონტროლის პალატის რეფორმის შემადგენელი ნაწილია პროფესიონალი კადრებით მისი დაკომპლექტება. ამ მიზნით რამდენიმე თვის წინათ ორ ეტაპად გაიმართა კონტროლის პალატის თანამშრომელთა ატესტაცია. 300-მდე კონტროლიორმა წარმატებით გაიარა შემოწმება და მუშაობა განაგრძო კონტროლის პალატაში. მაგრამ მოხელეთა ატესტაცია-კონკურსის შედეგად 57 ვაკანტური ადგილი გამოთავისუფლდა.**

ამ 57 ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გუშინ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსში ტესტირება გაიმართა.

— კონკურსში მონაწილეობის სურვილი 358-მა პრეტენდენტმა გამოთქვა, — მითხრა კონტროლის პალატის თავმჯდომარის მოადგილემ იაკობ მესხიამ, — კონკურსი, რომელიც ორ ეტაპად გაიმართება, საკმაოდ მაღალია. 1 ადგილზე დაახლოებით 8 კაცი მოდის, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტების დეპარტამენტში 1 ადგილზე 12 კონკურსანტი იბრძვის.

მეორე ეტაპზე გასასვლელად, საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულების თანახმად, საჭიროა მინიმუმ 75 ქულის დაგროვება. მაგრამ ვინაიდან კონკურსი ძალიან მაღალია, ქულათა ზღვრული მაჩვენებელიც უფრო მაღალი იქნება. კონკურსის მეორე ეტაპი გულისხმობს გასაუბრებას უცხო ენების, კომპიუტერის ცოდნაში, აგრეთვე, შემოწმდება კონკურსანტის პროფესიონალიზმი და გამოცდილება.

ტესტირებას ესწრებიან უცხოელი დამკვირვებლები, სხვადასხვა საელჩოსა თუ გაერთიანების წარმომადგენლები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები, პარლამენტარები.

„ვფიქრობ, ეს კონკურსი წარმატებულად ჩაივლის და კონტროლის პალატას 57 მოხელის სახით ახალი სისხლი გადაესხმევა“, — ამბობს იაკობ მესხია, რომელიც იმავდროულად საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარეცაა.

მისი თქმით, კონკურსი ობიექტურად მიმდინარეობს, ყველანაირი პირობაა შექმნილი, რათა მხოლოდ ღირსეულმა გაიმარჯვოს.

„ტესტებზე მთელი ჩვენი ჯგუფი საგულდაგულოდ მუშაობდა, ღამეებს ვათენებდით. დარწმუნებით მინდა გითხრათ, რომ ტესტებს არ გაუჟონიათ. აბსოლუტურად ყველაფერი კანონიერად მიმდინარეობს. კანონის თანახმად, ტესტირებაში მონაწილეობენ ატესტაცია-კონკურსში ჩაჭრილი კონტროლის პალატის თანამშრომლებიც. მათ აქვთ შანსი ძველ სამუშაოს დაუბრუნდნენ...“

ასე რომ, ტესტირების შედეგად გამარჯვებულებს წინ ელით მეორე ეტაპი — გასაუბრება. ვნახოთ, ვინ დაიკავებს ვაკანტურ თანამდებობებს.

**თამარ შაიშმელაშვილი**

⊙ გზად ევროპისკენ

## ასეთ შუამავალს რა სჯობს!

**ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს ვიტაუტას ლანდსბერგისი ერთ-ერთ ოპოზიციურ გაერთიანებას ხელმძღვანელობდა. ამ მონსტრის დაშლის შემდეგ ლიტვის პირველი პრეზიდენტი გახდა. დღეს კი, უკვე გამოცდილი პოლიტიკოსი ევროპარლამენტის წევრია და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან, კერძოდ კი, საქრთველოსთან მომუშავე ჯგუფის ხელმძღვანელის მოადგილეა.**

გუშინ ვიტაუტას ლანდსბერგისმა საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარესთან კოტე გაბაშვილთან ერთად პრესკონფერენცია გამართა. ისაუბრეს საქართველოს ევროპაში ინტეგრაციის საკითხებზე. ქართული მხარე დაინტერესებულია, რომ სრულად ფლობდეს ინფორმაციას ევროპარლამენტში მიმდინარე პროცესებზე. ამიტომ მხარეებს შორის სისტემატიურად მოხდება ინფორმაციის გაცვლა. ამ ეტაპზე ლანდსბერგისი მიიჩნევს, რომ საქართველოს ხელისუფლება ადგილობრივ სიტუაციას კარგად აკონტროლებს და რაიმე განსაკუთრებული რჩევები ქართული მხარისთვის არ მიუცია. ვიზიტისას მისთვის ცნობილი გახდა, რომ ჩვენს ქვეყანას გამსახურდიას პრეზიდენტობის დროს, მიღებული აქვს რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის დადგენილება, სავარაუდოდ, ლანდსბერგისი ამ დადგენილებას ევროპარლამენტს გააცნობს.

მოგეხსენებათ ლიტვა, ლატვია და ესტონეთი არიან ევროკავშირისა და ნატოს წევრი ქვეყნები. ამ სამივე ქვეყნის პარლამენტებსა და საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს შორის არსებობს ხელშეკრულება ურთიერთთანამშრომლობის შესახებ. გაბაშვილის თქმით, ისინი ყველანაირად ხელს გვიწყობენ, რომ საქართველომ ევროკავშირისკენ მიმავალი გზა რაც შეიძლება სწრაფად და სწორად გაიაროს, არ გავიმეოროთ ის შეცდომები, რომელიც ამ ქვეყნებმა უკვე დაუშვეს. რახან ლანდსბერგისი არის საქართველოს მხარდამჭერი და ლობისტი ევროპარლამენტში, ამიტომ იგი ამ კუთხით მხარში ამოგვიდგება.

ვიტაუტას ლანდსბერგისი ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში უკვე შეხვდა პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს, საგარეო ურთიერთობთა კომიტეტს, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტს, დღეს კი საგარეო საქმეთა მინისტრს გელა ბეჟუაშვილს და ევროინტეგრაციის დარგში სახელმწიფო მინისტრს გიორგი ბარამიძეს ესტუმრება.

ასეთ შუამავალს რა სჯობია!

**ლელა ცქიტიშვილი**

⊙ XIX საუკუნის „დროებიდან“

## ახდენილი სურვილი

**ახლახან აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს მსოფლიო მნიშვნელობის დოკუმენტს — ბაქო-ჯეიჰანის ნავთობის მაგისტრალის ოფიციალურ გახსნას. საკმაოდ დიდი დიამეტრის მილებში უკვე მიედინება ნავთობი.**

საინტერესოა, რომ ბაქოდან ნავთობსადენის მაგისტრალის შავი ზღვის პირამდე, კერძოდ, სოხუმამდე მოწყობას XIX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისშიც ფიქრობდნენ.

აი, რას იუწყებოდა თბილისში გამომავალი გაზეთი „დროება“ 1884 წლის 22 მარტს. (გთავაზობთ მცირეოდენი შემოკლებით): **„.... წაიკითხავდით ჩვენს გაზეთში, რომ ამერიკის მოქალაქე ტვედლი აპირობს ბაქოს ნავთის მილებით გაყვანას... ბაქოდან პეტროვსკამდე, იქიდან.... მინდორზედ გაატაროს. მასუკან კავკასიის მთის ქედში ამოაძვრინოს და სოხუმთან ამოაყოფინოს თავი. შეეძლო უფრო მოკლე გზით გაეტარებინა, ჩვენის რკინიგზის ლიანდაგი რომ ამოერჩია და მისთვის გვერდზედ აეკრა 800 ვერსამდე (1 კილომეტრი 0.937 ვერსია — ვ.ც.) იმის პროექტით კი მილებში 2000 ვერსამდე უნდა გაიაროს.**

**ამერიკაში დიდი ხანია, რაც ამ ბუნების ნაწარმოებს ყოველ მხრიდან ეზიდებიან და ამიტომ ფასმა მეტად აიწია. ადგილობრივ ფუთი 20 კაპეიკზე მეტი ღირს და ბაქოში კი 2 კაპეიკამდისაც არ ადის“.**

**ვახტანგ ცოტნიაშვილი**

⊙ შეხვედრა

## საშემოსავლო ნაწილი - 2,5 მილიარდი ლარი

**გუშინ საქართველოს ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილე ლაშა გოცირიძე ნიდერლანდის სამეფოს დელეგაციის წევრებს შეხვდა.**

შეხვედრაზე მხარეებმა ისაუბრეს საქართველოში „სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური განვითარების“ პროგრამის მიმდინარეობაზე.

ლაშა გოცირიძის განცხადებით, საქართველოს მთავრობის მიერ საბიუჯეტო შემოსავლების ზრდამ და საგადასახადო ადმინისტრირების გაუმჯობესებამ, ახალი საგადასახადო კოდექსის ამოქმედებამ ხელი შეუწყო კონტრაბანდული საქონლის ლეგალიზაციას, სოციალური ვალდებულებების გასტუმრებას, კორუფციის შემცირებას საბაჟო და საგადასახადო სფეროებში.

მისი თქმით, ეს საშუალებს იძლევა, რომ 2006 წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი 2,5 მილიარდ ლარამდე გაიზარდოს.

◉ პუბლიცისტური ნამცვრევი

# გარიგების შნოც აღარა გვაქვს...

## „ნუ იქნები ქურდი, ნუ იქნები მატყუარა, ნუ იქნები უზნეო!“

**რუსთაველი მეტალურგების პროტესტის მიუხედავად (ძველი და ახალი თაობის მეტალურგებს და მათი ოჯახის წევრებს ვგულისხმობ), როგორც იქნა, ქართული მრეწველობის ეს ერთ-ერთი გიგანტი, ამას წინათ 20 მილიონ 500 ათას დოლარად გაიყიდა.**

ავშენდით! ბარე ორი კორუმპირებული ჩინოვნიკისთვის ეს სოლიდური თანხაა.

როგორც ერთი გულშეწუხებული ამ ამბის შემსწრე, საკუთარი საქმის და ოჯახის ჭეშმარიტი ჭირისუფალი რუსთაველი მეფოლადე გოდებდა, 20 მილიონი დოლარი მხოლოდ ის მიწისქვეშა კომუნიკაციები ღირს, რაც ამ უზარმაზარ საწარმოს წლების განმავლობაში ემსახურებოდა და დღესაც სრულ წესრიგში არისო!

მეტალურგიული კომბინატის გაძარცვა და ჯართად გატანა „ზევიდან“ დაიწყეს, მიწაში ჩაძრომას კი მავანნი, როგორც რკოთი გამძღარი ღორი, აწი აპირებენ.

ცნობილი ფაქტია, ჩასუქებული ღორი რკოთი რომ დანაყრდება, მუხას დინგით ძირს უთხრის და ნედლ ფესვებს დესერტად აყოლებს.

სასაცილოა ქართველთა მოქმედება, სახელმწიფო ქონების ნიორწყლად გასხვისების უნარი.

ქართული ეკონომიკის მამების მცონარა, ულიმღამო ნაბიჯები ფაქტია. ტოტალური პრივატიზების ნიშნით ვყიდით ყველაფერს, მაგრამ... ვაი ამ გაყიდვას! გარიგების შნოც აღარა გვაქვს. ოღონდაც საბაზრო ეკონომიკას „ავუწყოთ ნაბიჯი“ და სახელმწიფოს, ხალხის, ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ინტერესები წყალსაც წაუღია.

განა შეიძლებოდა რუსთავის მეტალურგიული კომბინატის ასე ჩალის ფასად გაყიდვა? ეს ხომ მცირე დოზით, მაგრამ მაინც, მსოფლიო მასშტაბის კორუფციული გარიგებაა?

არ გჯერათ?

რვა წლის წინათ პერუს დედაქალაქში, ლიმა რომ ჰქვია სახელად, მსოფლიოს კორუფციის პრობლემებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა, რომელშიც ასამდე ქვეყნის ეკონომიკის მინისტრები და ბობოლა ბიზნესმენები მონაწილეობდნენ. კონფერენციას საოცარი დევიზი ჰქონდა: **„ნუ იქნები ქურდი, ნუ იქნები მატყუარა, ნუ იქნები უზნეო!..“** ამ დევიზის ქვეტექსტი ადვილად იკითხება, — ზნეობა, სიმართლის ქმნა, „არა იპარო“, მარტოოდენ რელიგიის და მორალის კატეგორია არ არის, ის საბაზრო ეკონომიკის, ნამუსიანი ბიზნესის ორმხრივად სასარგებლო ფუნქციონირების აუცილებელი პირობაც გახლავთ. თუ ჩვენ კორუფციას პოლიტიკურ ინსტიტუტად გადავაქცევთ, მაშინ ახალი დემოკრატიული სახელმწიფოს ეკონომიკის კრახი გარდაუვალი იქნება...



ამნაირებს, ცხადია, ურჩევნიათ, ოქროს სამკაულები გამოიდნონ ჯართისგან, ვიდრე ფოლადი და მილები...

როგორც ერთი სლავური ზღაპარი მოგვითხრობს, „ჭკვიანი დედაღორი“ კოლეგას რომ წაუღრუტუნებს — ფესვებს ნუ უთხრი, თორემ მუხა გახმებაო, პასუხად მიიღებს: მუხა რაში მენაღვლება, მის ძირში იმდენი რკო ყრია, დილამდე მეყოფაო.

ეს 20 მილიონ 500 ათასი დოლარი, როგორც ბოლო ხანს ხდება ჩვენს სინდის-ნამუსიანად „პრიხვატიზებულ“ საქართველოში, ერთ წელიწადში გაქრება და მერე მტყუანმართლის გარჩევას სადღაც, ჰონკონგში თუ ფიჯის კუნძულებზე, ეგრეთ წოდებულ ოფშორულ ზონაში რეგისტრირებული ინვესტორის თაღლითობას დავაბრალებთ.

**რუსთავის მეტალურგიულ კომბინატს თავისუფლად შეეძლო წელიწადში მილიონ ტონამდე საუკეთესო ხარისხის ფოლადის გამოდნობა... უკრაინის მეტალურგიის გიგანტს — „კრივოროგსტალს“ — 7 მილიონ ტონამდე. შარშანწინ ლეონიდ კუჩმას ხელისუფლებამ „კრივოროგსტალი“ 800 მილიონ დოლარად გაყიდა. როგორც ამ დღეებში გახდა ცნობილი, ვიქტორ იუშჩენკოს ხელისუფლებამ გადაამოწმა ეს გარიგება და... ჩაშალა კიდეც. ახალმა, ინდოელმა ინვესტორმა 4 მილიარდ 750 მილიონი დოლარი გაიღო „კრივოროგსტალის“ ხელში ჩასაგდებად.**

შეადარეთ რუსთავისა და კრივოიროგის მასშტაბები.

ასეთი იყო ლიმის კონფერენციაზე ერთხმად მიღებული საერთაშორისო დეკლარაციის დედააზრიც.

საქართველოს ბოლო ათწლეულის ეკონომიკურ ისტორიას თუ გავაანალიზებთ, ადვილად მივხვდებით, როგორ ჩამოყალიბდა კორუფცია ჩვენში სახელმწიფო-პოლიტიკურ ინსტიტუტად.

**ამ ინსტიტუტის ქართული ნაირსახეობის განმტკიცებას (დაშლის სანაცვლოდ!) ხელს უწყობს წინდაუხედავი ტოტალური პრივატიზაცია.**

**და რახან კორუფციული ინსტიტუტის არსებობა რუსთავის მეტალურგიული კომბინატის ინვესტირების პროცესშიც აშკარად გამოვლინდა, ჩვენი ეკონომიკის კრახი მართლაც გარდაუვალია.**

**ნამეტნავად მძიმე, საგანგაშო დასკვნაა. რას ვიზამთ. კიდევ ერთხელ მოტყუებულმა რუსთაველმა მეტალურგებმა ხომ უნდა იცოდნენ, რომ ისინი მარტონი არ არიან...**

**სპარტაკ ქოზულია**

◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# დაშნაკები „რელსების ომის“ გაჩაღებას ცდილობენ

**ჯავახეთი, საქართველოს რეგიონი, რომელშიც კომპაქტურად ცხოვრობენ სომხები, უახლოეს მომავალში შეიძლება გახდეს ულტრანაციონალისტური წრეებისთვის „ძალის გამოყენების“ უმთავრესი ასპარეზი. ყოველ შემთხვევაში, როგორც გაზეთი „ერკირი“ წერდა, „ჯავახეთის ავტონომიის ჩამოყალიბება“ უახლოეს მომავალში შეიძლება გახდეს სომხეთის რევოლუციური ფედერაციის „დაშნაკცუტიუნის“ ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა. გაზეთის ინფორმაციით, ბეირუთში გაიმართა „დაშნაკცუტიუნის“ პარტიის ახლო აღმოსავლეთის კომისიის „აი დატას“ (სომხეთის საკითხი) კონფერენცია. როგორც მოსალოდნელი იყო, „აი დატას“ ცენტრალური ოფისის ხელმძღვანელმა კირო მანოიანმა ბევრი ილაპარაკა ვაშინგტონის, ბრიუსელის, მოსკოვის და ერევნის ოფისების საქმიანობაზე, ჰოვანეს თასლაკიანმა გააანალიზა ახლო აღმოსავლეთში შექმნილი ვითარება და ა. შ. მაგრამ გაცილებით უფრო საინტერესოა სხვა რამ. როგორც „ერკირი“ წერს, კონფერენციის მონაწილეებმა აღნიშნეს, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო „სომეხთა გენოციდის“ აღიარებას, არამედ, სომხეთის სახელმწიფოებრიობის განმტკიცებასაც. ითქვას ისიც, რომ „არცახის დამოუკიდებლობის“ სამართლებრივი აღიარების გარდა, მიმდინარეობს მუშაობა ჯავახეთში ავტონომიის ჩამოყალიბებისთვისაც.**

ერთი სიტყვით რომ ვთქვათ, საქართველოს ჯავახეთის რეგიონი პირველად არ ხდება დაშნაკების დიდი ყურადღების ობიექტი. ყოველ შემთხვევაში, როგორც პრესაშია აღნიშნული, ჯერ კიდევ „სომხეთის რევოლუციური ფედერაციის პოლიტიკურ მანიფესტში“, რომელიც გამოაქვეყნა გაზეთმა „გამქმა“ 1985 წლის 11 დეკემბერს, ხაზგასმული იყო: ერთ-ერთი ძირითადი მიზანია ის, რომ „გაერთიანებული სომხეთის საზღვრები უნდა მოიცავდნენ სევრის მორიგებით დადგენილ ტერიტორიებს, ნახიჭევანის, ახალქალაქისა და ყარაბაღის რაიონების ჩათვლით“.

მაგრამ ახლა სიტუაცია გაცილებით უფრო სერიოზულია. ჯერ ერთი, „დაშნაკცუტიუნის“ პარტია, რომელიც სომხეთის დამოუკიდებლობის პირველი ათწლეულის დროს ქვეყნის უდიდეს პოლიტიკურ ძალად რჩებოდა, თვით მას შემდეგაც კი, რაც სომხეთის პირველმა პრეზიდენტმა ლევონ ტერ-პეტროსიანმა ოფიციალურად აკრძალა მისი საქმიანობა, ახლა კატასტროფულად კარგავს პოპულარობას ამომრჩეველთა შორის: XX საუკუნის დამდეგის კლასიკური „მემარცხენე“ ლოზუნგების და ახლო თუ შორეული მეზობლების მიმართ ტერიტორიული პრეტენზიების „კოქტეილი“ უკვე აღარ იზიდავს ქვეყნის რიგით მოქალაქეებს. „დაშნაკცუტიუნი“ კარგავს გავლენას ხელისუფლებაზეც — იგი ოპოზიციაში აღმოჩნდა თვით მთიან ყარაბაღშიც კი, სადაც ინარჩუნებდა არალეგალური საქმიანობის უფლებას მაშინ, როცა ეს აკრძალული იყო ერევანში. უფრო მეტიც, სომხეთის პარლამენტის ყოფილმა ვიცე-სპიკერმა სააკიანმა განაცხადა, რომ მთელი ქვეყანა არ უნდა გახდეს „დაშნაკცუტიუნის“ ტერიტორიული პრეტენზიების მძევალი, და ასეთ განცხადებებს ახლა სულ უფრო მეტი გაგებით ეკიდებიან სომხეთში. ამ ფონზე ახალი „სეპარატისტული“ კონფლიქტის დაწყება, ამჯერად უკვე — საქართველოში, სომეხ ულტრანაციონალისტთა ჩანაფიქრით კვლავ ააღორძინებს ნაციონალისტურ განწყობილებას, და, შესაბამისად, პარტიას დაეხმარება ამომრჩეველთა ხმების მოგროვებაში.

მოსკოვსაც, რა თქმა უნდა, „თავისი თამაში“ აქვს. აფხაზი და ოსი სეპარატისტების მხარდაჭერა მთელი ამ ბოლო წლების განმავლობაში საქართველოზე ზემოქმედების საიმედო ბერკეტად რჩებოდა, მაგრამ ახლა ამას უკუეფექტი მოაქვს: ყოველივე ამის პასუხად, თბილისი მხოლოდ უფრო ამკაცრებს პოზიციებს და „მსოფლიო გაერთიანების ყურადღებას მიაპყრობს“ მოსკოვის ქცევას, თანაც, ორივე კონფლიქტი რჩება „გაყინული“ აქედან გამომდინარე მთელი შედეგებით. აჭარაში „ვნებათაღელვის გაღვივების“ მცდელობაც წარუმატებლად დასრულდა: მოსკოველი პოლიტიკოსები დაკმაყოფილდნენ მხოლოდ „დამამშვიდებელი პრიზით“ — ბათუმის ყოფილი პატრონის ასლან აბაშიძის სახით, რომელიც სამშობლოდან გაიქცა და რუსეთის დედაქალაქს შეაფარა თავი. ასეთ ვითარებაში კონფლიქტის გაღვივება ჯავახეთში, თუ, რა თქმა უნდა, ეს მოხერხდა, მოსკოვმა შეიძლება გამოიყენოს ზემოქმედების ბერკეტად არა მარტო საქართველოზე, არამედ სომხეთზეც, სადაც უკვე ალაპარაკდნენ შეერთებულ შტატებთან და ნატოსთან კონტაქტების დამყარების შესახებ.

მაგრამ გაცილებით უფრო სერიოზულია სხვა რამ. მრავალი მეთვალყურის აზრით, ჯავახეთში ვითარების დესტაბილიზაციის მცდელობა სომხეთისთვის არის ყარსი-ახალქალაქი-თბილისის სარკინიგზო შტოს მშენებლობის ჩაშლის კიდევ ერთი საშუალება. თუ ვიტყვით იმას, რომ მომავალი „რელსების ომი“ სომხეთში სერიოზულ შეშფოთებას იწვევს, ნიშნავს, რომ არაფერი არ ვთქვათ: როგორც მეთვალყურეები ამტკიცებენ, თვით სომხეთ-თურქეთის საზღვარზე ბლოკადის მოხსნის შემდეგაც კი, სომხეთი მაინც იქნება რეგიონის მაგისტრალური სატრანსპორტო კომუნიკაციებიდან ჩამოშორებული. ექსპერტებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენთან, ბაქო-ერზერუმის გაზსადენთან ერთად, ყარსი-ახალქალაქის რკინიგზა შეადგენს ისეთ სატრანსპორტო კვანძს, რომლის კონკურენტუნარიანობაშიც ეჭვი არავის შეეპარება.

ამ ფონზე კი სრულიად მოულოდნელი როლის შესრულება შეუძლია ევროკავშირს. და მართლაც, იმ დღეებში, როცა დაშნაკები ბეირუთში განიხილავდნენ „ჯავახეთის ავტონომიის“ საკითხს, სომხეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები აჯამებდნენ ბრიუსელში რობერტ ქოჩარიანის ვიზიტის შედეგებს. ერევნელ მეთვალყურეთა აზრით, ვიზიტის მთავარი შედეგი გახდა ის, რომ ევროკავშირის სახელმწიფო მოხელეებმა მხარი დაუჭირეს სომხეთ-თურქეთის საზღვრის გახსნას, კერძოდ, ასეთი განცხადება გააკეთა ევროკომისიის მეთაურმა ჟოზე მანუელ ბაროზუმ. გარდა ამისა, ევროკავშირის კომისარმა ერთიანი საგარეო პოლიტიკისა და უშიშროების საკითხებში ხავიერ სოლანამ, ასევე არაორაზროვნად მიანიშნა, რომ ევროკავშირი არ უჭერს მხარს ყარსი-ახალქალაქი-თბილისის რკინიგზის მშენებლობის პროექტს და იმის მომხრეა, რომ ამოქმედდეს უკვე არსებული კომუნიკაციები. ანუ, გიუმრი-ყარსის სარკინიგზო შტო.

ძნელი არ არის იმის დანახვა, თუ რა მიზნებს ისახავენ ევროკავშირის მოხელეები. ყარსი-ახალქალაქის პროექტის მხარდაჭერა ნიშნავს იმ ფაქტის აღიარებას, რომ უახლოესი მომავლისთვის ვერ მოხერხდება ბლოკადის მოხსნა თურქეთ-სომხეთის საზღვარზე და „ჰაერში გამოკიდებული“ დარჩება ანკარის მიმართ წაყენებული მოთხოვნა ერევანთან ნორმალური ურთიერთობის დამყარების თაობაზე.

**„ეხო“ (ბაქო), 28 ოქტომბერი.**

# რატომ უჭირთ ქალებს პოლიტიკაში ყოფნა?

**საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა სალომე ზურაბიშვილმა გაიზიარა ყოფილი სსრ კავშირის სივრცეში სხვა პოლიტიკოსი ქალების მწარე ხვედრი. ვგულისხმობთ იმას, რომ ზურაბიშვილამდე „წავიდნენ“ მისი ყირგიზი კოლეგა როზა ოტუნბაევა და უკრაინის პრემიერი იულია ტიმოშენკო.**

ხომ არ დადგა დრო, ჩავუფიქრდეს ამ ტენდენციას? მაგალითად, ოტუნბაევა ყირგიზეთის წინა რეჟიმის დროს მოხსნეს საპარლამენტო არჩევნების „დისტანციიდან“ ქვეყნის მაშინდელი პრეზიდენტის ქალიშვილის ბერმეტ აკაევას სასარგებლოდ. რეგისტრაციაში კი გაატარეს, მაგრამ მაინც მოხსნეს და მოიმიზეზეს პარაგრაფი ქვეყანაში ცხოვრების ხუთწლიანი ცენზის დარღვევის შესახებ. მართლაც, არჩევნების წინ ხუთი წლის განმავლობაში ქალბატონი ოტუნბაევა ცხოვრობდა არა ყირგიზეთში, არამედ ლონდონში, სადაც ასრულებდა თავისი ქვეყნის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობას. თუმცა, ეს, რატომღაც, საპატიო მიზეზად არავის ჩაუთვლია.



ამას მოჰყვა რევოლუცია, რომელშიც ქალბატონი-ელჩი აღმოჩნდა გამარჯვებული ოპოზიციის ლიდერთა შორის, და მისი რევოლუციური თუ პროფესიული ღვაწლის დასაფასებლად იგი საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშნეს. ვიზიტები, მოლაპარაკებები, ხელშეკრულებების დადება. ერთი შეხედვით, არც მის მიერ განხორციელებული გენერალური გეზით ჩანდა ვინმე უკმაყოფილო. მაგრამ მოხდა ასეთი რამ: სექტემბერში ახალმა, უკვე სრულიად დემოკრატიულმა პარლამენტმა, რატომღაც ჩააგდო ოტუნბაევას კანდიდატურა მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობის დამტკიცების დროს. სადღეისოდ ყოფილი ელჩი და ყოფილი მინისტრი სათავეში უდგას მოძრაობა „ყირგიზეთს“, რომელიც აერთიანებს ცხრა პოლიტიკურ პარტიას. იგი ცდილობს, დიდ პოლიტიკას დაუბრუნდეს პარლამენტის დამატებითი არჩევნების მეშვეობით, საბედნიეროდ, პრეზიდენტმა ბაკიევმა ამ ცოტა ხნის წინათ გააუქმა „ქვეყანაში ცხოვრების ცენზი“. თუმცა, ეს როზა ოტუნბაევას ძალზე გაუჭირდება, რადგან მისი მეტოქეა რვა მამაკაცი, მათ შორის, მთავრობის ყოფილი მეთაური ნიკოლოზ ტანაევიც.

ყველას კარგად გვახსოვს, თუ რა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა უკრაინაში „ნარინჯისფერი რევოლუციის“ დროს იულია ტიმოშენკომ, რომელსაც რევოლუციის შემდეგ პრემიერ-მინისტრის სავარძელი შესთავაზეს. ჟურნალმა „ფორბსმა“ იულიას მიანიჭა საპატიო მესამე ადგილი ჩვენი პლანეტის ას ყველაზე გავლენიან მანდილოსანთა სიაში (დებიუტანტისთვის უდიდესი წარმატებაა). ტიმოშენკო ჩამორჩა მხოლოდ ამერიკის სახელმწიფო მდივანს კონდოლიზა რაისს და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ვიცე-პრემიერს ამხანაგ უი-ს. სამაგიეროდ, გაუსწრო ფილიპინების პრეზიდენტს გლორია აროიოს, კომპანია „ქსეროქსის“ მეთაურს ენ მალკაჰის და თვით ბილ გეიტსის ცოლს — მელინდასაც კი. მაგრამ, ერთ მშვენიერ დღეს, რევოლუციის სიმბოლო მითური ატლანტიდასავით შთანთქეს ფინანსური ნაკადების რეგულირებისა და საკუთრების ხელახალი განაწილებისთვის მებრძოლ კლანებსა და ჯგუფებს შორის აგორებულმა ტალღებმა. თუმცა, პანი იულია დიდი პოლიტიკიდან არ წასულა და აპირებს, რომ მომავალი წლის დამდეგისთვის დანიშნული პარლამენტის არჩევნების შემდეგ ანგარიში გაუსწოროს თავის დამჩაგვრელებს.

„თორმეტი განრისხებული მამაკაცის“ და მეტოქე-ქალის — საქართველოს პარლამენტის სპიკერის ნინო ბურჯანაძის მორიგი მსხვერპლი გახდა ქალბატონი ზურაბიშვილი. იგი, ალბათ, ყველაზე მეტად განაწყენებული უნდა იყოს. თუ ოტუნბაევა და იუშჩენკო თვითონ მივიდნენ რევოლუციონერებთან, საფრანგეთის მოქალაქეს — სალომე ზურაბიშვილს, რომელმაც ჩინებული კარიერა გაიკეთა ამ ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროში, არ უბრძოლია საქართველოში მინისტრის პოსტის დასაკავებლად. „ვარდების რევოლუციის“ ბელადმა მიხეილ სააკაშვილმა პირადად სთხოვა პრეზიდენტ შირაკს, ქალბატონი ელჩისთვის დაერთო საქართველოს საგარეო-პოლიტიკური უწყების მეთაურად მუშაობის დაწყების ნება.

ზურაბიშვილი, რომელიც ახალ ადგილზე მუშაობის დროსაც საფრანგეთიდან იღებდა ხელფასს, სამართლიანობა მოითხოვს და უნდა ითქვას, რომ დაკისრებულ მოვალეობას პირნათლად ასრულებდა. შემთხვევითი არ არის, რომ სოციოლოგიური გამოკითხვების თანახმად, ქართველების 70 პროცენტმა იგი საუკეთესო მინისტრად დაასახელა. კონფლიქტი, თვით ყოფილი მინისტრის თქმით, ღვივდებოდა ამ პოსტზე მისი დანიშვნის პირველი დღიდანვე. ქალბატონი სალომე ცდილობდა ემუშავა ისე, როგორც შეეძლო — ევროპულად, მაღალპროფესიულ დონეზე, მისი გარემომცველი პირები კი, ეროვნული ხასიათიდან გამომდინარე, კვლავ „ქართულად“ შრომობდნენ. სალომე, როგორც ჩანს, ვერ ჩაწვდა თანამემამულეთა იდუმალ სულს, რადგან იგი სხვა ტრადიციებით იყო აღზრდილი, და საბოლოო ანგარიშით, უწოდა მათ „ქაჯები“ და „საშინელი კომუნისტური სიმსივნის მემკვიდრეობა“. ამას პასუხად მოჰყვა ბრალდებათა ნიაღვარი მარჯვნიდან თუ მარცხნიდან, სკანდალი და გადადგომა.

სამი სიუჟეტი, სამი გმირი, ერთი ფინალი. „როცა პრემიერი ქალია, მამაკაცები ფიქრობენ, რომ ეს ადგილი თითქმის ვაკანტურია“, — გაგვიზიარა თავისი მოსაზრება დამოუკიდებელი ლიტვის პირველმა პრემიერ-მინისტრმა კაზიმერა პრუნსკენემ, რომელიც თავის დროზე, ასევე უბოდიშოდ გადააყენეს თანამდებობიდან.

**„როდნაია გაზეტა“.**

თვალსაზრისი

# სარჩენი მარჩენალის ნება-სურვილს შეეწინააღმდეგება?!

## „მარეგულირებლების" ინსტიტუტი უნდა დაიხვეწოს

**საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურებში და, შესაბამისად, მასმედიაშიც არაერთხელ აღიძრა და მალევე ჩაქრა დავა ენერგეტიკის, კომუნიკაციებისა და ტრანსპორტის სფეროებში მარეგულირებელი ორგანოების არსებობისა და მათი დაფინანსების მართლზომიერების თაობაზე. სულ ახლახანს ამ თემაზე საუბარი კიდევ ერთხელ იყო საპარლამენტო დებატებზე.**

**რა არის „დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანო", რა ფუნქციები და არსებობის წყაროები აქვს, და, საერთოდ, რამდენად არგუმენტირებულია მისი საქმიანობა? შევეცდებით დაინტერესებულ მკითხველს აღნიშნულის თაობაზე მოკლე ინფორმაცია მივაწოდო და, ამ წერილის სათაურიდან გამომდინარე, საკუთარი თვალსაზრისიც გავუზიარო.**

ჩვენთან მარეგულირებელი ორგანოები ჯერ ენერგეტიკის, შემდეგ — კომუნიკაციების, მოგვიანებით კი — ნავთობისა და გაზის რესურსების, აგრეთვე ტრანსპორტის სფეროში შეიქმნა აშშ-ში მოქმედი ანალოგიური ინსტიტუტის მიბაძვით. ამდენად დღეისთვის დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოების სტატუსით სარგებლობენ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი და კომუნიკაციების ეროვნული კომისიები, ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტო, საავტომობილო ტრანსპორტის, სამოქალაქო ავიაციისა და საზღვაო ტრანსპორტის ადმინისტრაციები (სულ ექვსი ორგანო). საქართველოს პარლამენტმა 2002 წლის 13 სექტემბერს მარეგულირებელ ორგანოთა საქმიანობის თაობაზე სპეციალური ჩარჩო (ზოგადი) კანონიც კი მიიღო.

**მარეგულირებელ ორგანოთა მიზანია თავიანთ საკურატორო სფეროებში სალიცენზიო-სანებართვო, აგრეთვე ტარიფების დადგენისა და რეგულირების უფლებამოსილების განხორციელება,** რაც ამ დარგებში, ფაქტობრივად, სამეწარმეო გარემოს ჩამოყალიბებისა და ბიზნესის წარმართვის საფუძველია. მათი გადაწყვეტილებების გადასინჯვის უფლება არავის არ აქვს, გარდა საკონსტიტუციო და საერთო სასამართლოებისა. დამოუკიდებლობა და ხელშეუხებლობა კი კანონითაა დაცული. დაუშვებელია მათ საქმიანობაში ჩარევა, კონტროლი ან რაიმე ანგარიშის მოთხოვნა. ანგარიშს ისინი მხოლოდ ქვეყნის პრეზიდენტსა და პარლამენტს უდგენენ, თუმცა კანონი არ ითვალისწინებს შემდგომ მისი განხილვის, შეფასებისა და რეაგირების რაიმე პროცედურას.

დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოების შენახვის ხარჯები ფინანსდება ე. წ. **რეგულირების საფასურიდან,** რომელსაც იხდის უკლებლივ ყველა ფიზიკური პირი, ნებისმიერი ორგანიზაციულ - სამართლებრივი ფორმის მქონე იურიდიული პირი და ხელისუფლებისა და სხვა სახელმწიფო ორგანო, ვინც კი თავის საქმიანობას შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოს უფლებამოსილების სფეროში ახორციელებს. ამასთან, რეგულირების საფასური, კანონის თანახმად, არ არის მიჩნეული ეკონომიკური საქმიანობის რეზულტატად (რათა მიღებული შემოსავლის დაბეგვრის საკითხი არ დაისვას). **საფასური ისე უნდა განისაზღვროს, რომ იგი (კანონის სიტყვებით) „საკმარისი იყოს" მარეგულირებელი ორგანოს ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯების დასაფარავად. ამ ბი-**





**უჯეტს (ე. ი. შემოსავალ-გასავლის ნუსხას) კი თვით მარეგულირებელი ორგანო განსაზღვრავს და ამტკიცებს!**

ამრიგად, მარეგულირებელ ორგანოებს ამ სფეროშიც ექსკლუზიური უფლებამოსილება აქვთ.

ჭარბმა შემოსავლებმა პრაქტიკულად მათი ხარჯვის ახალი ფორმების შემოღების საჭიროებაც დააყენა. სხვანაირად ვერ მონათლავ იმას, რომ პარლამენტის 2003 წლის 22 ივლისის კანონით, **მომხმარებელთა ინტერესების დაცვის დამატებითი (!?) გარანტიების შესაქმნელად** მარეგულირებელ ორგანოსთან მარეგულირებელი კომისიის აპარატისგან დამოუკიდებლად ჩამოყალიბდა **მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახური,** რომლის საქმიანობა ფინანსდება შესაბამის მარეგულირებელ ორგანოსთვის გადახდილი რეგულირების საფასურიდან და მარეგულირებელი ორგანოს ბიუჯეტში აისახება.

არადა, ჩარჩო-კანონის თანახმად, როგორც ითქვა, მარეგულირებელი ორგანო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს დამოუკიდებლობის, საჯაროობისა და პასუხისმგებლობის პრიცაპებით. აქ კი, თურმე მისი გადაწყვეტილება შესაძლებელია მომხმარებელთა ინტერესების საწინააღმდეგო აღმოჩნდეს და ამიტომ დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს შემოსავლების ხარჯზე მომხმარებელს (ე. ი. ქვეყნის მოსახლეობას, ფიზიკურ და იურიდიულ პირს) საზოგადოებრივი დამცველი დაენიშნა. ეს კი დაახლოებით ისაა, ათ კაცს რომ ერთი კაცის საქმე აკეთებინო. **არადა, ქვეყანაში გვქონდა კანონი მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ, რომლის თანახმად მომხმარებელთა უფლებების დაცვა ანტიმონოპოლიური სამსახურის (ესეც გაუქმდა) უფლებამოსილებას განეკუთვნებოდა.**

აღნიშნულის მიუხედავად, მარეგულირებელი ორგანოების საქმიანობაში მრავალი სადავო საკითხი და ბატალია დაფიქსირდა, მაგალითად, „სემეკის" (საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისია) მიერ დადგენილი ელექტროენერგიის სამომხმარებლო ტარიფების განსაზღვრისა და რეგულირების სფეროში და სხვა (საზოგადოებას კარგად ახსოვს ეს ბატალიები), მოსახლეობა დღესაც არ არის დარწმუნებული ამ მაღალი ტარიფების რეალურობაში და უჩივის მის სიდიდეს. ასეთი ვითარება არამარტო ენერგეტიკაშია, არამედ კომუნიკაციებისა და სხვა სფეროებშიც, სადაც მარეგულირებლებს და მათ საკურატორო სფეროში მომუშავე კომპანიებს დიდი შემოსავლები უჩნდებათ, რაც ფაქტობრივად მოსახლეობის (მომხმარებლის) გადახდილი (შუქით, გაზით, კავშირგაბმულობისა და ტრანსპორტის მომსახურებით, ბუნებრივია, ყველა სარგებლობს გადასახადის სიდიდის მიუხედავად).

მაგრამ როგორც ირკვევა, **მარეგულირებელი ორგანოების არსებობა, პანაცეა სრულებით არ არის.**

საგულისხმოა, რომ 1999 წლის ნოემბერში საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ ვაშინგტონში ჩატარებულ კონფერენციაზე მარეგულირებელი ორგანოების მისამართით სწორედ ასეთი მოსაზრება დაფიქსირდა. კონფერენციის რეკომენდაციების თანახმად **მარეგულირებლების ფუნქციები უნდა იცვლებოდეს შესაბამის დარგებში მიმდინარე რეფორმებისა და საბაზრო ვითარების გაჯანსაღების კვალობაზე, საჭიროების შემთხვევაში კი შესაძლებელი უნდა იყოს მათი რეორგანიზაცია და დაშლაც კი. კონფერენციის რეკომენდაციით ასევე თავი უნდა შეიკავოთ მეტად ვიწრო (მცირე) მარეგულირებელი ორგანოების შექმნისაგან** (როგორიც, მართლაც, ჩვენი ნავთობისა და გაზის რესურსების სააგენტო და სატრანსპორტო ადმინისტრაციებია), **რადგან ისინი, საბოლოო ანგარიშით, ხელს უშლიან დარგთაშორის ინტეგრირებას.**

აღნიშნულის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ალბათ არ შეიძლება გამართლებულად მივიჩნიოთ მაღალგანვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნების მარეგულირებელი სამსახურების მოდელის მცირე ქვეყნებისთვის უცვლელად მორგების მცდელობა, მით უფრო საქართველოში, სადაც მარეგულირებელი ორგანოების რეორგანიზაციის გზით მათი საქმიანობის (ფუნქციების) აშკარად ვიწრო არეალი საშუალებას იძლევა იგი მოთავსდეს ორიოდე მარეგულირებელ სამსახურში (მათი მთლიანად გაუქმება და ფუნქციების გადაცემა ეკონომიკური განვითარების ან ფინანსთა სამინისტროებისთვის მართლზომიერი არ იქნება, რადგან ამით საქმიანობის ეს სფერო დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას დაკარგავს).

რაც შეეხება მარეგულირებელი სამსახურების შენახვის ხარჯების დაფარვის მოქმედ წესს, იგი აშკარად ვერ უძლებს ვერავითარ კრიტიკას. სარჩენი „დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო" წინ ვერ აღუდგება მარჩენალი კომპანიების ნება-სურვილს და, ამდენად, ვერც „დამოუკიდებელი" იქნება. ეს დამოუკიდებლობა დღეს აშკარად მოჩვენებითია.

რადგან სალიცენზიო-სანებართვო და სატარიფო რეგულირებით უწინარესად დაინტერესებულია სწორედ სახელმწიფო, რომელსაც ქვეყნის მოსახლეობის (მომხმარებლის) სოციალური დაცვის ფუნქცია აკისრია, ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, მარეგულირებელი ორგანოების შენახვის ხარჯები სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა დაიფაროს. ამით ბიუჯეტი არათუ დაზარალდება, არამედ, პირიქით, მისი შემოსავლები ყოველწლიურად მილიონობით ლარით გაიზრდება უშუალოდ კომპანიების გაზრდილი შემოსავლების დაბეგვრით მიღებული სახსრების მეშვეობით.

**ავთანდილ ქუთათელაძე**

ინფორმაცია

### აზერბაიჯანი არჩევნებისთვის ემზადება

**საქართველო აზერბაიჯანს 6 ნოემბერს დანიშნული საპარლამენტო არჩევნებისთვის მარკირების ჩასატარებლად საჭირო ინვენტარს საჩუქრად გადასცემს. შესაბამის პროტოკოლს დღეს ხელი საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში მოეწერა. ცერემონიას ცესკო-ს თავმჯდომარე გია ქავთარაძე და საქართველოში აზერბაიჯანის ელჩი რამიზ გასანოვი დაესწრნენ. როგორც გია ქავთარაძემ ჟურნალისტებისთვის გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, საჩუქარი აზერბაიჯანულ მხარეს საქართველოსა და აზერბაიჯანის პრეზიდენტების შეთანხმების საფუძველზე გადაეცემა.**

**რაც შეეხება საქართველოს, ცესკო-ს თავმჯდომარემ განაცხადა, მომავალი არჩევნებისთვის მარკირების აპარატურის შეძენას საკუთარ თავზე ამერიკის მთავრობა იღებს. მისივე ინფორმაციით, ამის შესახებ შეთანხმება აშშ-სთან უკვე მიღწეულია.**

### საჩივრებს სტრასბურგის სასამართლო განიხილავს

**იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით, აფხაზეთის ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტები გახშირდა.**

**ამის შესახებ გუშინ იუსტიციის მინისტრის მოადგილემ კონსტანტინე კორკელიამ სამინისტროში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, რომელიც კორკელიას სტრასბურგში, ევროსაბჭოში ორდღიან სამუშაო ვიზიტის შედეგებს მიეძღვნა.**

**მინისტრის მოადგილის განცხადებით, არაოფიციალური ინფორმაციით, სტრასბურგის სასამართლო აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების ტერიტორიაზე უკანონოდ დაკავებული ქართველი ეროვნების მოქალაქეების ხუთ საჩივარს განიხილავს. მათ შორის არის ნანავასა და მამასახლისის საქმეები.**

**„მოსარჩელეები სახელმწიფოს, ძირითადად, უკანონო პატიმრობის გამო უჩივიან და ყველა ამ შემთხვევაში ევროპის სასამართლოში მოპასუხე მხარედ საქართველოა მითითებული. ჩვენი მიზანია, რომ ევროსაბჭო დავარწმუნოთ იმაში, რომ საქართველოს იურისდიქცია აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების ტერიტორიაზე არ ვრცელდება", — განაცხადა კორკელიამ.**

კანონმდებლობა

# კარგად ჯერ მხოლოდ იმას დავითვლით, რასაც თვალი ხედავს...

**ახლო მომავალში საქართველოს პარლამენტმა ახალი საბაჟო კოდექსი უნდა მიიღოს. როგორც ცნობილია, ცოტა ხნის წინათ ამოქმედდა ახალი საგადასახადო კოდექსი, რომლის ავკარგზე საუბარი ცალკე თემაა, თუმცა ერთი კი ცხადია: გადასახადების რიცხვი მნიშვნელოვნად შემცირდა, რაც მოწმობს, რომ ახალი საგადასახადო კოდექსის ავტორებს ამ მხრივ ჭეშმარიტად მისი გამარტივების სურვილი ამოძრავებდათ.**

**ამჟამად, საპარლამენტო მოსმენების წინ, საბოლოო დამუშავების სტადიაში მყოფი ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის ამ უმნიშვნელოვანესი დოკუმენტის პროექტით, არსებული თხუთმეტი საბაჟო რეჟიმიდან დარჩება მხოლოდ რვა, თუმცა აქვე იმასაც დავძენთ, რომ ზოგიერთი „ამოვარდნილი" რეჟიმი საბაჟო დამუშავების ოპერაციის, ან საბაჟო პროცედურის სახეს მიიღებს.**

ახალი საბაჟო კოდექსის პროექტის შემუშავებაში აქტიურადაა ჩაბმული არასამთავრობო ორგანიზაცია საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია, რომლის თავმჯდომარის მოადგილემ დავით ნარმანიამ, საუბრისას, კერძოდ, თქვა, რომ ახალი დოკუმენტით თერთმეტკარიანი იქნება. სახელდობრ, ორი თავისგან შემდგარი **„ზოგადი დებულებანი";** შემდეგ **„საქართველოს საბაჟო ორგანოები, მათი ძირითადი ფუნქციები და უფლებამოსილებანი"** (ერთი თავი); **„საბაჟო გადასახადების გამოყენების პირობები, აგრეთვე საგარეო ვაჭრობის მარეგულირებელი სხვა ღონისძიებები"** (სამი თავი); **„დებულებები, რომლებიც გამოიყენება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილ საქონელზე"** (ექვსი თავი); **„საბაჟო დამუშავების ოპერაციები"** (თორმეტი თავი); **„საქონელი, რომელიც ტოვებს საბაჟო ტერიტორიას"** (ერთი თავი); „საბაჟო შეღავათები **(პრეფერენციები)** (ერთი თავი, რომელშიც განმარტებულია საბაჟო გადასახადებისგან გათავისუფლების პირობები), **„საბაჟო ვალდებულება"** (ხუთი თავი); **„საბაჟო დავა"** (ორი თავი); **„საბაჟო შეღავათები"** (სამი თავი, რომლებშიც განმარტებულია საბაჟო სამართალდარღვევებისთვის პასუხისმგებლობის ზოგადი დებულებები და ა. შ.) დაბოლოს **„გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი"** (ერთი თავი).

— გარდა ამისა, ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტში, ამჟამად მოქმედთან შედარებით, ზოგიერთი არსებითი სიახლეცაა შეტანილი, — თქვა დავით ნარმანიამ. — კერძოდ, საბაჟო კოდექსის გამარტივებისა და ნორმების ერთმნიშვნელოვნად აღსაქმელად შემოღებული იქნება ახალი ტერმინებისა და ცნებების განმარტებები, აგრეთვე ჩამოყალიბდება პროცედურული საკითხები. გათვალისწინებულია ზოგადი, გამარტივებული და ელექტრონული საბაჟო დეკლარაციების ინსტიტუტების შემოღება. მოხდება სატრანსპორტო საშუალების, მგზავრის, მისი პირადი ნივთების, ასევე საფოსტო გზავნილების დათვალიერების პროცედურების სისტემატიზაცია.

დავით ნარმანიას თქმით, სიახლეები იქნება დაბრუნებული საქონლის დაბეგვრის მხრივაც, გაძლიერდება საბაჟო ვალდებულებების შესასრულებლად საბაჟო გარანტიების მექანიზმი, აგრეთვე შემოღებული იქნება საბაჟო დოკუმენტაციის შენახვის, საბაჟო გადასახადების ანდა საბაჟო სანქციის, ზედმეტად გადახდილი თანხის ჩათვლის ან დაბრუნების ხანდაზმულობის ვადა. სიახლე იქნება აგრეთვე საბაჟო დავების განხილვის საერთო წესისა და საბაჟო სამართალდარღვევათა სახეობების კლასიფიკაციის, სისტემატიზაციისა და პასუხისმგებლობის ზომების ნორმების შემოღების მხრივაც.

— ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ახალი საბაჟო კოდექსის პროექტით გათვალისწინებული მნიშვნელოვანი სიახლეების მიუხედავად, იგი ჯერჯერობით არ მოიცავს დებულებებს ისეთი სპეციფიკური საქონლის ტრანსპორტირების შესახებ (იმპორტი, ტრანზიტი და ა. შ.), როგორიცაა, მაგალითად, გაზსადენით გადაადგილებული ბუნებრივი გაზი, — თქვა ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის თავკაცმა. — პროექტში გათვალისწინებული საქონლის დამუშავების პროცედურები, ძირითადად, ასე ვთქვათ, „ხილულ" საქონელზეა გათვლილი, რომელიც შეიძლება ჩაიტვირთოს ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე, გემებზე ან სარკინიგზო ეშელონებზე. უფრო მეტიც: **ახალი საბაჟო კოდექსის პროექტში ჯერჯერობით რაიმე მინიშნებაც კი არ არის იმის თაობაზე, რომ ეს საკითხები სპეციალური კანონქვემდებარე აქტით მოწესრიგდება.**

**ოთარ ტურაბელიძე**

◉ საპატიო მოქალაქე

# ემირ ბურჯანაძე: ამ წოდებას ცოტა ადრეც ველოდი

**ყოველ წელს თბილისობის სადღესასწაულო განწყობის სივრცე გრკვეულ სახეცვლას განიცდის, თუმცა ერთი რამ უცვლელი რჩება: ამ დღეს მთელი საზოგადოება დიდი ინტერესით ადევნებს თვალს თბილისის საპატიო მოქალაქეების არჩევის საზეიმო ცერემონიალს. წლეულს თბილისის მოქალაქის სახელი სამ კაცს მიენიჭა, რომელთაგან ერთ-ერთია ცნობილი მხატვარი ემირ ბურჯანაძე.**

იგი თბილისის ერთი ძველი უბნის მყუდრო ქუჩაზე ცხოვრობს. შემოდგომის ოდნავ სუსხიანი ამინდი, ბინდი, საუბარი, ხმები ერთმანეთს ავსებდა, თითქოს მხატვრულ კომპოზიციას ქმნიდა. ერთი შეხედვით უცნაური ფოტოსურათები ფერწერულ ტილოებს ჰგავდა, იქაურობა ბუნებრივ, მშვიდ ფერებს გაეჟღინთა.

ჩვენ ვიმყოფებით ბატონი ემირის სახელოსნოში, სადაც დრო ამ სახლში დაკიდებული საათის ისრებს მიჰყვება... იგი წარსულზე საუბრით იწყებს.

— ჩემთვის მოგონებები სხვა რამ არის... ამ დროს, ალბათ, ოდნავ გაიდიალების მომენტიც იჩენს თავს. საკუთარი შემოქმედება ჯეროვნად რომ შეაფასო, ყველაფერს თანმიმდევრულად უნდა მიყვე. ამასთან ერთად საჭიროა სიზუსტე, ვინაიდან კაცი როდესაც თავის ცხოვრებაზე საუბრობ, ბუნებრივია, ყურადღებას მნიშვნელოვან ამბებზე ამახვილებ; ჩემთვის კი არც ერთი დღე არ ყოფილა უმნიშვნელო.



დავიბადე ქ. თბილისში 1937 წელს, მოსამსახურეთა ოჯახში. დედა ექიმი გახლდათ, თანაც საინტერესო ხელმოსაქმე იყო, ამიტომაც ესთეტიკურ გარემოში ვიზრდებოდი. ის სილამაზე, რაც ჩემს სახლში მეფობდა, დედაჩემის ხელით იყო შექმნილი. მამა, დიდებული ქართველი კაცი, პროფესიით ქიმიკოსი გახლდათ. სწორედ მამამ მიმიყვანა პიონერთა სასახლეში ფერწერისა და ხატვის განყოფილებაში. აქ უკვე ყალიბდება ბავშვი და მეც სწორედ აქედან დავიწყე მომზადება აკადემიაში შესასვლელად.

1957 წელს გავხდი თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტი, რომელიც 1962 წელს დავამთავრე. ამ დროიდან დაიწყო ჩემი შემოქმედებითი გზა, პირველი გამოფენები... 1961 წელს კი წიგნიც გავაფორმე.

ჩემი ადრინდელი ნამუშევრები იგზავნებოდა საკავშირო გამოფენებზე, აღიარება პირველივემ მომიტანა. პირველი პრემია დაიმსახურეს „ბებიის პორტრეტმა“, „ჩემი ბებიას ქოხმა“, სხვადასხვა პეიზაჟებმა, ძველი თბილისის ჩანახატებმა.

***— თქვენს ნახატებში მხატვრის ნოსტალგია იგრძნობა...***

— წარსული იწვევს ნოსტალგიას... ეს ძალიან ლამაზი დრო იყო. ჩემი უსაყვარლესი მეგობრებიდან, რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს ჩემს ცხოვრებაში, დღეს, სამწუხაროდ, ბევრი ცოცხალი აღარ არის.

***— თქვენი აზრით, ცხოვრება თეატრია თუ ბრძოლა?***

— ორივე ერთად, განა თეატრი ბრძოლა არ არის?.. ცხოვრებაც, რა თქმა უნდა, ბრძოლაა. აქ მარტო გადარჩენაზე არ არის ლაპარაკი. იცით, ბრძოლა, თავისთავად, ფიქრია და ნაფიქრალის შედეგის მიღწევაა. მთავარია როგორ მიაწვდი განცდილს მაყურებელს, გარემოსთან როგორ ურთიერთობ, როგორ აღიქვამენ შენს ნააზრევს, შენს შექმნილს. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს.

***— რომელი იყო თქვენი პირველი ჰერალდიკური ნამუშევარი?***

— ეს თემა ჩემმა სამსახურმა განაპირობა... შემდეგ შემოქმედების სამოქმედო არეალი გაიზარდა, დავიწყე მუშაობა საქართველოს გერბის შექმნაზე, რაც ძალიან რთულია. ამ თემას ბევრი განშტოება აქვს როგორც ორნამენტის, ასევე, სიმბოლიკის, გამოსახულების სიმარტივის, შრიფტის მხრივ. და, რაც მთავარია, მასში უნდა იკითხებოდეს ქართული სული და ქართული ხასიათი.

***— თქვენი გრაფიკული ნიმუშების შესახებ რას იტყვით?***

— ჩემთვის, როგორც გრაფიკოსისთვის, მნიშვნელოვანია წიგნის გრაფიკა, პორტრეტი, როგორც ავტორის, ასევე ნაწარმოების ხასიათი. მრავალი კლასიკური ნაწარმოები მაქვს გაფორმებული. ასევე ვმუშაობდი რელიგიურ თემებზე — „ქრისტეს ცხოვრება“, „ქრისტეოლოგიური ხატი“, „ახალი აღთქმის“ თემა. მიზიდავდა ისტორიაც. ასევე მნიშვნელოვანია ჩემთვის თბილისის, ქართული შრიფტის თემები. როცა იცი, რომ სამი ანბანის პატრონი ერის შვილი ხარ, შენ ეკუთვნი იმ ერს, რომელსაც სამი დამწერლობა აქვს. ეს დიდ პასუხისმგებლობას გავალებს.

***— გაქვთ თუ არა გადარჩევის პრინციპი?***

— გადარჩევის პრინციპი ბევრს განსაზღვრავს, „ფერი ფერსაო“, რომ იტყვიან, ღვთის წყალობით ქართველებს გვაქვს სიტყვის მარაგი, ყოველთვის არის „უფერული“ და არის „ფერიანი“, „არაფერი“ და „ყველაფერი“. სადაც ფერია, სადაც ხაზია, სადაც მთლიანობაა, აქ გამორჩევის პრინციპი დგება.

***— იყო თუ არა თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება თქვენთვის მოულოდნელი?***

— სრულიად მოულოდნელი არ ყოფილა. ამ წოდებას ცოტა ადრეც ველოდი, თუმცა თავისთავად მაინც უეცარია და სასიამოვნო.

...ყოველი ახალი ნამუშევრის დაწყების ჟამს მიმაჩნია, რომ ყველაფერს თავიდან ვიწყებ. ჩემი კრედოა ეროვნული გამოსახულება — რაც ქართული დამწერლობის ფორმას, სტილს გულისხმობს! ეს იმდენად ახლობელია ჩემთვის, რომ მთელს ჩემს ცხოვრებას წითელ ზოლად გასდევს.

დრომ ჟანგის მოკიდება იცის, ჩემი ნამუშევრები ჩემი ფიქრის შედეგია, ეს ჯილდოა, აღიარება იმ განცდისა, რომელსაც სხვები ღირებულად თვლიან.

**ლიკა შონია**

**სურათზე: ემირ ბურჯანაძე.**
**ჯემალ კასრაძის ფოტო.**

◉ ნებისმიერ წუთს!

# წლის მინისტრის სტუმრობაო...

**საქართველოს პარლამენტი საკანონმდებლო ორგანოში ძალოვანი მინისტრების სტუმრობით განებივრებული რომ არ არის, ეს ყველამ იცის.**

ამიტომაც იყო, რომ დეპუტატებმა პარლამენტში მისულ ირაკლი ოქრუაშვილს შეკითხვების მთელი კასკადი დააყარეს, თუმცა... ძალოვანი მინისტრების მიმართ „შიმშილის“ გრძნობადაუკმაყოფილებელმა კანონმდებლებმა დიდი ხნის მანძილზე დაგროვილი კითხვების სამიზნედ პარლამენტში შინაგან საქმეთა მინისტრის ვანო მერაბიშვილის მისვლაც მოითხოვეს.

მერაბიშვილმა დეპუტატების კითხვებზე წერილობითი პასუხები პარლამენტში კი გააგზავნა, მაგრამ კონსერვატორმა კახა კუკავამ „წლის მინისტრი“ კონსტიტუციის დარღვევაში დაადანაშაულა, ძალოვანი უწყების პირველი პირი დეპუტატთა შეკითხვებს წერილობით კი არა, უშუალოდ პლენარულ სხდომაზე უნდა უპასუხებდესო.

დეპუტატების მიერ შს მინისტრის პარლამენტში მისვლის მოთხოვნისა და მის მიერ კონსტიტუციის დარღვევაში დადანაშაულების შესახებ ვანო მერაბიშვილისგან კომენტარის მიღება 27 ოქტომბერს, პოლიციელთა ახალი ფორმების პრეზენტაციაზე მოვახერხე:

— მე არ გამოვცხადდი პარლამენტში იმიტომ, რომ მოწვევა არ მიმიღია, შესაბამისად, არც კონსტიტუცია დამირღვევია. მათ კითხვებს წერილობით უკვე ვუპასუხე და, თუ არ აკმაყოფილებთ, ნებისმიერ წუთს მზად ვარ პარლამენტში მისასვლელად და ნებისმიერ კითხვაზე პასუხის გასაცემად, — განაცხადა „წლის მინისტრმა“.

**ხუხა ჯანდიერი**

◉ პოლიცია... პოდიუმზე

# ახალი ფორმის მოკრძალებული ხიბლი



**27 ოქტომბერს თბილისის სავაჭრო ცენტრში (ყოფილი ბაზრის შენობა „კოლმეურნეობის“ მოედანზე) თავი მოიყარა ქართული შოუ-ბიზნესის ცნობილი სახეების, დეპუტატებისა და მინისტრების მთელმა არმიამ. ელიტური თავყრილობის მთავარი მიზეზი ქართული პოლიციისთვის შეკერილი ახალი ფორმების პრეზენტაცია გახლდათ.**

ჩვენების ორგანიზატორმა, შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის ხელმძღვანელმა გურამ დონაძემ, პოლიციის ახალი ეკიპირების პრეზენტაციაში შოუს ელემენტებიც შეიტანა და ქართველ სამართალდამცავთა უნიფორმები იმპროვიზებულ პოდიუმზე სააგენტო „ნატალის“ ქალმა და მამაკაცმა მოდელებმა წარმოადგინეს.

როგორც პრეზენტაციაზე გამოჩნდა, ახალი ფორმები შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებული პოლიციის ყველა სამსახურისთვის (საპატრულო პოლიცია, სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტი, დაცვის პოლიცია, კრიმინალური პოლიცია და სხვ.) შეიკერა.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენებაზე პოლიციელთა ფორმის საკმაოდ ფართო ნაირსახეობა წარმოადგინეს და პოდიუმზე მორონინე ლამაზმანებმა, დიზაინერთა მართლაც კარგი მუშაობის წყალობით, ფორმები ერთობ ეფექტიანად და შთამბეჭდავად „აჩვენეს“.

სწორედ ამის გამო იყო ადვილად შესამჩნევი მინისტრებისა და პარლამენტარების კმაყოფილება.

ოღონდ: საღამოს შვიდ საათზე დაგეგმილი პრეზენტაციის დაწყება მთელი ორმოცი წუთით დაგვიანდა იმ მიზეზით, რომ ქვეყნის პირველი ლედისა და პრეზიდენტის დედის მისვლას ელოდებოდნენ. თუმცა ამაოდ, არც ქალბატონი სანდრა რულოვსი და არც ქალბატონი გიული ალასანია იქ არ გამოჩენილან.

თბილისის სავაჭრო ცენტრში მრავლად მყოფ სახელმწიფო მოხელეთაგან ჩვენების დაწყებამდე პრესისთვის მცირე კომენტარი მხოლოდ „წლის მინისტრად“ გამოცხადებულმა, ქვეყნის პირველმა პოლიციელმა გააკეთა:

— ახალ პოლიციას სჭირდება ახალი, ლამაზი, თანამედროვე ფორმა. ამ ჩვენებას მე თქვენთან ერთად იმიტომ ვესწრები, რომ ვნახო, როგორი ფორმები ეცმევათ ქართველ პოლიციელებს. თუ რამდენად მოსაწონია ეს ფორმები, უნდა გადაწყვიტონ ხალხმა და იმ ადამიანებმა, ვისაც ეს ფორმები აცვია, — გვითხრა ვანო მერაბიშვილმა.

ჩვენებამ დაახლოებით ერთ საათს გასტანა და მის დასასრულს აღფრთოვანება და ოვაციები არავის დაუშურებია.

დაბოლოს, მინდა ცნობილი ქართული მიუზიკლიდან, „სიყვარული ყველას უნდა“. ერთი პასაჟი შეგახსენოთ. კოლმეურნეობის თავმჯდომარე გლეხებს ახალი სამუშაო ტანსაცმლის შეკერვის აუცილებლობაში ამგვარად არწმუნებს:

— აბა ასეთ ძონძებში რომ დაგვინახონ, ვინ დაიჯერებს რომ ჩვენ გეგმებს გადაჭარბებით ვასრულებთ?

არ ვიცი, ქართველი პოლიციელები თავიანთ მოვალეობას რამდენად „გადაჭარბებით“ (კარგი გაგებით) ასრულებენ ან შეასრულებენ, მაგრამ მათ ახალ ფორმებს რომ არაფერი დაეწუნება, ზემოთ უკვე ვთქვი.

**ჯაბა ხუბუა**




◉ ინფორმაცია

## ხეებს უკანონოდ ჭრიან, ენგურს აბინძურებენ, მერე რაღას იზამენ?

**გარემოს დაცვის ინსპექციამ სვანეთის რეგიონში 14 ხის სახერხი საამქრო, მათი არალიცენზირებული საქმიანობის გამო, დახურა. როგორც გაირკვა, საამქროები მარაგდებოდნენ იშვიათი ჯიშის ხეებით, რომელიც სვანეთის ტყეებში უკანონოდ იჭრებოდა, რამაც კატასტროფამდე მიიყვანა ეკოლოგიური მდგომარეობა. დამძიმებული ეკოლოგიური მდგომარეობა კი იწვევდა ბუნებრივ კატაკლიზმებს, როგორიცაა მეწყერი და ზვავი. გარდა ამისა, გარემოს დაცვის ინსპექციის თანამშრომლებმა აღმოაჩინეს 60 კუბური მეტრი იშვიათი ჯიშის ხისგან დამზადებული მასალა, რომელიც სახერხში იყო დასაწყობებული. აღსანიშნავია, რომ სახერხის მიერ დამზადებული მასალიდან ნაწილი გადაიყარა ენგურის წყალსაცავში, რის შემდეგაც წყალსაცავი იმდენად დაბინძურდა, რომ ეს მდგომარეობა ლამის ეკოკატასტროფის ტოლფასად შეაფასეს.**

**არ არის გამორიცხული, რომ გადაყრილი ნარჩენები სადერივაციო გვირაბში გავიდეს და პრობლემა შეიქმნას ენგურის კაშხლის წყალმომარაგების თვალსაზრისით.**

## გამოცდას ათასზე მეტი იურისტი ჩააბარებს

**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ორგანიზებით, დღეს მოსამართლეთა საკვალიფიკაციო ტესტირება დაიწყება. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს პრეს-სამსახურში განუცხადეს, გამოცდა თსუ-ს მაღლივი კორპუსის ბიბლიოთეკაში დაიწყება და სამი დღის განმავლობაში გაგრძელდება. სამოსამართლო გამოცდების ჩაბარების სურვილი 1080-მა იურისტმა გამოთქვა. ორეტაპიან გამოცდაზე პრეტენდენტები ჯერ ტესტირებას გაივლიან, რის შემდეგაც მათ წერითი გამოცდა ჩაუტარდებათ.**

**ინტერპრესნიუსი**

◉ იმედიც ქრება?

# ოპტიმიზმის საფლავი

**იმ ცივილიზებულ, დემოკრატიულ თუ თავისუფალ დასავლეთში იმდენ თემაზე ეწყობა სოციოლოგიური გამოკვლევები, რომ ზოგჯერ პირს დააღებ, — ეს საიდანღა მოიგონესო. ხან პრიორიტეტებიც გაგაოგნებს. მაგალითად, იქ 100-ჯერ უფრო მეტია დაინტერესება სექსზე, ვიდრე პატრიოტიზმზე. ჩვენთან კი... გაღლეტილ, დამშეულ მასას რა ესექსება. აი, პატრიოტიზმით კი შეიძლება გააბრუო, 70-75 წლის ხალხი ახალგაზრდულ ბანაკებში გაიტყუო...**

სოციოლოგიურ გამოკვლევებს ჩვენთანაც ატარებენ ჩვენები, მაგრამ... ამჯერად ამ საქმით დაინტერესებულან ამერიკელები. ჯერჯერობით აქ სექსით არ დაუწყიათ, ეტყობა, მაინც გაითვალისწინეს ჩვენი განწყობა, უფრო სწორედ, ცხოვრებისეული რეალობა და ფეხი მტკივნეულ კოჟრებზე დაგვაჭირეს. იყო, მაგალითად, ასეთი კითხვები: — რომელ პარტიას მისცემთ ხმას? რომელ სახელმწიფოს თვლით საქართველოსთვის ყველაზე მნიშვნელოვან პარტნიორად? რა მიგაჩნიათ სახელმწიფოს ყველაზე დიდ მარცხად? და ა. შ.

საუბარი, თუნდაც კამათი, შეიძლება ყველა კითხვაზე, ყველა პასუხზე, მაგრამ ისევ და ისევ ამოვიდეთ ცხოვრებისეული რეალობიდან. ავიღოთ ერის განწყობა, სადღეისო პრობლემებისადმი დამოკიდებულება. ჩემი აზრით, სწორედ ამაზეა მიბმული ჩვენი წინსვლაც და ჩვენი დამუხრუჭებაც...

2004 წლის თებერვლისათვის საქართველოში ოპტიმიზმით გაჟღენთილი ყოფილა მოსახლეობის 94 პროცენტი. 2005 წლის ივნისისათვის კი ჩამოქვეითებულა 75 პროცენტამდე. ექსპერტთა განცხადებით, ეს 75 პროცენტიც საკმაოდ მაღალი ციფრია, თუმცა ძალზე დამაფიქრებელია თითქმის ერთ წელიწადში 19 პროცენტის დაკარგვა. თუ ასე გაგრძელდა, ხუთ წელიწადში ქვეყანა ოპტიმიზმის საფლავად იქცევა.

ჩვენი ხალხი უმადური არაა, იგი ხედავს ყველაფერს, რასაც ეს ხელისუფლება აკეთებს, მაგრამ დადებით ნაბიჯებს იმდენი უარყოფითი მოჰყვა, რომ ბევრს ნირი წაუხდა. გამოკითხულთა 51 პროცენტს დღევანდელი ხელისუფლების ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად (9 პროცენტს კი — მარცხად) მიაჩნია უმუშევრობა. შემდეგ მოდის რუსეთთან ურთიერთობის გაფუჭება და, შესაბამისად, ტერიტორიული მთლიანობის აღუდგენლობა.

უმუშევრობით შეშფოთება გასაკვირი არც არის. ახალი სამუშაო ადგილები ნაკლებად იქმნება (საწარმოები ნადგურდება, ჯართად იყიდება), საბიუჯეტო ორგანიზაციებში კი შტატები მცირდება, იკვეცება. უსაქმოდ დარჩენილ კაცს უფრო ადარდებს ლუკმა-პურის შოვნა, ვიდრე ქვეყნის დემოკრატიულობა ან ხელისუფლების პატიოსნება. როგორც ამბობენ, ბოლო ერთ წელიწადში სამსახური დაკარგა 80 ათასმა კაცმა და ყველა მათგანი სიღარიბეში ჩაფლულთა რიგებს მიემატა.

ახლა, რაც შეეხება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას. 2004 წლის ივნისში ქვეყნის გამთლიანება სწამდა გამოკითხულთა 53 პროცენტს, დღეს კი — მხოლოდ 24 პროცენტს. ჩემი აზრით, ეს 24 პროცენტიც ბევრია. როგორ უნდა დავიბრუნოთ? ომით? არაო, ამის წინააღმდეგია არა მარტო რუსეთი, არამედ ამერიკაცო (მაშ, რად აძლიერებს ჩვენს ჯარს?). მშვიდობით? რომელი გიჟი დათმობს მოპოვებულ დამოუკიდებლობას (მით უმეტეს, თუ რუსეთი ზედ ეფოფრება?).

ამ ხელისუფლების მოსვლასთანავე ხმამაღლა განვაცხადეთ, იმედიც მოვიდაო. ეს იმედი ქრება და ქრება, მაგრამ ამერიკელებს ასეთი კითხვა მაინც დაუსვამთ, — როდის იქნება ყველაფერი კარგად — მოკლე დროში თუ შორეულ წარსულში? ოპტიმისტების რაოდენობა 2004 წლის ივნისში ყოფილა 41 პროცენტი, ამჟამად კი შემორჩენილა — 28 პროცენტი. ჩანს, ხელი ყველას არ ჩაუქნევია.



შედეგები ერთობ უიმედოა. კიდევ კარგი, ეს კვლევები ჩაატარეს ამერიკელებმა და არა ჩვენმა ოპოზიციონერებმა!

**ბონდო გულიაშვილი**

◉ კრიმინალი

## შენ მეტროს ბილეთი უქახე...

**მოსკოვში** მიაგნეს მეტროს ყალბი სამგზავრო ბილეთების მბეჭდავ „კორპორაციას“. თაღლითებს დაქირავებული ჰქონდათ 20 ბინა სხვადასხვა ადგილას, უახლესი ტექნიკით დღედაღამ ბეჭდავდნენ სამგზავრო ბილეთებს და 200 დაქირავებული უმუშევრისა და პენსიონერის ხელით ასაღებდნენ არა მარტო მეტროს სადგურებში, არამედ დაწესებულებებშიც, სასწავლებლებშიც. ამოღებულია ერთი მილიონი დაბეჭდილი ყალბი ბილეთი და... ნახევარი მილიონი დოლარი.

## ასე ერთმანეთს მალე ამოჟუჟავენ

**ბრაზილიაში** ყოველი 100 დაღუპულიდან 30 იარაღით კვდება. ჯიბეში პისტოლეტი უდევს ყველას, ვინც კი 25 წელს გადააბიჯა და ფსიქიკურად ჯანსაღია. აქ რეფერენდუმი მოაწყვეს იარაღის აკრძალვაზე, მაგრამ... ყველას გასაოცრად, იარაღის აკრძალვა ისურვა მოსახლეობის მხოლოდ 35-მა პროცენტმა.

## წავიდა და იქ დანით მოკლა

**შვეიცარიაში** 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს ვიტალი კალოევს ჩრდილო ოსეთიდან, რომელმაც მოკლა ავიაკომპანია SkyGuide-ს დისპეტჩერი პიტერ ნილსენი. სწორედ ამ დისპეტჩერის დაუდევრობის გამო მოხდა ავიაკატასტროფა, რომლის დროსაც დაიღუპა 45 ბავშვი, მათ შორის ვიტალი კალოევის ორი შვილი (ცოლთან ერთად). სასჯელი ჩემთვის არაფერია. მთავარი ჩემი შვილების სამართალია, — თქვა პატიმარმა.

## აწი ლექციებს საკანში წაიკითხავს

**ქრთამის** აღების ბრალდებით პოლიციამ დააკავა თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი, 59 წლის პროფესორი ელდარ ბორჩაშვილი. წინასწარი ინფორმაციით, მან 800 დოლარი გამოსძალა მესამე კურსის სტუდენტს, რათა იგი ერთი ფაკულტეტიდან მეორეზე გადაეყვანა. დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში ბორჩაშვილს ემუქრება თავისუფლების აღკვეთა 5-დან 10 წლამდე. თუმცა იგი გაიძახის, — ეს ვალი იყო და არა ქრთამიო.

◉ ძარცვა

# უფასო მგზავრობას მანქანაც მიაყოლეს

**ყოველდღიურად უამრავი სხვადასხვა დანაშაული ხდება. სადამსჯელო ღონისძიებების მიუხედავად მათი რიცხვი არ მცირდება, პირიქით, იზრდება, ახალგაზრდავდება...**

ხშირად მოდას აყოლილი ბიჭები ქუჩის კანონებსა და ქურდულ სამყაროსთან ზიარებას პრიორიტეტად მიიჩნევენ. მათი აზრით, მომავალში კარგი პოლიტიკოსი ან ცნობილი ადამიანი რომ გახდე, ეს „სკოლა“ აუცილებლად უნდა გაიარო.

ასეთი მენტალიტეტი ძირითადად ცხოვრებისგან მოყირჭებულ ოჯახებში ყალიბდება. სხვა დამნაშავეებისგან განსხვავებით, მარიფათიანი მამების შვილები ხშირად დაუსჯელი რჩებიან. ციხეში კი უმეტესად სოციალურად გაჭირვებული მოზარდები ხვდებიან...

დღე არ გავა ტაქსის მძღოლები არ გაძარცვონ. მათ წინააღმდეგობის გაწევა ხშირად სიცოცხლის ფასადაც უჯდებათ. ადვილად დამორჩილებულს კი შეიძლება ფულთან ერთად მანქანაც გასტაცონ...

ამქვეყნიური სიამოვნება სწადდათ სოფელ წილკანში მცხოვრებ კახა ტეფნიაშვილს და ვახტანგ ქავთარაძეს. მათ ფული არ ჰქონდათ, მაგრამ თბილისიდან საკუთარ სოფელში ტაქსით წასვლა მაინც გადაწყვიტეს. ამისთვის კი ახალი „მერსედესიც“ შეარჩიეს.

გზაში ფულის შოვნის იდეაც მოუვიდათ, რისი განხორციელებაც არ დააყოვნეს, ტაქსის მძღოლს ჯიმშერ მუხიგულაშვილს ხელ-ფეხი შეუკრეს, ძირს გადმოაგდეს და მანქანა გასტაცეს. საკუთარ სახლში მოყუჩებულებს თავს თბილისის შს მთავარი სამმართველოსა და საპატრულო პოლიციის თანამშრომლები დაადგნენ. ორივე აიყვანეს და სადაც ჯერ არს, იქ წარადგინეს. ფეხით სიარული არ უნდოდათ და ახლა, ალბათ, დასვამენ...

**ლელა მანავლიშვილი**



◉ ისმინეთ!

# რა გითხრათ, რა ჩაგაბაროთ?

**წლეულს პირველი გამოცდა აბიტურიენტებთან ერთად ყბადაღებულმა განათლების რეფორმამაც ჩააბარა. როგორ? ამაზე აზრთა სხვადასხვაობა ნამდვილად არსებობს.**

თუ აფიშირებული რეფორმის „მამებს“ „ალალ სიტყვაზე“ ვენდობით, ახლებურმა გამოცდებმა გამოცდა ფრიადზე ჩააბარა, ყოველ შემთხვევაში, ათასობით აბიტურიენტისგან განსხვავებით, ჩარიცხულთა სიიდან იგი ჯერაც არავის ამოუშლია. და თუ „ვარდების ხელისუფლების“ იდეოლოგს გიგა ბოკერიას ვერწმუნებით, წარმატებით ჩავლილმა ერთიანმა ეროვნულმა გამოცდებმა განათლების რეფორმის აქტიურ კრიტიკოსებსაც კი „ენაზე კბილი დააჭერინა“.

ამ სიტყვებს ზოგი შეიძლება ეთანხმება კიდევაც, მაგრამ ბევრი ჩავლილი გამოცდებით უკმაყოფილო დარჩა და არც ენაზე კბილების დაჭერით უცდია ამ უკმაყოფილების დამალვა.

ადრეც გვითქვამს და ისევ გავიმეორებთ: — განათლების სისტემაში ძირეული რეფორმის განხორციელების მოწინააღმდეგე არასდროს ვყოფილვართ, მით უმეტეს, ახალი ტიპის გამოცდების ჩატარებისა, რომელსაც ცოდნის ობიექტურ შეფასებასა (დაფასებაზეც) და წლობით გამეფებული კორუფციის აღმოფხვრაზე ჰქონდა პრეტენზია. მიუხედავად ამისა, შემჩნეულ კაზუსებსა და შეუსაბამობებზე თვალს ვერ დავხუჭავთ.

განათლების რეფორმაში „გაპარულ“ შეცდომებს მისმა მესვეურებმა ასეთი გამართლება მოუძებნეს: რეფორმა „მოსასწრები“ იყო, ფორსირებულად ვმუშაობდით და მისთვის სრულყოფილი სახის მიცემა ამიტომაც ვერ მოვახერხეთო.

დიახ, ამაზე ნაწილობრივ დათანხმებაც შეიძლება, მაგრამ არის ასპექტები, რომელშიც კატეგორიულად ვერ დავეთანხმებით.

რომელ „მოსწრებასა“ და ფორს-მაჟორზეა საუბარი, როცა ერთიანი ეროვნული გამოცდების სისტემამ სწორედ ის მოისაკლისა, რაც პირველყოვლისა უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული და მოგვარებული.

ვლაპარაკობთ იმაზე, რომ ჯერაც გაურკვეველია ეროვნულ გამოცდებში ჩასაბარებელი საგნები და მათი ზუსტი რაოდენობა.

ერთიანი ეროვნული გამოცდებიდან საქართველოს ისტორიის საგნის ამოღებამ დიდი აჟიოტაჟი იმთავითვე გამოიწვია და იგი ჩამცხრალი ახლაც არ არის.

მაშინ განათლების მინისტრმა პირობა დადო, მომავალი წლის საგამოცდო პროგრამაში მშობლიურ ისტორიას უეჭველად ჩავსვამთო, მაგრამ ეს საკითხი ბოლომდე ჯერაც გადაუწყვეტელია.

განათლების რეფორმის მესვეურნი იმაზეც ალაპარაკდნენ, მომავალ წელს ეროვნულ გამოცდებს ორი საგანი დაემატებაო, მაგრამ რა საგნების ჩაბარება მოუწევთ გაისად აბიტურიენტებს, ჯერჯერობით ესეც გაურკვეველი და უცნობია.

მოგეხსენებათ, უამრავი აბიტურიენტი თადარიგს ადრიდანვე იჭერს და გაძლიერებულად იმ საგნებში ემზადება, რომელთა ჩაბარებაც მისაღებ გამოცდებზე მოუწევს.

გაურკვევლობის გამო კი აბიტურიენტები გაწამაწიაში არიან. მათ ისიც კი არ იციან, რომელ საგნებში მოემზადონ, რისი ჩაბარება მოუწევთ რიგით მეორე ერთიან ეროვნულ გამოცდებში.

განათლების რეფორმის გამტარებლებს ამ პრობლემის მოგვარება დროულად მართებთ, თორემ ახალი საგამოცდო წელი აბიტურიენტებს კარზე მალე მიუკაკუნებთ!

**ჯაბა ხუბუა**

◉ აკრძალული ზონა

# მაგარია ციხის GSM!

**ბოლო დროს თითქმის ორ კვირაში ერთხელ ციხეებსა და საპყრობილეებში მოულოდნელი ჩხრეკვა ტარდება, პატიმრების საკნებიდან მობილურ ტელეფონებს, დანებს და სხვა აკრძალულ ნივთებს იღებენ. ცივი იარაღისა რა მოგახსენოთ, მაგრამ მობილური ტელეფონის ამოღებას ჩხრეკვა ნამდვილად არ სჭირდება. არაერთხელ ყოფილა შემთხვევა, როცა ციხეში მინისტრთან ერთად შესულ ჟურნალისტებს მობილურებს შესასვლელში გვატოვებინებენ, პატიმართა საკნებიდან კი (ხშირად „შავი საქმისთვის“) ტელეფონის ნაირ-ნაირი ზარები ისმის.**

საქართველოში დღეს ისიც ყველამ იცის, რომ პატიმართან დაკავშირება რთული არ არის. სხვა საკითხია, თუ როგორ იძენენ პატიმრები სალაპარაკო დროს. აქაც ყველაფერი მარტივადაა, ბარათები ოდნავ ძვირად ადგილზევე იყიდება. ამის გაკეთება ხშირად ნაკლებად პრივილეგირებული პატიმრების ახლობლებს უწევთ. რაც მთავარია, მაგთიკომმა მომხმარებელს ყველანაირი პირობა შეუქმნა, — ნებისმიერი ადამიანი აკრეფს დიეზს, იმ აბონენტის ნომერს, ვისაც თანხასურიცხავს და ავტომოპასუხე ეტყვის, — „ბალანსი შევსებულია“. სულ ახლო წარსულში კი პატიმრები იმდენ სალაპარაკო დროს „შოულობდნენ“, რომ გარეთ მყოფ ახლობლებსაც ურიცხავდენ: ურეკავდნენ უცნობ აბონენტს, დიდძალი თანხის, ან რაიმე ნივთის მოგებას ამცნობდნენ, სამაგიეროდ კი 4-5, ზოგჯერ მეტი მონოს გადარიცხვას ითხოვდნენ. პატიმრების ასეთმა მოხერხებამ არაერთი გულუბრყვილო მოქალაქის ჯიბე ამოაცარიელა.

ცალკე საუბრის თემაა თუ როგორ, რა გზით ხვდება მობილურები ციხეში მაშინ, როცა საამანათო განყოფილებაში წამდაუწუმ პოულობენ ფრჩხილისტოლა ნარკოტიკს, ეძებენ ყველგან: ტორტში, ლვეზელში, ხილში, ტანსაცმელში, სიგარეტის ღერში და ა. შ. როგორც ჩანს, მათ პატარა ნივთების მოძებნა უფრო კარგად გამოსდით.

იუსტიციის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის ირაკლი მაისურაძის თქმით, წლეულს ათამდე სასჯელის მოხდის დაწესებულებაში 4500-ზე მეტი ჩხრეკვითი ღონისძიება ჩატარდა, რომლის დროსაც 8000-მდე აკრძალული ნივთი ამოიღეს, მათ შორის — 200 მობილური ტელეფონი. იყო რამდენიმე შემთხვევა, როცა მობილურები განსასჯელთა ადვოკატებს, ანდა ციხის თანამშრომლებს შეჰქონდათ, რის შემდეგაც ისინი სამსახურიდან გათავისუფლდნენ. ტელეფონები ძირითადად მაინც საამანათო განყოფილებიდან შედის, როცა ოპერატიულ ინფორმაციას არ ფლობ, ძნელია მისი აღმოჩენა.

ქართველები რისი ქართველები ვართ, თუ ნებისმიერი სიტუაციიდან გამოსავალი ვერ ვიპოვეთ. ირაკლი მაისურაძის განმარტებით, ხშირად ხდება მობილური ტელეფონის პურში „ჩაცხობა“, ფეხსაცმელში ან წიგნში „ჩაჭრა“, ერთი სიტყვით, რაღაც ამანათით შეგზავნა. იუსტიციის სამინისტრო საამანათო განყოფილების მუშაობით მაინც კმაყოფილია. ამბობენ, რომ დღევანდელი ტექნიკით, ფაქტობრივად, შეუიარაღებელი თვალით მეტის გაკეთება შეუძლებელია.

2006 წლიდან სამინისტროს ბიუჯეტი იზრდება. უკვე გადაწყვეტილია საამანათო განყოფილების ტექნიკური აღჭურვა, იქნება დეტექტორები, რომლებიც თანამშრომლებს აკრძალული ნივთების გამოვლენაში დაეხმარება. რუსთავისა და ქუთაისის ევროსტანდარტების შესაბამის ციხეებში კი დაიდგმება ტელეფონები, საიდანაც პატიმრები, პერიოდულად, ოჯახის წევრებს დაუკავშირდებიან. საზღვარგარეთის ქვეყნების ციხეებში ხომ სწორედ ასეა. მანამდე კი, ვიდრე ეს მეთოდი ყველა საპყრობილეში დაინერგება, ვჩხრიკოთ და ვჩხრიკოთ საკნები!

**ლელა ხვადაგიანი**

# ანანი ირანის პრეზიდენტის განცხადებამ აღაშფოთა



**როგორც გაეროს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა აღნიშნა, იგი აღაშფოთა ირანის პრეზიდენტის განცხადებამ იმის თაობაზე, რომ „ისრაელი უნდა აღიგავოს პირისაგან მიწისა“.**

ანანმა შეახსენა ირანს, რომ გაეროს წევრი ქვეყნები ერთმანეთს არ უნდა ემუქრებოდნენ ძალის გამოყენებით.

ირანის პრეზიდენტის მაჰმუდ აჰმადინეჯადის მიერ გაკეთებულმა ამ განცხადებამ მკვეთრი რეაქცია გამოიწვია მთელ მსოფლიოშიც. თეირანს კი, თავის მხრივ, მიაჩნია, რომ ეს რეაქცია არაადეკვატურია.

ისრაელმა მოუწოდა გაეროს, გარიცხოს ირანი თავისი რიგებიდან.

ირანის ისლამური რესპუბლიკის ელჩები დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში, ესპანეთსა და კანადაში გამოიძახეს ამ ქვეყნების საგარეო საქმეთა სამინისტროებში, სადაც ასევე გამოთქვეს შეშფოთება ირანის პრეზიდენტის ასეთი პოზიციის გამო.

თავის მხრივ, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა (რუსეთი ტრადიციულად ითვლება ირანის პარტნიორად მრავალ საკითხში) თქვა: „ჩემი აზრით, არავის აქვს უფლება, დასვას გაეროს ამა თუ იმ წევრი ქვეყნის ყოფნა-არყოფნის საკითხი“.

„ეს ყოვლად დაუშვებელია, — თქვა შემდეგ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, — უნდა ვაღიარო, რომ იმათ, ვისაც სურს გაეროს უშიშროების საბჭოს განსახილველად შეიტანოს ირანის ბირთვული პროგრამის საკითხი, დამატებითი არგუმენტები გამოუჩნდათ“.

როგორც ცნობილია, ასეთი უპრეცედენტო განცხადება აჰმადინეჯადმა გააკეთა თეირანში „მსოფლიო სიონიზმის გარეშე“ დევიზით მიმდინარე კონფერენციაზე.

გაიხსენა რა ირანის ისლამური რევოლუციის აწ გარდაცვლილი ლიდერის აიათოლა ჰომეინის სიტყვები, პრეზიდენტმა თქვა: „როგორც იმამი ამბობდა, ისრაელი უნდა აღიგავოს პირისაგან მიწისა“.




# კუბა პირველად დათანხმდა ამერიკული დახმარების მიღებას

**ჰავანა მრავალი ათწლეულის განმავლობაში პირველად დათანხმდა, მიეღო დახმარება შეერთებული შტატებისგან, რომელიც კუბაში გაგზავნეს ქარიშხალ „ვილმას“ შედეგების ლიკვიდაციის მიზნით.**

ვაშინგტონმაც, თავის მხრივ, აგვისტოში უარი თქვა ჰავანის წინადადებაზე, რომელიც მზად იყო ათასზე მეტი ექიმი გაეგზავნა ქარიშხალ „კატრინას“ შედეგად დაზარალებულ ახალ ორლეანში.

ამ ორი ქვეყნის დიპლომატიური ურთიერთობა შეწყდა 1949 წელს, როცა კუბის ხელისუფლების სათავეში მივიდა ფიდელ კასტრო. შეერთებული შტატები კვლავ ახორციელებს სამხრეთელი მეზობლის მიმართ მკაცრი ეკონომიკური ემბარგოს პოლიტიკას.

მიმდინარე კვირის დამდეგს ქარიშხალ „ვილმას“ მოახლოებასთან დაკავშირებით, კუბაში განახორციელეს დაახლოებით 60 ათასი კაცის ევაკუაცია, მაგრამ ეს მაინც არ აღმოჩნდა საკმარისი. წყალმა გაარღვია ჯებირები, რომლებიც იცავდნენ ჰავანას ოკეანის შემოტევისგან, დატბორა ქალაქის ქუჩები.

როგორც ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა შონ მაკკორმაკმა თქვა, ვაშინგტონმა ჰავანას გაუგზავნა დიპლომატიური ნოტა, რომელშიც სთავაზობდა დახმარებას, და მეორე დღესვე მიიღო დადებითი პასუხი.

ახლა, ამერიკის შეერთებული შტატების საგარეოპოლიტიკური უწყების წარმომადგენლის თქმით, კუბაში გასაგზავნად ამზადებენ სამ ამერიკელ ექსპერტს. ისინი ადგილზე შეაფასებენ ნგრევის მასშტაბს და განსაზღვრავენ იმ გადაუდებელი დახმარების მოცულობას, რომელსაც ვაშინგტონი კუბას გაუწევს არასამთავრობო ორგანიზაციების მეშვეობით.

აღსანიშნავია, რომ ივლისში, როცა კუბას თავს დაატყდა ქარიშხალი „დენისი“, ამერიკელები ასევე სთავაზობდნენ ჰავანას დახმარებას, თუმცა, კუბის ლიდერმა ფიდელ კასტრომ ამაზე თავაზიანი უარი განაცხადა.



# ჩინეთის ლიდერი ჩრდილოეთ კორეას ეწვევა

**ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარე ჰუ ძინტაო სამხრეთ კორეას ეწვევა. ვიზიტის დროს, მხარეები განიხილავენ ფხენიანის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებული კრიზისის მოგვარების გზებს.**

ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის თქმით, ჰუ ძინტაო ამ ვიზიტის დროს აპირებს ძირითადი ყურადღება გაამახვილოს „რეგიონში მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის საკითხებზე“.



ჩინეთი რჩება კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უკანასკნელ სერიოზულ მოკავშირედ და შეერთებულ შტატებს სურს, რომ პეკინმა მოახდინოს ზემოქმედება ფხენიანზე, რათა დაარწმუნოს იგი ბირთვული იარაღის შექმნისთვის გამიზნული სამუშაოების შეწყვეტის აუცილებლობაში. მაგრამ ჩრდილოეთ კორეის ხელისუფლება ამტკიცებს, რომ არა აქვს ასეთი იარაღი, თავის მხრივ, ექსპერტებიც აღნიშნავენ, რომ ასეთი განცხადება შეიძლება შეესაბამებოდეს სიმართლეს, თუმცა, ყოველივე ამის შემოწმება შეუძლებელია.

ჰუ ძინტაოს ფხენიანში ვიზიტის წინ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პეკინი დიდ იმედებს ამყარებს უკვე ნოემბრის დამდეგს ამ საკითხის თაობაზე ექვსმხრივი მოლაპარაკების განახლებაზე.

როგორც ცნობილია, ჩინეთის დედაქალაქში გამართულ კონსულტაციათა ბოლო რაუნდის დროს, ჩრდილოეთ კორეის წარმომადგენლები დათანხმდნენ, შეეწყვიტათ ბირთვული პროგრამის შემუშავება, რის სანაცვლოდაც მოითხოვეს ეკონომიკური დახმარება და უშიშროების გარანტიები. თუმცა, სულ მცირე ხანში ჩრდილოეთ კორეამ განაცხადა, რომ არ გააკეთებს ამას, თუ არ მიიღებს სამოქალაქო ბირთვულ რეაქტორს. იაპონიამ და შეერთებულმა შტატებმა ფხენიანის ასეთი მოთხოვნა უარყვეს.

ჰუ ძინტაოს ვიზიტით ჩინეთის ხელისუფლებას სურს დაარწმუნოს ჩრდილოეთ კორეა, რომ დათანხმდეს მორიგებებს მისი ბირთვული მომავლის შესახებ.

კრიზისი კი დაიწყო 2002 წლის დამლევს. მაშინ შეერთებულმა შტატებმა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა დაადანაშაულა იმაში, რომ იგი — საერთაშორისო შეთანხმებათა დარღვევით — მუშაობს ურანზე დაფუძნებული ბირთვული იარაღის პროგრამის განხორციელებისთვის.

მას შემდეგ უკვე გაიმართა მოლაპარაკებათა ოთხი რაუნდი, რომლებშიც მონაწილეობენ ჩრდილოეთ კორეა, სამხრეთ კორეა, ჩინეთი, რუსეთი, შეერთებული შტატები და იაპონია, მაგრამ ამ მოლაპარაკებას ჯერჯერობით არანაირი მნიშვნელოვანი შედეგები არ მოუტანია.

კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში ვიზიტის დასრულების შემდეგ ჰუ ძინტაო აპირებს ჩასვლას ვიეტნამში, სადაც განიხილავს ორმხრივი ეკონომიკური ურთიერთობის საკითხებს.

# მოკლედ

**ტალინში**, შესაძლოა, სულ მალე გამოჩნდეს ახალი ძეგლი — საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ ესტონელთა ბრძოლის სიმბოლო. მონუმენტის დადგმას აპირებენ ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროს შენობასთან, იქ, სადაც წინათ ლენინის ძეგლი იდგა.

* * *

**ღაზის** სექტორში ისრაელის სამხედრო-საჰაერო ძალებმა ორჯერ მიაყენეს დარტყმები იმ ადგილებს, საიდანაც მოთარეშეები უშვებენ „ქასამის“ ტიპის რაკეტებს და ორჯერ მიიტანეს



იერიში იმ რაიონებთან მისასვლელ გზებზე, საიდანაც უშენენ ცეცხლს ისრაელის სამხრეთ რეგიონებს.

* * *

**ტროპიკული** შტორმი „ბეტა“, რომელიც ცენტრალურ ამერიკას ემუქრება, თანდათანობით იკრებს ძალას. შტორმი ამჟამად მდებარეობს კოლუმბიის სან-ანდრესის კუნძულიდან 60 კილომეტრზე და ნიკარაგუის ქალაქ ბლუფილდსიდან 230 კილომეტრ მანძილზე. „ბეტა“ ნელი ტემპით მიიწევს ჩრდილოეთისკენ, მაგრამ, როგორც მოელიან, სულ მალე შტორმმა შესაძლებელია გეზი დასავლეთისკენ აიღოს.

* * *

**კალიფორნიის** შტატში სამი წლის დანიური დოგი, სახელად „გიბსონი“, დაჯილდოვდა, როგორც მსოფლიოში ყველაზე მაღალი ძაღლი. იგი გინესის რე-



კორდების წიგნშიც შეიტანეს. ორ ფეხზე მდგარი „გიბსონის“ სიმაღლე 2 მეტრსა და 10 სანტიმეტრს აღწევს.

* * *

**ბილ გეიტსი**, მსოფლიოში უმდიდრესი ადამიანი, აღნიშნავს



თავის 50 წლის იუბილეს. დაბადების დღეს იგი შეხვდება ახლო აღმოსავლეთში. „მაიკროსოფტის“ კომპანიის დამფუძნებელი და მეთაური ისრაელსა და იორდანიაში ჩასვლას აპირებს.

◎ თბილისური ეტიუდები

# „მე ალო არ არის, ალოს მამა არის“...

## ანუ ქოჩქოჩანადან მტკვრამდე

**ყოვლადწმიდის სახელობის ეკლესია საუკუნეებია ჩუღურეთს გადმოჰყურებს. დედაქალაქის ცენტრის ეს უძველესი უბანი, მტკვრის მარცხენა სანაპიროს ყველაზე დაბალი ადგილი, ოდითგანვე სახიფათო იყო დიდი წვიმებისა და წყალდიდობების დროს. მას ჩუღურეთის ხევიდან მომდინარე წყალიც უერთდება და მტკვარში ჩაედინება. რიყედან მუხრანის ხიდით გამოყოფილი ეს ადგილი უბნის ქვედა ნაწილად ითვლება. ზედა მხრიდან კი, არსენალთან და წყაროს უბანთან, რკინიგზის ხაზი ესაზღვრება.**

დღესაც ყველაფერი უცვლელია, თუ არ ჩავთვლით ფერდობზე, ქოჩქოჩანაზე ტყით დაფარული ისედაც პატარა ტერიტორიის შემცირებას და არსენალზე რუსეთის ჯარების ყოფილ, უკვე დაცარიელებულ სამხედრო ყაზარმებს.

1820 წლამდე ჩუღურეთი თბილისის გარეუბანი იყო. მას ჩუქორს (თურქულად — ხევი, ფერდობი), ან ჩუგურს (თურქულად — მესაქონლეთა სოფელი) უწოდებდნენ. 1823 წლიდან იგი თბილისს შეუერთდა და ხევს მოგვიანებით ჯერ კიბალჩიჩის, შემდეგ ელენე ახვლედიანის სახელი უწოდეს. აქ დღესაც ჩამოდის სამი ღარი — ახვლედიანის ხევის № 15 სხვიტორიძეებთან და ქიშმარიებთან, № 4 კი გვილავა-ბარნაბიშვილოსიპოვებთან. ნაკადები ერთმანეთს 10 ნომრის ალაყაფთან მშენებელი ინჟინრის გია ბათიაშვილის სახლთან უერთდებიან. წყლის დინება ტექნიკური თვალსაზრისით კარგა ხანია მოწესრიგდა და ახლა თვალის მალულად ჩაედინება მტკვარში.

აქ ის ხალხი და მოსახლეობაა, ვისაც კარგად ახსოვს ძველი დრო, ყოფა, უბნის ისტორია და გეოგრაფია. ქალბატონმა იზა ნამგალაძემ, ბატონი გიას მეუღლემ გვითხრა — როცა აქ მომიყვანეს, ეს მხიარული და ხალხმრავალი უბანი იყო. ცხოვრობდა ბევრი მრავალშვილიანი ქურთი, ასევე სომხები, ებრაელები, სხვა ეროვნების ხალხი. 5-6 ოჯახი ვიყავით ქართველები, ამჟამად კი „ეთნოგრაფიული რუკა“ ქართველთა სასარგებლოდ შეიცვალა და 87 პროცენტზე მეტი ვართო.

ხევისუბანში, სადაც ახლა ვიმყოფებით, ბატონი გიას ეზოს წინ, დიდი მოედანია. სწორედ აქ მდგარა ის „ლესოპილკა“ (ხის სამხერხაო), რომელიც ხევის მოწესრიგებას „შეეწირა“ და ფართოდ გაუღო კარი ხელოვნებას. თურმე „ვერის უბნის მელოდიებიდან“ გოგონების ცნობილი სიმღერის „ანა-ბანას“ სცენები ყოფილი გენერლის, მეტსახელად „აბრაშის ხიჟინაშია“ გადაღებული. როგორც აქაურები ამბობენ, დიდად შეყვარებიათ ამ ფილმის რეჟისორი და მსახიობები. დაუვიწყარ და ულამაზეს დუდუხანა წეროძესა და ჩვენს სასიქადულო რეჟისორებს რეზო ჩხეიძესა და თენგიზ აბულაძესაც სიყვარულით იხსენებენ № 8 სახლის მაცხოვრებლები. აქ ხვეულ კიბეზე „მაგდანას ლურჯას“ ერთ-ერთი დრამატული სცენა გადაუღიათ.

„დიმიტრი თავდადებულიდან“ კი თურქული ბაზრის ეპიზოდი — ყოვლადწმინდა ეკლესიის ქვედა სკვერში.

კინოფილმ „ქალის ტვირთის“ ერთ-ერთი ეპიზოდის 15 დუბლის გადაღებისას, როცა უსაყვარლესი მსახიობი იაკობ ტრიპოლსკი აბულაძეების ალაყაფიდან მათივე სახლის სხვენზე ადის, მეზობლები შიშნარევი სიცილით ამბობდნენ: ე, მანდ ცოტა ფრთხილად, ხალხს სახურავი არ ჩაუმტვრიოთო.

კინოს გადასაღებ მოედანზე შეკრებილ უმცროს თაობას მაშინ დაამახსოვრდა გრიშა შახნაზაროვის ბრაზიანი გამონათქვამებიც. იმ ხანად, თურმე, „პალტარატონკები“, სატვირთო მანქანები (სხვები არც იყო), უგზოობის გამო „ლესაპილკის“ ქვემოდან, № 17 სახლის აივანს ქვეშიდან გამოუვლიდნენ და მალევე დგებოდნენ სწორ გზაზე. თუ მანქანა დატვირთული იყო, აუცილებლად გამოედებოდა აივანს. აი, მაშინ გენახა სამი ქალიშვილის მამის ჩხუბი და აყალმაყალი მძღოლთან.



გრიშა შახნაზაროვის სახლი.

შახნაზაროვს ძალა რომ გამოელეოდა, დინჯი მეეზოვე შიკო დააწყნარებდა. ამის შემხედვარე გურამ ოგანეზოვი, მეტსახელად „აფერისტა“, თავს სერიოზულად დაიჭერდა. საღამოს კი ვითომ საბაასოდ, სატელეფონო ავტომატიდან, რა თქმა უნდა ორკაპიკიანის გარეშე, გამონაცვალ ტელეფონიან ბინაში ახლადშესახლებულ ქურთ მეეზოვეს დაურეკავდა; მაგრამ შიკო ტელეფონს არავის აკარებდა და „ალოს“ ასე პასუხობდა: მე ალო არ არის, ალოს მამა არისო. თურმე მის ვაჟიშვილს ალო რქმევია.

... მოკლედ, ენამოსწრებულთა სამკვიდრო — მრავალეროვანი ჩუღურეთი მარტო ქართველ ხელოვანთა „თავშესაყარი“ არ იყო. ოღონდ ისინი, დღევანდელ ნინო ჩხეიძის ქუჩას დროდადრო ზასულიჩად და პანასევიჩად მოიხსენიებდნენ.

სწორედ მას მიიჩნევს ჩუღურეთის „გულად“ უბნის ერუდიტი, მუსიკოსი გია აბულაძე.

— ხელოვნებასთან სიახლოვე ჩვენს უბანს თითქოს თავიდანვე დაებედა. 1847 წელს ეკლესიის აგურითა და კირით ააშენა ბაბუას ბიძამ აზნაურმა პეტრე აბულაძემ ჩვენი № 54 სახლი. ამიტომ ბევრი რამ, რაც თვალით არ მინახავს, გადმოცემით ვიცი. მაგალითად, მდგმურად გვყავდა გენერალი სკრიპინი. მის მიერ შესრულებული, 1893 წლით დათარიღებული, ანიმალისტური ნახატი დღესაც ოჯახის საკუთრებაა. ასევე მდგმურად ცხოვრობდა იეთიმ გურჯის და. წინ, ახლანდელ სკვერში მდგარ „ნედეს“ პატარა კერძო ქარხანას პურის საცხობი და „სომეხი ბეგის დუქანი“ მეზობლობდნენ. იქ მოდიოდა ხოლმე ბაბუაჩემის — ალექსანდრე აბულაძისა და ბეგის საამაყო ძმაკაცი ნიკო ფიროსმანაშვილიც. იგი სურათის „არსენალის გორას“ დასახატად აქედან, მოკლე გზით ადიოდა არსენალზე.

... მერე ზოგი რამ შეიცვალა. გაჩნდა ძმრის ქარხანა, „მამიკონას დუქანი“ გრიშას აკუმულატორების „ცეხი“, მექუდე აკოფა, ფრონტელი ფანტაზიორი „საპოჟნიკები“ ორი სეროჟა. ერთი მათგანი მეზღვაური იყო და სიამაყით ამბობდა თანამემამულეზე — გემზე მიქოიანი ამოვიდა და პირადად გავიცანიო. ეს რა არისო, — უპასუხებდა მეორე, — მე ჰიტლერის ბუნკერში ცხელი „ჩაინიკით“ მივხვდი, ახალი წასული რომ იყოო. გამოგონილი თუ ნამდვილი ამბავი და ერთმანეთს მიყვებოდა...

ნაომართა წამხედურობით, რაც იმჟამად მეტად მიღებული იყო, ქოჩქოჩანას პატარა ტყე ბავშვების ომობანასა და შტაბობანას თამაშობებს პირდაპირპროპორციულად შეესადაგებოდა. თუმცა ონავრები არც კოჭობანას „ფილოსოფიას“ თაკილობდნენ. ტყვიაჩასხმულ ცხვრის კოჭს წამდაუწუმ აგდებდნენ და შესძახებდნენ: „გაქნი პო სალდატსკი“, „ობშხა ნე ატდაიოტსა“, „ცუცურმა“ — კოჭის გაცურებით გაგორება, „ალჩუ“, „თოხანი“.

ამ შეძახილებით გაიზარდნენ ქვეყნის სასახელო მეცნიერები, ხელოვნებისა და კულტურის წარმომადგენლები. მათი უმრავლესობა არც რიყეს გაურბოდა სათამაშოდ. პირიქით, იქ კარგ დროსაც ატარებდნენ.

— მუხრანის ხიდი კი არ გვყოფდა, თითქოს გვაერთიანებდა. იქ კლასელები, მეგობრები, ამხანაგები ორ ულამაზეს, პეტრიწისა და ხეთაგუროვის ვიწრო ქუჩაზე ცხოვრობდნენ. ფეხბურთს პატარა, კოხტა სტადიონზე ვთამაშობდით. მერე ციციანოვის აღმართზე „თამარის ცრემლებით“ ვიბანდით ხელ-პირს. სხვათა შორის ასეთი „ცრემლები“ ჩვენი მეზობლის ეზოში ახლაც მოდის — ახვლედიანის № 32-ში. იქ მაცხოვრებელი ნანა დარჩია ამბობდა, ბაბუაჩემი ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, სათვალე არ კეთებიაო. ჩვენც ამ წყლით ვიბანთ და გვეტყობა კიდეც.

რიყე ჭრელი უბანი იყო, თბილისელებით დასახლებული. რისი ხელოსანი გინდოდა იქ არ ყოფილიყო — აქედან გადიოდნენ მთელ ქალაქში მოარული და თავიანთ უბნებში ნაწილდებოდნენ „ტაჩიტ ნაჟი-ნოჟნიცი“, „სტეკლო სტავლიაი“, საყოფაცხოვრებო მომსახურება და მიცვალებულთა გაპატიოსნებაც აქედან ხდებოდა. ეს იყო თბილისი თბილისში.

სხვათა შორის, საშემოდგომო ჭირნახულის ზეიმს, დღევანდელი „თბილისობისგან“ განსხვავებით, „ისპანახობა“ ერქვა. აქედან გადასახლებული ხალხით შეივსო თემქის მე-3 მიკრორაიონი, გლდანი, დიღომი, აფსუს! — გულის დარდი გაგვიმხილა ბატონმა გია ბათიაშვილმა, ჩუღურეთში დაბადებულმა და გაზრდილმა, ვინ იცის მერამდენე თაობის კაცმა. იგი წმიდა ნიკოლოზის ეკლესიის წინამძღვარმა მამა ზურაბმა გამაცნო, რომელიც მასავით თაობებით ამ უბნის მკვიდრია და მის მეზობლად, 6 ნომერში ცხოვრობს.

აქვე აღვნიშნავ, რომ ოთხი ეკლესია ეკვრის ჩუღურეთს — წმ. ნიკოლოზის, წმ. ნინოსი, თბილისის მფარველი ყოვლადწმიდისა და საუკუნის მშენებლობა — წმიდა სამება.

უბანში ჩემს სტუმრობას მასპინძლების „საღერღელის აშლაც“ მოჰყვა. მთხოვდნენ მათი კოლორიტული, „ძველი“, შავ-თეთრი მეზობლების თითო-ოროლა ამბავი მაინც მომეთხრო. რაც ჩავიწერე, არ იკმარეს და, ეს ჩვენი ხათრით დაამატეო, ან ანეკდოტად მაინც თქვიო.

■ ციხეში ქალის გაუპატიურებისთვის 5 წლით მჯადრი ოვანესა „სვაბოდაზე“ პროკურორის ამბავს რომ ჰყვებოდა, თან დააყოლებდა „ბუდდტო“ (ვითომ) ეს საქმე მე ჩამედინოსო. უბნის ბიჭებმა კი შეუტიეს, პროკურორს სიმართლე უთხარი და ჩვენ გვატყუებო?!

■ ქურთ ჯემალას ძალიან მოსწონებია ახალი ფილმი „ჩელოვეკ ფინფინი“ — „ადამიანი ამფიბია“. ეს რომ უბანში გაიგეს, გაუკვირდათ — კინოს ბილეთები როგორ იშოვეო?!

■ 1972 წლის 8 ივნისს საღამოს შვიდის ნახევარზე უცებ დაიწყო დიდი წვიმა, რასაც ცნობილი წყალდიდობა მოჰყვა. ხევისუბანი ისე დაიტბორა, ხალხი შინ ველარ შედიოდა. მკითხავი ანიკა კი გარეთ ვერ გამოდიოდა. წყალმა მოტაქსავე სეროჟას „პობედა“ წამოიღო. ასევე ჩამოიტანა ხიზამბარელის რკინის ვაგონი სახელოსნოთი და მისი საკუთარი „პობედაც“.



ახვლედიანის (ყოფილი კიბალჩიჩის) ხევის ქუჩა.

■ — რას შევესწარი, რა ვნახე ჩემი თვალით, ახალ „სროკზე“ ბიჭებს სულ ამას მოვუყვებიო, — ამბობდა 25 წელმისჯილი „ჭიტო“. იგი ყოველ გასამართლებაზე მოსამართლეს ეუბნებოდა — კიდევ მისჯით, კაცო? შოშია ხომ არა ვარ, სულ გალიაში ვიჯდე. ჩემს ასაკზე მეტი „სროკი“ მაქვს მოხდილიო. ხალხი კი თურმე სიცილით მიაძახებდა: — უშვილო, უძირო, უფულო, უპატრონო და თანაც სომეხი, მარტო ამისთვის დაუმატეთ სამი წელი, მაგის დედაც ვატირეო.

**„ხათრი კი დავიჭირე“, მაგრამ მკითხველს ბოდიშს ვუხდი.**

**ამ არეულ და თავკომბალა თბილისში ძირითადი მოსახლეობა უცხოეთში რომაა და ქალაქი ჩამოსულებმა შეავსეს, უბანი, ტოლერანტობიდან გამომდინარე, თანადგომას, ურთიერთგამტანობას, მეგობრობას, ჩაცმა-დახურვის ტრადიციებს ინარჩუნებს. იგი მიიჩნევს, რომ ყოველივე ეს ჩვენი დროის ძველი თბილისის პლეადისა და მისი წამოჩიტული თაობების პირდაპირი მოვალეობაა.**

**ია კალანდარიშვილი**

გივი ჯოლბორდის ფოტო.

◎ შემოქმედი

# «...რას ნიშნავს დღეს ბოჰემა?»

## ხმაურიანი რეჟისორი თბილისში 27 წლის შემ-

**[illegible] დავიწყეთ რეფორმა და [illegible] თეატრში უკვე ვგეგმავთ ერთი წლის პრემიერებს, უკვე მნიშვნელოვანია. მსოფლიოში არის თეატრები, რომლებიც ამას ოთხი წლით ადრე აკეთებენ, არის ისეთებიც, რომლებიც საერთოდ არ გეგმავენ, უბრალოდ მუშაობენ, მაგრამ ხარისხი?**

მაღალხარისხოვანი სპექტაკლების მოსამზადებლად წინასწარი დაგეგმვა აუცილებელია, და აი რატომ: მსოფლიოში აღიარებული მაღალი რანგის ხელოვანები, რომელთა მოწვევაც ძალზე სასურველია, სხვა თეატრებს კარგა ხნით ადრე ჰყავთ შეპირებული. არადა, ერთობლივი წარმოდგენების მოსამზადებლად მათ დროულად უნდა შეუთანხმდე, ჩვენს პირობებში, ვფიქრობთ ორი წლით ადრე მაინც უნდა ვგეგმავდეთ სპექტაკლებს.

[illegible] მაზომიერად რომ ვიმუშაოთ, ცხადია, ფინანსთა სამინისტრომ ბიუჯეტის მყარი გარანტია უნდა მოგვცეს, რაც ძალიან უჭირს, — აცხადებს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დირექტორი დავით საყვარელიძე. იგი რეფორმის ერთ-ერთ გამოხატულებად მიიჩნევს იმას, რომ დღეს თბილისში იმყოფება ერთ დროს რუსეთში საკმაოდ გახმაურებული ხელოვანი იური შერლინგი, იგი ჩვენს საოპერო სცენაზე პუჩინის „ბოჰემის“ დადგმას აპირებს.

მეტად მრავალფეროვანია იური შერლინგის, ამ საინტერესო პიროვნების სამოღვაწეო ასპარეზი. რუსეთის დამსახურებული მოღვაწე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი თეატრალური რეჟისორიც არის, კომპოზიტორიც, ქორეოგრაფიც და მოცეკვავეც. ერთ დროს მოსკოვის დიდი თეატრის სცენაზე მაია პლისეცკაიას პარტნიორიც ყოფილა. შემდეგ თანამშრომლობდა ცნობილ ხელოვანებთან, წარმატებით მოღვაწეობდა სხვადასხვა თეატრში. იური შერლინგს, როგორც რეჟისორს, თეატრალური წარმოდგენის საკუთარი კონცეფცია აქვს, რომელიც მდგომარეობს სხეულის პლასტიკის, მუსიკის, ვოკალის, დრამატურგიის შერწყმაში, რასაც იგი „ჟანრთა იდუმალ სინთეზს“ უწოდებს.

ხელოვანის ცხოვრებაში მნიშვნელოვან მოვლენად იქცა 1977 წელს საბჭოთა კავშირის მასშტაბით პირველი ებრაული კამერული მუსიკალური თეატრის დაარსება. 1985 წელს ამ წარმატებულ თეატრს იძულებით შეაწყვეტინეს არსებობა. დასის წევრები უცხოეთში გადაიხვეწნენ საცხოვრებლად. ავტორის აზრით კი თეატრი შეეწირა არა ანტისემიტიზმს, არამედ საბჭოთა სისტემას.



დღეს იური შერლინგი დიდი მადლიერებით იგონებს 1978 წელს, როცა ებრაული თეატრი დორიან კიტიას მოწვევით თბილისში იმყოფებოდა გასტროლებზე — მაშინ საქართველომ თეატრის ხელოვნება აღიარა და დიდად დააფასა.

როგორ ფიქრობს დღეს „ბოჰემის“ დადგმას იური შერლინგი თბილისურ სცენაზე? „გულწრფელად გეტყვით: მე პროფესიით რეჟისორი არა ვარ, მე ვარ ავტორი, კომპოზიტორი, ვწერ როგორც რეჟისორი, ვდგამ როგორც ქორეოგრაფი, როლებსაც ვასრულებ და ფულსაც ვშოულობ. ერთი რამ შემიძლია კიდევ გითხრათ: სხვების ნაწარმოებს ვდგამ, მაგრამ არასოდეს ვმეორდები. და მაინც, მე მიმაჩნია, რომ „ბოჰემის“ დასადგმელად ორ შეკითხვაზე უნდა გავცე პასუხი: რატომ ვდგამ პუჩინის და რას ნიშნავს დღეს „ბოჰემა“. ვფიქრობ ამაზე პასუხი დღევანდელობასთან კავშირით გამოვხატო. ეს რთული ამოცანაა, მაგრამ შევეცდები...

**რუსუდან მუხიგულაშვილი**

ჯავარ ლომაძის ფოტო.

# რა უკეთესია: კაპიტალიზმი თუ სოციალიზმი?

**უკვე 14 წელია, ვაშენებთ კაპიტალიზმად წოდებულ დემოკრატიულ საზოგადოებას. რა მისცა მან ქვეყანას სოციალიზმთან შედარებით? ერთმანეთს შევადაროთ 1985 წლის (ეს იყო გარდამტეხი პერიოდი, როცა დაიწყო გარდაქმნა) და დღევანდელი მაჩვენებლები. მოგებული დავრჩით თუ წაგებული? და საერთოდ, საჭირო იყო საბაზრო რეფორმები?**

## ნუ ამბობთ სიცრუეს საბჭოთა ხელისუფლების შესახებ!



**ეგორ ლიგაჩოვი, ყოფილი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი:**

— ბრიტანეთის ენციკლოპედიაში აღნიშნულია: „ათწლეულის განმავლობაში სსრ კავშირი, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე ჩამორჩენილი ქვეყანა იყო, დიდ ინდუსტრიულ სახელმწიფოდ გადაიქცა. სტალინმა ჩაიბარა ხისგუთნიანი რუსეთი და იგი შთამომავლებს ატომური რეაქტორებით დაუტოვა". ამას ეთანხმება ყველა, როგორც ჩვენი მომხრე, ისე მოწინააღმდეგე.

მსჯელობა სახელმწიფო საკუთრების არაეფექტიანობაზე, ბაზრისთვის ხოტბა-დიდების შესხმა არამართლზომიერი და მცდარია. ჯერ ერთი, საბჭოთა რუსეთში არ ყოფილან უმუშევრები, ახლა კი ასეთი მილიონობითაა. მეორეც, მრავალი სახელმწიფო საწარმო ინახავდა საბინაო ფონდს და სოციალურ დაწესებულებებს: საბავშვო ბაღებს, სკოლებს, პოლიკლინიკებს, სანატორიუმებს, პიონერთა ბანაკებს, კლუბებს, ბიბლიოთეკებს, სპორტული ნაგებობებს. ახლა კი, კერძო საკუთრების პირობებში, საბინაო-კომუნალური მეურნეობა მთლიანად მოშლილია, მისი შენახვისთვის განკუთვნილ ხარჯებს მცხოვრებლებს აკისრებენ, დაიხურა ათი ათასობით საბავშვო ბაღი, პიონერთა ბანაკი, სკოლა, საავადმყოფო და სხვა. იბადება კითხვა: ვის სჭირდება ასეთი ეფექტიანობა? კერძო კაპიტალს და სხვას არავის!

1922 წელს სსრ კავშირის წილად მოდიოდა მსოფლიო მრეწველობის მხოლოდ ერთი პროცენტი, 50 წლის შემდეგ — 1972 წელს კი — უკვე 20 პროცენტი. ამჟამად, მსოფლიო მრეწველობაში რუსეთის ხვედრითი წილი 1,5 პროცენტს არ აღემატება.

80-იან წლებში საშუალო ხელფასით შეიძლებოდა 2-3-ჯერ მეტი სურსათის ყიდვა, ვიდრე ახლა. საბჭოთა კავშირი მჭიდროდ მიუახლოვდა ყველაზე განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების დონეს კვების ძირითადი პროდუქტების მოხმარების მხრივ. ამის თქმა არ შეიძლება მხოლოდ ძროხის ხორცსა და ხილზე. არაკეთილმოსურნეებმა შექმნეს ცრუ მითი იმის შესახებ, თითქოს საბჭოთა ხელისუფლების დროს, ხალხი შიმშილობდა. თუ ასეა, მაშინ რატომ ხდებოდა, რომ მოსახლეობა ყოველწლიურად 2 მილიონით იზრდებოდა, ახლა კი, სურსათის სიუხვის პირობებში, ყოველწლიურად 700-800 ათასით მცირდება? 80-იან წლებში მთელი რიგი ღონისძიებების შემოღების, მათ შორის, ლოთობის დაძლევის, ბავშვებიანი ოჯახებისთვის შეღავათების დაწესების შემდეგ, ქვეყანაში შობადობის რიცხვი ერთიორად აღემატებოდა სიკვდილიანობის მაჩვენებელს. ვაღიარებ, რომ ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლის დროს დაშვებული იყო სერიოზული შეცდომები. მაგრამ დღეს სვამენ ყველგან, სამსახურში თუ სახლში! ერთ სულ მოსახლეზე მოდის 16-18 ლიტრი სუფთა ალკოჰოლი.

გარდაქმნის დაწყებისთვის საბჭოთა კავშირის მოსახლეობის 80 პროცენტი ცხოვრობდა ცალკე ბინებში ან სახლებში. 1985-1988 წლებში მშენებლობაში მოხდა ისეთი ზრდის მიღწევა, როგორიც არ ყოფილა წინა ორი ხუთწლედის განმავლობაში. ყოველწლიურად საექსპლოატაციოდ გადაეცემოდა 128 მილიონი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი და ამ ბინებს მოქალაქეები უფასოდ იღებდნენ. ბურჟუაზიულ რუსეთში კი საბინაო მშენებლობის მოცულობა რამდენჯერმე შემცირდა, უფასო ბინები თითქმის აღარ არსებობს. დემოკრატებმა ერთი კვადრატული მეტრის ფასი 20 ათას რუბლამდე გაზარდეს (წლიური საშუალო პენსია), მოსკოვში კი — 50 ათას რუბლამდე. და ყოველივე ამის შემდეგ უსინდისოდ ჩმახავენ ათასგვარ სიცრუეს საბჭოთა ხელისუფლების შესახებ. გაუგონარი თავხედობაა.

## ძეხვი 2 მანეთად და 20 კაპიკად უკვე აღარ იყო



**ეგორ გაიდარი, რუსეთის ფედერაციის მთავრობის ყოფილი მეთაური, გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის ინსტიტუტის ხელმძღვანელი:**

— საჭირო იყო თუ არა რეფორმები? — 1991 წლის შემოდგომაზე ამ თემის განხილვას აზრი არ ჰქონდა. საბჭოთა კავშირი გაკოტრებული იყო, ძველი სისტემა ვეღარ მუშაობდა.

1981-დან 1986 წლამდე ნავთობის მსოფლიო ფასები ექვსჯერ დაეცა. სწორედ ამან შეუწყო ხელი საბჭოური ეკონომიკის კრახის მექანიზმის ამოქმედებას. იგი ხომ ეფუძნებოდა ასეთ ჰიპოთეზას: ნავთობზე ყოველთვის შენარჩუნებული იქნება დიდი ფასები. მაოცებდა, რომ ამ კატასტროფას ქვეყნის მაშინდელ ხელმძღვანელობაზე არანაირი შთაბეჭდილება არ მოუხდენია. არადა, ნავთობის ფასებზე ხომ მთლიანად იყო დამოკიდებული საგარეო ვალის მომსახურების, წელიწადში 40 მილიონი ტონა ხორბლის იმპორტის შესაძლებლობა, დაბოლოს, სახელმწიფო ბიუჯეტიც.

1991 წელს ვხელმძღვანელობდი ზესახელმწიფოს მთავრობას, რომლის სავალუტო რეზერვი პრაქტიკულად ამოწურული იყო. საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების გარდა, სხვა გამოსავალი არ გვრჩებოდა.

ყველას ახსოვს ძეხვი, რომელიც 2 მანეთი და ოცი კაპიკი ღირდა. როცა მე მთავრობაში მოვედი, იმ ძეხვის სახსენებელიც კი აღარ იყო. მაშინ ძეხვი ოფიციალურად 9-10 მანეთი ღირდა, ბაზრებზე კი 30 მანეთადაც იყიდებოდა.

მაშინ არაერთგზის მითქვამს: დეფიციტის პრობლემას ჩვენ გადავჭრით. ხუთი-ექვსი სახის კარაქს, ათი სახის ძეხვს შევიტანთ მაღაზიებში, აღარ იქნება რიგები სარეცხი ფხვნილის შესაძენად — ყოველივე ამის გაკეთება ჩვენ შეგვიძლია. მაგრამ ნუ იფიქრებთ, თითქოს ამის შემდეგ ბედნიერები გახდებით. იმისთვის, რომ ნორმალური ცხოვრება დამყარდეს, საჭიროა უზარმაზარი გზის გავლა, საბაზრო საფუძვლებზე ეკონომიკური ზრდის მექანიზმების მოგვარება.

სიცრუეა იმის თქმა, რომ რუსეთის გადასვლა საბაზრო ურთიერთობაზე წარუმატებლად დასრულდა. ხალხის ცხოვრება არ გაუარესებულა. თუმცა, ახლაც ბევრ შეცდომას უშვებენ. შეღავათების მონეტიზაცია არის თავისი ფორმით ერთ-ერთი ყველაზე უცნაური განხორციელება რეფორმებისა, რომლის წარმოდგენაც კი ოდესმე შემეძლო. მაგრამ სხვა დანარჩენში, ამ ბოლო წლების განმავლობაში, ხალხის ცხოვრება გაუმჯობესდა. 2000-2002 წლებში ხელისუფლებამ შეძლო წარმატებული რეფორმების განხორციელება. რეალური შემოსავლები, საშუალო ხელფასი, ერთი-ორად და მეტად გაიზარდა. თუმცა, მცდარია იმაზე ფიქრი, რომ შემოსავლების ზრდა თავისთავად გამოიწვევს ცხოვრების დონით კმაყოფილებას. ყოველთვის იქნებიან ისეთი ადამიანები, რომლებიც იტყვიან: მე ვიღებ ამდენს, ჩემი მეზობელი კი, რატომღაც, უფრო მეტს.

სადღეისოდ ძალზე მაღალია ნავთობის ფასები. რაც უფრო გაიზრდება ნავთობის ფასი, მით უფრო მეტი იქნება მთავრობის მიერ მოუფიქრებელი, პოპულისტური გადაწყვეტილების მიღების ცდუნება. ამასთან, ისევე როგორც 20 წლის წინათ, მთავრობას არა აქვს გეგმა. მან არ იცის, რა მოიმოქმედოს იმ შემთხვევაში, თუ რადიკალურად გაუარესდება სიტუაცია ნავთობის ბაზარზე.

## რა უფრო მეტი იყო რუსეთში

| | 1985 წ. | 2004 წ. | რა შეიცვალა |
|---|---|---|---|
| ეკონომიკური ზრდა | 3,3% | 6,1% | ორჯერ მეტი |
| მოსახლეობის რაოდენობა | 143,6 მლნ. | 144,2 მლნ. | 0,4%-ით მეტი |
| საშუალო ხელფასი | 199 მანეთი | 6831,8 რუბლი | 34-ჯერ მეტი |
| საშუალო პენსია | 70 მანეთი | 1915 რუბლი | 27-ჯერ მეტი |
| 1 კგ. პურის ფასი | 24 კაპიკი | 10 რუბლი | 42-ჯერ მეტი |
| 1 კგ. ძეხვის ფასი | 2,60 მანეთი | 126 რუბლი | 48-ჯერ მეტი |
| 1 ბოთლი არყის ფასი | 5,30 მანეთი | 70 რუბლი | 13-ჯერ მეტი |
| 1 კილოვატსაათი | 4 კაპიკი | 60 კაპიკი | 15-ჯერ მეტი |
| 1 ლიტრი ბენზინის ფასი | 12 კაპიკი | 13,7 რუბლი | 114-ჯერ მეტი |
| დოლარი | 61 კაპიკი | 27,75 რუბლი | დაახლოებით 45-ჯერ |
| მარცვლეულის მოსავლის მოცულობა | 92 მლნ. ტონა | 73 მლნ. ტონა | 22%-ით ნაკლები |
| მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა | 59,6 მლნ. | 24,9 მლნ. | 2,4-ჯერ ნაკლები |
| ნავთობის მოპოვება | 542 მლნ. ტ. | 459 მლნ. ტ. | 15%-ით ნაკლები |
| ფოლადის წარმოება | 87,7 მლნ. ტ. | 65,6 მლნ. ტ. | 25%-ით ნაკლები |
| ელექტროენერგიის წარმოება | 962 მლრდ. კვტ/სთ | 932 მლრდ. კვტ/სთ | 3%-ით ნაკლები |
| ავტომობილების წარმოება | 1165 ათასი ცალი | 1110 ათასი ცალი | 5%-ით ნაკლები |
| კომპიუტერების წარმოება | 8,8 ათასი ცალი | 189 ათასი ცალი | 21-ჯერ მეტი |
| ბინების მშენებლობა | 1 მლნ. 181 ათასი ბინა | 477 ათასი ბინა | 2,4-ჯერ ნაკლები |
| სიცოცხლის ხანგრძლივობა | 69,3 წელი | 72 წელი | 3 წლით მეტი |
| 1000 მოსახლეზე გაანგარიშებით | | | |
| შობადობა | 16,6 | 10,5 | 37%-ით ნაკლები |
| ქორწინებათა რიცხვი | 9,7 | 6,8 | 30%-ით ნაკლები |
| განქორწინებათა რიცხვი | 4 | 4,4 | 10%-ით მეტი |

## რა მდგომარეობაა საქართველოში?

| | 1985 | 2004 | 2004 წელი მეტია, ნაკლებია (-) 1985 წელთან შედარებით, პროცენტებში |
|---|---|---|---|
| ეკონომიკური ზრდა | 5,0 პროცენტი | 6,2 პროცენტი | 24,0 |
| მოსახლეობის რაოდენობა | 5,2 მლნ. კაცი | 4,5 მლნ. კაცი | -12,7 |
| საშუალო ხელფასი | 168 მანეთი | 157 ლარი | -6,5 |
| საშუალო პენსია | 69 მანეთი | 28 ლარი | -59,4 |
| ფულადი შემოსავლები მოსახლეობის ერთ სულზე, თვეში | 124,9 მანეთი | 62 ლარი | -50,4 |
| 1 კგ თეთრი პურის ფასი | 26 კაპიკი | 97 თეთრი | 2,73-ჯერ მეტი |
| 1 კგ ძეხვის ფასი | 2 მანეთი და 60 კაპ. | 5 ლარი და 80 თ. | 2,23-ჯერ მეტი |
| 1 ლიტრი ჩამოსასხმელი თეთრი ღვინის ფასი | 1 მანეთი და 20 კაპ. | 1 ლარი და 48 თ. | 23,3 |
| 1 კვტ. სთ ელექტროენერგიის ფასი | 4 კაპიკი | 12,18 თეთრი | 3,05-ჯერ |
| 1 ლიტრი ბენზინის ფასი | 40 კაპიკი | 1 ლარი და 15 თ. | |
| მარცვლეულის წარმოება | 606 ათასი ტონა | 663 ათასი ტონა | 9,3 |
| ყურძნის წარმოება | 912 ათასი ტონა | 180 ათასი ტონა | 5,1-ჯერ ნაკლები |
| ჩაის ფოთლის წარმოება | 582 ათასი ტონა | 20 ათასი ტონა | 29,1-ჯერ ნაკლები |
| ციტრუსების წარმოება | 135 ათასი ტონა | 38 ათასი ტონა | 4,3-ჯერ ნაკლები |
| მსხვილფეხა რქოსანი | | | |
| პირუტყვის სულადობა | 1646 ათასი | 1251 ათასი | -24 |
| ნავთობის მოპოვება | 552 ათასი ტონა | 98 ათასი ტონა | 5,7-ჯერ ნაკლები |
| ელექტროენერგიის წარმოება | 14,4 მლრდ. კვტ. სთ | 6,9 მლრდ. კვტ. სთ | 2,1-ჯერ ნაკლები |
| [illegible] | 2743 ათასი ტონა | 219 ათასი ტონა | 12,5-ჯერ ნაკლები |
| ცემენტის წარმოება | 1577 ათასი ტონა | 425 ათასი ტონა | 3,7-ჯერ ნაკლები |
| [illegible] | 15,6 მლნ. დეკალიტრი | 2,7 მლნ. დეკალიტრი | 5,8-ჯერ ნაკლები |
| [illegible] | 576 მლნ. 0,5 ლ. | 99 მლნ. 0,5 ლ. | 5,8-ჯერ ნაკლები |
| საცხოვრებლების მშენებლობა | 1727 ათ. კვ. მეტრი | 139 ათ. კვ. მეტრი | 12,4-ჯერ ნაკლები |
| სიცოცხლის ხანგრძლივობა | 71 წელი | 72 წელი | 1,4 |
| მოსახლეობის 1000 კაცზე | | | |
| შობადობა | 18,8 | 10,7[1] | -43 |
| ქორწინებების რაოდენობა | 8,4 | 2,9[1] | 2,9-ჯერ ნაკლები |
| განქორწინებების რაოდენობა | 1,2 | 0,4[1] | 3-ჯერ ნაკლები |

[1] 2003 წელი

◉ გამოფენა-აქცია

# უშრეტი ფანტაზიის ნაყოფი

**ამ დღეებში ქარვასლაში გაიხსნა გამოჩენილი ქართველი მხატვრის, თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორის, კულტურის დამსახურებული მოღვაწის ვლადიმერ კანდელაკის ფრიად ორიგინალური გამოფენა-აქცია, რომლის ორგანიზატორები არიან: ისტორიულ საგვარეულოთა შთამომავლობა, თავად-აზნაურთა და მათ თანამდგომთა საკრებულო, თბილისის მერია და საკრებულო; აგრეთვე გაზეთი „საქართველოს რესპულიკა“ და მხატვართა კავშირი.**

გამოფენა-აქცია, კავკასიისა და მსოფლიოს სხვადასხვა ხალხის ძველი საბრძოლო იარაღების მრავალფეროვან ექსპონატს აერთიანებს. ამ უნიკალური კოლექციის მფლობელი, ქართველი ხელოვანი ვლადიმერ კანდელაკი ხმას



იმაღლებს ნიუ-იორკში, ლონდონში, რუსეთში, ისრაელში მომხდარი ტერორისტული აქტების წინააღმდეგ, რაც ბოლო დროს ესოდენ გახშირდა.

საქართველოში აღმოსავლეთისა და დასავლეთის გზაჯვარედინზე, იარაღების ასეთნაირ გამოფენას „მშვიდობა აღმოსავლეთიდან“ შეიძლება ვუწოდოთ, რადგან აღნიშნული ექსპოზიციის დედააზრი და დევიზი მომავალში ყველა იარაღის სამუზეუმო ექსპონატად გადაქცევის ჰუმანური სურვილია.

გამოფენა გახსნა ქალბატონმა ია მუხრანელმა (თავადაზნაურთა საკრებულო). ამ მართლაც იშვიათი კოლექციის შესახებ აზრი გამოთქვეს ისტორიკოსმა კოტე ჩოლოყაშვილმა, ბატონმა პეტრე ჩხეიძემ, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის 90-იან წლებში ამერიკაში საქართველოს ელჩობისას ოკეანეს გაღმა ახლად ჩასული თანამემამულის ხელის შეწყობაში — ძალზე საინტერესო კოლაჟებისა და ფერწერული ნიმუშების გამოფენების გამართვაში. რაც შეეხება კოლექციას, აღნიშნეს, რომ ამ ტიპის იარაღი მსოფლიოში ყველაზე ცნობილ მუზეუმებსაც კი არ გააჩნიათ.

— ეს იარაღი, რომელსაც ჩვენი წინაპრების სისხლი აჩნია, ვლადიმერ კანდელაკმა თავისი სისხლის ფასად მოიპოვა, — თქვა რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარემ მიხეილ ქურდიანმა. ემოციური იყო პოეტების თინათინ მღვდლიაშვილისა და ნოდარ ჯალაღონიას გამოსვლები.

როგორც ვთქვით, ვლადიმერ კანდელაკი 90-იანი წლების დასაწყისიდან მოღვაწეობს ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც მან თავისი ნიჭისა და შრომისმოყვარეობის წყალობით ფართო საზოგადოების ყურადღება მიიქცია. იქამდე თბილისის გარდა მის შემოქმედებას გაეცნო მოსკოვი, ჰელსინკი და ვარშავა, ხოლო ამერიკაში ატლანტა, ფილადელფია (1991-92 წ.), 1992 წელსვე — ფრანკლინის სახელობის კულტურის ცენტრი (აშშ). ამის შემდეგ მხატვრის ქმნილებებმა და კოლექციამ მოიარა ვაშინგტონის, ნიუ-იორკის საგამოფენო დარბაზები ნონკონფორმისტული ხელოვნების სახელწოდებით.

ვლადიმერ კანდელაკს თავისი მუდმივი ზრუნვის საგნად მიაჩნია ქართული კულტურის გადარჩენისა და აღორძინების საქმე, რისთვისაც დაუარსებია საქველმოქმედო ფონდი. წლების განმავლობაში მის მიერ შეგროვებული ძველისძველი ქართული და კავკასიური იარაღი, საყოფაცხოვრებო ნივთები, მუსიკალური საკრავები, ცხენის აღკაზმულობის ნიმუშები სწორედ ამის შედეგია. მის კოლექციაში განსაკუთრებული ადგილი ეთმოდა აკვნებს, როგორც სიცოცხლის დასაბამის სიმბოლოს. უნდა ითქვას, რომ ქარვასლაში გამართული ეს მრავალფეროვანი და მდიდარი ექსპოზიცია მისი კოლექციის ნაწილია. მხატვრის ოცნებაა ეს განძი სამშობლოს გადასცეს (რაც ჭეშმარიტად მისაბაძი მაგალითია). ცხადია, ასეთი საჩუქრის დასაუნჯებლად შესაბამისი დარბაზებია საჭირო — მას მიაჩნია, რომ ეს მუდმივი გამოფენა უნდა იყოს, რათა ყველასთვის თვალმისაწვდომი გახდეს!




**ლიკა შონია**

**სურათებზე: წმიდა გიორგი კვლავ განგმირავს მტერსა და ორგულს; გადარჩენისთვის (SOS).**

◉ ქველმოქმედება

## სკოლა ნალეკრიშვილმა გაარემონტა, სახელმძღვანელოები კუდავამ დაარიგა

**საგარეჯოს რაიონის სოფელ ბოგდანოვკის მოსახლეობა თავისი სკოლისთვის საბაზო სკოლის სტატუსის და ამ სოფლის დიდი მოამაგის, პედაგოგ ალექსი ნალეკრიშვილის სახელის მინიჭების აღსანიშნავად შეიკრიბა. ეროვნულ ჰიმნსა და ანძაზე დროშის აღმართვას ქართული საგალობლები მოჰყვა, შემდეგ შეკრებილთ მიესალმნენ სკოლის დირექტორი ნუგზარ ჩალათაშვილი, პედაგოგები, მშობლები და მოსწავლეები... მათ მადლობა მოახსენეს უკრაინაში მოღვაწე ალექსანდრე ნალეკრიშვილს, რომელიც თავისი წინაპრის ალექსი ნალეკრიშვილის უანგარო სამსახურის აღსანიშნავად სოფლის სკოლისთვის სახელის მინიჭებას დაესწრო.**

ალექსანდრე ნალეკრიშვილმა ამ 32 წლის წინათ აშენებული სკოლა თავისი სახსრებით კაპიტალურად შეაკეთა, ეზოც შემოღობა და სოფლის მოსწავლეახალგაზრდობას თითქმის სკოლის ახალ შენობაში დააწყებინა სწავლა. თანასოფლელებს კვლავაც დაჰპირდა, რომ მშობლიურ სოფელს მისი ყურადღება არ მოაკლდება.

ამ დღეს გამომცემლობა „ინტელექტის“ დირექტორმა კახმეგ კუდავამაც V-XI კლასების მოსწავლეებს სახელმძღვანელოები უსასყიდლოდ გადასცა, როგორც თვითონ ბატონმა კახმეგმა გვითხრა, სოფელ ბოგდანოვკის სკოლას გამომცემლობა „ინტელექტი“ კვლავაც დაეხმარება.

**ნათელა ფაილოძე**

◉ იყო ასეთი დრო

# საჯაროდ გამოფენა მაინც არ აღირსეს

**1967 წელია. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში მოეწყო გამოფენა „ქართული მატერიალური კულტურა 1800-1921 წლებში“. ფაქტობრივად, ეს იყო ჩვენი ქვეყნის ისტორია რუსეთთან შეერთებიდან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე. გამოფენა გააფორმა მხატვარმა თეიმურაზ ყუბანეიშვილმა, რომელსაც კონსულტაციას უწევდა ლადო გუდიაშვილი.**

იმ დროს ხელისუფლებას ასეთი წესი ჰქონდა: ოფიციალურ გახსნამდე გამოფენა აუცილებლად უნდა ენახა საქართველოს ცეკას იდეოლოგიის განყოფილებას და მთავლიტს. სხვათა შორის, ჯერ კიდევ გამოფენის გახსნამდე, ქალაქში ლაპარაკობდნენ მასზე და მის ავკარგიანობაზე. ასეთი აჟიოტაჟი განსაკუთრებით იმან გამოიწვია, რომ საჯაროდ პირველად გამოიფინებოდა საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკისდროინდელი მასალები.

გამოფენის გახსნამდე ერთი დღით ადრე მუზეუმში მოვიდა ცეკას მდივანი იდეოლოგიის დარგში დევი სტურუა. მუზეუმის მაშინდელმა დირექტორმა ბატონმა ნიკა ჩერქეზიშვილმა საპატიო სტუმრის მეგზურობა მე დამავალა. თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის მთავრობის ფოტოსურათისა და სხვა იმდროინდელი დოკუმენტების დანახვაზე ის გაბრაზდა და ყვირილით თქვა, დილამდე მოსპეთ ეს ყველაფერიო. ბრძანა და საგამოფენო დარბაზიდან ისე წავიდა, გამომშვიდობება არ იკადრა.

მართლაც, იმავე საღამოს გადავაკეთეთ სტენდი და დარბაზიდან გავიტანეთ ვიტრინა, რომლის ნახვასაც მოუთმენლად ელოდა ქართული საზოგადოება.

მეორე დღეს ნაშუადღევს მუზეუმში გამოფენის გასაცნობად მობრძანდა საქართველოს ცეკას პირველი მდივანი ვასილ მჟავანაძე, თითქმის ბიუროს სრული შემადგენლობით, ცეკას მდივნების დევი სტურუასა და შოთა ჭანუყვაძის გარდა. მეგზურობა ამჟამადაც ბატონმა ნიკა ჩერქეზიშვილმა მე დამაკისრა.


საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი

სიმართლე უნდა ითქვას, სტუმრებმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს გამოფენა და ბევრი შეკითხვაც მომცეს. მათი ყურადღება მიიქცია დავით სარაჯიშვილის, ძმები ზუბალაშვილების, მიტროფანე ლაღიძის და იოსებ გუნცაძის მემორიალურმა ექსპონატებმა. სტუმრებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მაშინდელი ქართული პერიოდიკის სიმრავლემ და მათი გამოცემის ხარისხმა.

როდესაც სახელდახელოდ შელამაზებულ კუთხესთან მივედით, ვასილ მჟავანაძემ ყველას გასაგონად ხმამაღლა თქვა, „ასეთი უშნო კუთხე ასეთ კარგ გამოფენას არ ეკადრება, ამიხსენით რაშია საქმე, რა მოხდაო“. მეც დრო ვიშოვე, რაც თავს გადაგვხდა ყველაფერი ვუამბე და ყველა ექსპონატი სახელდახელოდ დადგმულ მაგიდაზე დავალაგე. სხვათა შორის, საპატიო სტუმარს ისიც კი ვუთხარი, მოსკოვში ისტორიულ მუზეუმში, გამოფენაზე თუ რა კარგად იყო წარმოდგენილი ნიკოლოზ II-ის დროინდელი რუსეთი.

როდესაც ვასილ მჟავანაძემ ექსპონატები დაათვალიერა, კმაყოფილებით თქვა: ეს ყველაფერი ჩემთვის სიახლეა. პირველად ვნახე საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, საქართველოს მთავრობის ფოტოსურათი, ქართული ფულის ნიშნები. ივანე ჯავახიშვილის მიერ შედგენილ საქართველოს ისტორიული საზღვრების რუკას ყველა ქართველი უნდა იცნობდესო. აქაურობას პირვანდელი სახე დაუბრუნეთ, ხალხი მადლიერი დარჩებაო. პირველი, ვინც ვასილ მჟავანაძეს დასტური მისცა, უშიშროების თავკაცი ალექსი ინაური იყო.

თქვენ წარმოიდგინეთ, ამ მეტად საინტერესო ექსპონატების საჯაროდ გამოფენა, საბჭოთა კავშირის დაშლამდე მაინც არამც და არამც არ აღირსეს. მართლაც იყო ასეთი დრო.

**დურმიშხან ცინცაძე**

◉ ინფორმაცია

## თავისუფლების სვეტი — ზურაბ წერეთლის საჩუქარი

**2006 წლის 26 მაისს თავისუფლების მოედანზე თავისუფლების მონუმენტი დაიდგმება. ამ ინიციატივის შესახებ ქალაქის მერმა გიგი უგულავამ გუშინ ქალაქის პრემიერთან და საკრებულოს თავმჯდომარესთან ერთად თბილისის მერიაში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.**

**ქალაქის მერმა განაცხადა, რომ თავისუფლების მონუმენტი იქნება 30-მეტრიანი სვეტი, რომლის თავზეც დამონტაჟდება, თუ როგორ გმირავს წმინდა გიორგი გველეშაპს. უგულავას განცხადებით, სვეტის თავზე დამონტაჟებულ წმინდა გიორგის მოსკოვში მოღვაწე ქართველი არქიტექტორი ზურაბ წერეთელი საქართველოს საჩუქრად გადმოსცემს. მონუმენტის ავტორიც სწორედ ზურაბ წერეთელია.**

**გიგი უგულავას თქმით, ახალი მონუმენტის დასადგმელად სამუშაოები 28 ოქტომბრიდან დაიწყო, თუმცა მონუმენტის დასამონტაჟებელი სამუშაოები ოფიციალურად 23 ნოემბრისთვის, გიორგობისთვის დაიწყება.**

**თავისუფლების მონუმენტისათვის ხარჯებს ქალაქის მერია გაიღებს, ნაწილი კი შემოწირულობებით დაფინანსდება.**

## პედაგოგების პროტესტი

**ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგების ნაწილი უნივერსიტეტში ფაკულტეტების გამსხვილებას აპროტესტებს და ძველი სახელფასო დავალიანების დაფარვას მოითხოვს.**

**უნივერსიტეტის პროფესორმა, ფილოსოფოსმა ზურაბ გაგნიძემ განაცხადა, რომ რექტორატის გადაწყვეტილებით უნივერსიტეტში დაგეგმილია ღია კონკურსის ჩატარება. „ჩვენ კონკურსის ჩატარებას არ ვაპროტესტებთ, თუმცა, მოვითხოვთ დაიფაროს უნივერსიტეტის მხრიდან არსებული სახელფასო დავალიანება და კონკურსი მხოლოდ ამის შემდეგ ჩატარდეს“, - აღნიშნა გაგნიძემ. მისივე თქმით, პედაგოგები უნივერსიტეტში ფაკულტეტების გამსხვილებასაც აპროტესტებენ.**

## პატიმრის სიკვდილი

**იუსტიციის სამინისტროში განაცხადეს, რომ თბილისის ინფექციურ საავადმყოფოში 27 ოქტომბერს, გვიან ღამით გარდაიცვალა 27 წლის ავთანდილ გ.-ძე, რომელიც ინფექციურ საავადმყოფოში მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებიდან იყო გადაყვანილი. ექიმების მიერ დასმული დიაგნოზით, იგი აივ-ინფექცია/შიდსითა და მესამე კატეგორიის ჰეპატიტით იყო დაავადებული.**

## რა იქნა 4 მილიონი?

**საქართველოს პარლამენტმა ქუთაისის მერის მოვალეობის ყოფილი შემსრულებლის ბესიკ გულორდავას წინააღმდეგ გუშინ კიდევ ერთხელ გაილაშქრა. პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განცხადება დეპუტატმა ზაზა მალანიამ გააკეთა. მისი განცხადებით, გუშინ ქუთაისის მთავრობის ეკონომიკურ გუნდთან ერთად ფინანსთა სამინისტროში იმყოფებოდა, სადაც ქუთაისის ბიუჯეტი განიხილებოდა. მალანიას თქმით, 11-მილიონიანი ბიუჯეტიდან 4 მილიონი ლარი გამქრალია.**

**„ბატონო ბესიკ, თქვენ კარგი ჟურნალისტი იყავით, გირჩევთ, მერის მომავალი არჩევნებისთვის მოემზადოთ. ეს უფრო კარგი იქნება თქვენთვის. ბევრი დრო დაგრჩებათ მერობიდან წასვლის შემდეგ და ცოტას ეკონომიკაშიც წაიმეცადინებთ“, — მიმართა ზაზა მალანიამ გულორდავას პარლამენტის პლენარული სხდომიდან.**

**ინტერპრესნიუსი**



ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №30

# დუმილის მოსმენისათვის...



**იმ აზრს, რომ არ უნდა დაარღვიო სიჩუმე, თუკი დუმილზე უფრო მნიშვნელოვანის თქმას არ აპირებ, ჯერ კიდევ ანტიკური ხანის ფილოსოფოსები გვასწავლიდნენ. („გვასწავლიდნენ“ არ ნიშნავს იმას, რომ ვისწავლეთ)...**

**სწორედ ეს დარღვეული დუმილი იქცა მრავალი გაუგებრობის საბაბად... ეჭვი — შეიძლება თუ არა სიტყვებით გამოითქვას ცხოვრების საიდუმლო, სწორედ სიტყვის ყველაზე დიდმა ოსტატებმა გამოთქვეს...**

**„თხრობის ხელოვნებისგან მინიჭებული სიხარული არცაა მთავარი, უფრო ზუსტად, მარტო ეს არ არის მთავარი...“ (ჰერმან ჰესე).**

**მუსიკის, ფერის, სიტყვის და სხვა ყველა იმ ხელოვნებათა შორის, რომლებიც ადამიანის მარტოობისგან თავდასაღწევადაა შექმნილი, განსაკუთრებულია დუმილის, ჟესტის ხელოვნება.**

**„ჟესტს ძალუძს საიდუმლოს გამხელა, ჟესტს ძალუძს ფარული აზრების გამოაშკარავება... ჟესტს აქვს უნარი, უხილავი ხილულად აქციოს“... — წერდა ცნობილი მიმი ჟან ლუი ბარო, რომელიც თვლიდა, რომ მოძრაობით შეიძლება გამოიხატოს დუმილიც, სიმღერაც, სუნთქვაც, ყვირილიც...**

**გავა დრო და იგივე ბარო იტყვის: „პანტომიმის ხელოვნება ჩიხში მოექცა!“...**

**გამოდის, რომ სიტყვის ოსტატები ეჭვდებიან სიტყვების ყოვლისშემძლეობაში, პანტომიმის მეტრები — სხეულით გამოხატული მდუმარე მოძრაობის შესაძლებლობებში... სად უნდა ვეძებოთ სათქმელის სრულად გამოხატვის უნივერსალური ფორმები? ვფიქრობთ, ახალი ფორმების პოვნა უკვე შეუძლებელია, ხოლო ეჭვები სრულყოფილების მარადიულ ძიებას ახლავს...**

**ვინაიდან სიჩუმეც და სიტყვაც სამყაროში ერთ მთლიანობად იკვრება, არავინ იცის, როდის იწყება ერთი და როდის მთავრდება მეორე... დაახლოებით ისე, როგორც ტრაგიკულის და კომიკურის ურთიერთკავშირი... თეატრალური მეტრები გვარწმუნებენ, რომ ტრაგედია და კომედია ერთი და იგივე მოვლენის ორი მხარეა... „ეს მოვლენა სწორედ ის „რაღაც მდუმარებაა“, ის შემაძრწუნებელი მდუმარებაა, რომელიც მხოლოდ „სინამდვილეში იმალება ტრაგედია და ფარსი ჩვენს მიერ განცდილი შიშის, უაზრო მწუხარების ორი მხარეა“...**



— ᲗᲥᲕᲔᲜᲗᲐᲜ ჩამოვიდა არლეკინი! — თბილისის პანტონიმის თეატრის სცენაზე თითქმის ერთსაათიანი დუმილის მერე რევერანსთან ერთად წარმოთქვა ცნობილმა მიმიმ, მარსელ მარსოს მოსწავლემ **რიჩარდ რანძევსკიმ...**

(აქ შეიძლება ვლადიმერ ვისოცკის ირონიაგარეული, სევდიანი სიმღერაც კი მოგვაგონდეს:

„Что мне до него, она была
в Париже.
Сам Марсел Марсо сней
что-то говорил...“)

... მაგრამ მიმიმ აგვიხსნა, რომ არლეკინო ყველა დროის და ყველა სიტუაციის მთავარი პერსონაჟია და მისი ნიღაბი აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ...

იქამდე კი პანტომიმის სახელმწიფო თეატრის სცენაზე მის მიერ დადგმული ჩვენთვის უჩვეულოდ საინტერესო სანახაობა ვნახეთ: ერთსაათიანი წარმოდგენა უსიტყვოდ და, რაც მთავარია, უმუსიკოდ — **„სან-ჟერმენის ბაზრობა“...**

ერთი საათის მანძილზე სრულ მდუმარებაში ვუმზერდით მხოლოდ ჟესტებით გამოხატულ ინტონაციებს. პანტომიმის ენის მდიდარი არსენალი ქართველმა მაყურებელმა მაესტრო **ამირან შალიკაშვილის** — ხელოვნებიდან იცის,

იხ. მე-12 გვ.

## მთავარი თემა:

# ძეგლების და მიცვალებულების მოგზაურობა საქართველოში

**კომუნისტების ტერმინოლოგია რომ მოვიშველიოთ, „ჩვენი ხელმძღვანელების ბრძნული გადაწყვეტილებების შუქზე“ დიდი მოძრაობაა საქართველოში.**

აჩქარებული ნაბიჯით მოძრაობენ არა მარტო ადამიანები, არამედ ძეგლებიც. თბილისის ერთი უბნიდან მეორეში გადააქვთ დავით აღმაშენებლის ძეგლი, ბათუმის ერთი ქუჩიდან მეორეში მიარბენინებენ მემედ აბაშიძის სკულპტურას...

და არა მარტო ძეგლები... ცოტა ხნის წინათ მირგოროდიდან თბილისში დავით გურამიშვილის საფლავის გადატანის იდეამაც გაიჟღერა.

ახლა კი მთელი კატეგორიულობით დადგა ლევილიდან მთაწმინდაზე ქაქუცა ჩოლოყაშვილის ნეშტის გადმოსვენების საკითხი.

ლეგენდარული ქაქუცა ჩოლოყაშვილის ცხედარს უკვე მესამედ უპირებენ ადგილიდან დაძვრას.

1930 წელს იგი ჯერ პარიზთან ახლოს, სენტ-უანის სასაფლაოზე დაკრძალეს, შემდგომ მისი ძვლები ლევილში გადაასვენეს...

ქაქუცას საფლავი, როგორც ისტორიული დოკუმენტი, საქართველოს უბედობის ტრაგიკული სიმართლის ნიშანია და სიმბოლური ილუსტრაცია.

გარდა ამისა, ქაქუცა ჩოლოყაშვილის საფლავი ქართული ემიგრაციის სულიერი საყრდენია... იქაურ ქართველებს ამ საფლავთან, როგორც რელიკვიასთან, მიჰყავთ სტუმრები და მუხლს იყრიან...

მისი ცხედრის შესაძლო ამოთხრის მერე რა უნდა ილონონ იქ განსვენებული სხვა დიდი მამულიშვილების შთამომავლებმა? ალბათ ძნელი არ არის წარმოდგენა, ფსიქოლოგიურად რას ნიშნავს — საკუთარი წინაპრების გვერდით დაკრძალული ქაქუცა ჩოლოყაშვილი... ან თუნდაც, როგორ მოიქცეს ქართველი ემიგრაციის თავადაზნაურთა უკანასკნელი წინამძღოლის, მარშალ კოკი დადიანის თბილისში მცხოვრები შთამომავლები, ვისი საფლავიც ზუსტად ქაქუცას გვერდითაა და სულისშემძვრელი ეპიტაფია ახლავს:

**„მითხარ შენდობა... და ჩემს მხარესა**
**ოდეს მოუთხრობ ამბავს მწარესა,**
**სთქვი, რომ წარწერა იხილე ლოდზე:**
**მვლებიც კი ფიქრობს საქართველოზე“...**

თეოლოგთა განმარტებით, „საფლავი სხვაა და სული სხვა“...

სავარაუდოა, რომ თბილისის ცენტრში ოდესმე ქაქუცა ჩოლოყაშვილის ძეგლიც დაიდგას, მაგრამ მალე რომელიმე უცხოელი ინვესტორის მოთხოვნით, ქალაქგარეთ გადაიტანონ.

ჩვენში, უადგილო და არასაჭირო კონტექსტში წარმოთქმის გამო, უკვე გაუფასურებას იწყებს ისეთი საკრალური სიტყვები, როგორიცაა „სამშობლო“, „ეროვნული“, „პატრიოტი“ და ა. შ. (ეროვნული მისალები გამოცდები, ბუჩქები პატრიოტთა ბანაკებში, საროსკიპოები მეცნიერებათა აკადემიაში...).

იქნებ ჩვენი დიდებული წინაპრების ძეგლების და საფლავების მოგზაურობაც მათი სახელების გაუფასურებას ემსახურება?..



# დუმილის მოსმენისათვის...

**(მეთერთმეტე გვერდიდან)**

მაგრამ პოლონელი მსახიობი და რეჟისორი რიჩარდ რონძევსკი სტილისტურად განსხვავებულ სამყაროს გვთავაზობდა, რაც უპირატესად სახის მიმიკებსა და მუსიკის როლის უარყოფაში გამოიხატებოდა. იგი მუსიკას პრინციპულად არ იყენებს, მიუხედავად იმისა, რომ მას აქვს თეატრის რეჟისორის დიპლომი, მუსიკალური თეატრის სპეციალიზაციით.

**— თქვენი სწავლების მანერა სრულიად განსხვავებულია?**

— იცით, პლასტიკა დაახლოებით ერთი და იგივეა. მიუხედავად ამისა, მე ვაპირებ შემდგომ ამ სპექტაკლში რაღაც ჩემეულიც შევიტანო! ეს შოპენის სამყაროა და მე ჩემი დამოკიდებულება მაქვს ამ სამყაროსთან. რიჩარდი ძალიან კარგი პიროვნებაა... აი, შეხედეთ, რა ხდება!...

**(მივტრიალდით და რიჩარდ რონძევსკი ინვალიდის ეტლში მჯდომ ბავშვს ეფერებოდა...**

რომ მალე ერთმანეთს ველარ შევხდებით...

* * *

მაესტრო რიჩარდ რონძევსკი მაშინ ვნახეთ, როცა არლეკინის თეთრ ნიღაბს იშორებდა. ძალიან სიმპატიური და მაღალი კაცი, უკვე განსხვავებული სახით და პლასტიკით ჩვენსკენ შემოტრიალდა. ვერაფრით წარმოვიდგენდით, რომ ის უკვე 75 წლის იყო...

**— მე ეს ერთი კვირა ახალგაზრდა ვიყავი...** — გვითხრა მან და სტუდენტებს უკვე ჩამოყალიბებული მსახიობები უწოდა. მათ პედაგოგს კი „დიდი კოლეგა“...



გარკვეული დროის მანძილზე რონძევსკი მარსელ მარსოს მოსწავლე იყო, პარიზის პანტომიმის სახელოსნოში... პოლონეთში დაბრუნების შემდეგ შეუერთდა აფანასიევის საოჯახო ცირკის თეატრის დასს (**AFCT**), რომელიც პოეტ ეჟი აფანასიევის მიერ იყო შექმნილი. **AFCT**-ს წარმოდგენებში როგორც მიმი, განასახიერებდა არლეკინს და პიეროს...

ამირან შალიკაშვილი: — რიჩარდ რონძევსკი ჩემი მეგობარია. ერთი კვირა ჩვენს სტუდენტებთან ერთად ატარებდა მეცადინეობებს და დადგა სპექტაკლი. ეს არის სუფთად კომედია დელ არტეს მანერაში. მარსელ მარსოსა და ჩაპლინის ტრადიციული პანტომიმაა... ის დიდი პროფესიონალია და მთელ მსოფლიოში იცნობენ... მას ძალიან უნდოდა ჩემთან მუშაობა.

რა თქმა უნდა, საქართველომ არ იცის, რომ ამირან შალიკაშვილი გენიოსია, რომ **მე, ამირან შალიკაშვილმა, სრულიად ახალი სამყარო მოვიტანე ჩემი ხელოვნებით და აქ დავამკვიდრე...** ღმერთმა შეგარგოთ ქართველებს, მაგრამ თქვენ ნახეთ, რომ მე არაფრის მეშინია და ჩემი მოპოვებული ღირებულებებით მაქვს დამოუკიდებლობა და განსხვავებულობა. თვით მარსელ მარსოც რომ ჩამოვიდეს, მე არც მაშინ შემეშინდება, რადგან მე ვიცი ჩემი დონე...

რიჩარდ რონძევსკის მასტერკლასები შესანიშნავი იყო. ბევრი იმუშავეს და მას ძალიან უხაროდა. არ ჩავრეულვარ, ვიყავი მხოლოდ, როგორც იმპრესარიო...

**ეუბნებოდა სიტყვებს, რომელიც სწორედ იმ სიტუაციას შეეფერებოდა და არ იყო მიზეზთა გამო მხოლოდ სენტიმენტალური).**

—სხვათა შორის, საქართველოში მხოლოდ ჩემს თეატრშია სპეციალურად მოწყობილი შემოსასვლელი ინვალიდთა ეტლებისთვის...

(ვფიქრობ, მაესტრო ამირან შალიკაშვილი ტყუილად ფიქრობს, რომ მის მიერ დამკვიდრებული ღირებულებები დაუფასებელია. ჩვენში, მაგრამ თეატრის შენობის **იავარქმნილი ინტერიერის მიხედვით, ოფიციოზის თანადგომას ნამდვილად ვერ ვხედავთ** და სამწუხაროა, რომ საქართველოში ასეთი გულგრილობა აღარ არის საკვირველი... და იშვიათი)...

**კირა მებუკე** — ჩვენ მაინც ვცდილობთ მცირე შემოქმედებითი დღესასწაულები მოვაწყოთ... აი, ეს ერთი კვირაც, რიჩარდ რონძევსკის მასტერ-კლასები და ბოლოს სპექტაკლი თეატრისთვის ზეიმი იყო.

ეს ბავშვები II, III და IV კურსის სტუდენტები არიან. მათ ყველაფერი შესანიშნავად დაძლიეს. ისინი ხომ რთულ ეტიუდებში იყვნენ გავარჯიშებულნი...

ჩვენი თეატრის სტილისტიკა განსხვავებულია რონძევსკის ესთეტიკისგან, მაგრამ ის ძალიან საინტერესო რეჟისორი და მსახიობია და ვფიქრობ, ეს გაკვეთილები ჩვენი სტუდენტებისთვის ძალიან დიდი სკოლა იყო...

ერთმა კვირამ ძალიან ჩქარა გაირბინა... ჩვენ ისე დავახლოვდით და ისე შეგვიყვარდა ერთმანეთი, რომ გული გვწყდება,

რონძევსკი ამ ურთიერთობას დამთავრებულად არ თვლის, კიდევ მრავალჯერ სურს ჩამოვიდეს საქართველოში, ანუ კიდევ მრავალჯერ სურს გახდეს ახალგაზრდა...

* * *

— ჩემი პროფესიიდან გამომდინარე მე სიტყვასთან მაქვს დამოკიდებულება — მითხრა სპექტაკლის დასრულებისას მწერალმა **თამარ ფხაკაძემ** — და ვერ წარმოვიდგენდი თუ ასე მომეწონებოდა უსიტყვო ხელოვნება, მუსიკის გარშეც კი... დაკვირვებული ვარ, კომედია ყველაზე, ნაღვლიანი ხელოვნებაა... იმ სიცილის უკან ცხოვრების ფილოსოფია და დიდი წუხილი იმალება... მდუმარე არლეკინი კი მართლაც მარადიული პერსონაჟია, რომელიც თითქოს მუდამ თან გვახლავს...

* * *

ქუჩაში გამოსვლისას ცნობილი მსახიობის სიტყვები ამეკვიატა: „ჩვენ რომ სხეულის ენით მეტყველების ხელოვნებას ვფლობდეთ კიდეც, **ვისთან უნდა გაგვება საუბარი?“...**

**ცხოვრებაშიც ხომ ასეა: არა მარტო ჟესტი, სიტყვებიც კი კარგავენ აზრს და საერთოდ, ყველაფერი უაზროა, თუკი ადამიანს არ ჰყავს მოსაუბრე.**

**რიჩარდ როძევსკიმ ჩათვალა, რომ მისი საუბარი საქართველოში შესდგა და ეს მოხდა არა მხოლოდ მაშინ, როცა სცენაზე მის ერთსაათიან დუმილს მხურვალე ოვაციებით შეეგებნენ...**

**ნინო ხოფერია.**

# საუბრები შემოდგომის საღამოს რუსუდან ფეტვიაშვილთან

***რუსიკო ფეტვიაშვილის** ახალი ნამუშევრების ნახვა ისევ ძველ და დროში გამოცდილ საფიქრალს აღძრავს.*

*არაერთგზის დასმული კითხვა, გამოხატავს თუ არა მხატვარს (შემოქმედს) მისივე ქმნილება, ისევ უპასუხოდაა დარჩენილი, ანუ ხელოვნების საიდუმლო საიდუმლოდ რჩება...*

*...და მაინც, ის უჩვეულო სამყარო, რომელიც შესაძლოა, ვერასოდეს გახდება შენი, მხატვრისადმი განსაკუთრებული მოკრძალებით განგვაწყობს, ვინაიდან ამ ნახატებით გამოწვეული დაუსრულებელი გაოცება შემოქმედის პიროვნულობით გაოცებას ნიშნავს.*



*ნახატების პერსონაჟების დინამიურობა კი სწორედ შეჩერებული დროის სიცხადეზე მიგვანიშნებს. იქნებ ამიტომაც, რაღაც მარადიულს და ნამდვილს გვაგონებს, მიუხედავად იმისა, რომ თავად მხატვარი ხაზგასმულად არარეალურს გვთავაზობს და ამითაც რეალურის და ირეალურის ზუსტი კატეგორიების არარსებობას გვახსენებს...*

*საქართველოში რუსუდან ფეტვიაშვილის სახელი ისე, როგორც მისი შემოქმედების ღირებულება, თითქოს უპირობოდაა მიღებული.*

*როგორ აღიქვამენ მას სხვა ქვეყანაში, სადაც რუსიკო ფეტვიაშვილის ფენომენი უცნობია და რაც მთავარია, ძალიან უცხო.*

*„მისი ნამუშევრების ხილვისას კიდევაც შეშფოთდები. მე ღრმად შემძრა მისმა გასაოცარმა ფანტაზიამ, ბუნებრივის შერწყმამ ზებუნებრივთან“ (რენატო გუტუზო).*

*რუსიკოს ნამუშევრები თბილისის, მოსკოვის, პარიზის, ვენის, ბუდაპეშტის, მადრიდის, ლონდონის, შემდეგ გერმანიის ქალაქებშიც გამოიფინა...*

*მხატვარი რამდენიმე დღეა, რაც ბრემენიდან დაბრუნდა და ჩვენი საუბარიც შედგა შემოდგომის საღამოს...*

— შემოდგომა ჩემი ყველაზე საყვარელი დროა, რომელიც ყოველთვის ფიქრებისთვის განმაწყობს... ის თითქოს გარინდებული დროა, თბილი, ტკბილი განწყობილებებით... შემოდგომაზე ცა არის ძალიან ლურჯი და ამ სილურჯეში ჩანს სხვა ფერებიც...

უცნაურია და გერმანიაშიც ზუსტად იგივე ამინდები დამხვდა, როგორც თბილისში დავტოვე. შემთხვევითობად არასოდეს აღვიქვამ ბუნების ფერისცვალებას. ამინდიც, შიშველი ხეებიც,



შოთა რუსთაველი

ლურჯი ცაც რაღაც საერთო წესრიგშია მოქცეული...

***— მართლაც იშვიათია, როცა საქართველოს და გერმანიის ამინდები ემთხვევა ერთმანეთს... როგორ ფიქრობ, ემთხვევა თუ არა ჩვენი და მათი გემოვნება, როგორია ხელოვნების გერმანელი შემფასებელი? ჰგავს თუ არა ერთმანეთს გერმანიის ქალაქების და თბილისური ვერნისაჟები?***

— ხელოვნების ნამდვილი შემფასებელი ყველა ქვეყანაში ცოტაა და ეს სრულიად ბუნებრივია... მხატვრები უნივერსალურ გაგებას არასდროს ვითხოვთ... ძალიან მნიშვნელოვანია ადამიანთა ის კეთილგანწყობაც ჩვენი პროფესიის წარმომადგენლებისადმი...

ოქტომბერში გერმანიაში შავი ზღვის ქვეყნების ფესტივალი გაიმართა. ეს იყო ვესტფალიის მხარეში, პატარა საგრაფოში. იქვე დიდი სამონასტრო კომპლექსია, ქმედითი კულტურული ცენტრით, პრესტიჟული საგამოფენო დარბაზით... როგორც მითხრეს, ამ დარბაზის ექსპოზიციონერობას იქაური პადრე რუფეტი ახორციელებს და რაც მთავარია, საკუთარი წესებით და გემოვნებით ქმნის ექსპოზიციას... ამ ამბავს ღიმილის გარეშე ვერ ვიგონებ: რა თქმა უნდა, მე მოვისურვე საკუთარი ნახატები ჩემი შეხედულებისამებრ გამომეფინა, მაგრამ პადრემ დიდი წინააღმდეგობა გამიწია. მაინც ვეცადე და რამდენიმე ნამუშევარს ადგილმდებარეობა შევუცვალე... გამოფენის გახსნის დროს კი ვნახე, რომ პადრეს ის ნახატები ისევ თავდაპირველ ადგილას დაუბრუნებია. რას ვიზამდი, ბედს შევურიგდი... გახსნაზე ძალიან ბევრი ხალხი მოვიდა. მათ შორის ქათული სათვისტომოებიც. იყო ბევრი უცხოელი ექსპერტი, გალერისტები, ხელოვნებათმცოდნეები, მხატვრები... მაშინ მივხვდი, რომ პადრემ ამ

საზოგადოების რაოდენობა და დათვალიერების სტილი გაითვალისწინა, როცა სამ დარბაზში გამოფინა ჩემი ნამუშევრები. ის ნამდვილად მართალი აღმოჩნდა...

გერმანიაში ჩემი გამოფენები იყო ბრემენში, მინდენში, გოესფილდში... იანვარში ბერლინში ვარ მიწვეული...

რაც შეეხება დამთვალიერებელს... როგორც ვაკვირდები, გერმანელები უამრავი საქმით არიან დაკავებულნი და აქედან გამომდინარე, სულ დაღლილნი ჩანან. ამიტომ უმეტესობას ურჩევნია რაიმე იმპრესიონისტული ნახატი, ერთი-ორი ნათელი ლაქით, ნაკლები პრობლემებით და თავსატეხით... მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ძალიან დიდხანს ჩერდებოდნენ ნამუშევრებთან... შეძენის სურვილსაც გამოთქვამდნენ და თანაც არა ერთი და ორი ნახატის...

***— თანამედროვე გერმანელ მხატვართა ნამუშევრებიც გვიანდელი ექსპერიმენტების დაღს ატარებს...***

— თანამედროვე გერმანიაში ძალიან პოპულარულია ინსტალაციები, რაც მე ხელოვნების დარგად საერთოდ არ მიმაჩნია... არის რაღაც მსვლელობები პრიმიტივიზმისკენ.... დღესაც აინტერესებთ მე-20 საუკუნის დასაწყისში უკვე არსებული კუბიზმი... და საერთოდ, შეიმჩნევა პოსტავანგარდისტული მიმდინარეობები...

***— ჩანს, ევროპა უკვე განვლილ გზას უბრუნდება. საერთოდ, ალბათ შეუძლებელია ფორმის თვალსაზრისით რაიმე ახლის გაკეთება, როცა არსებობს მსოფლიო მხატვრების ისეთი დიდი და უნიკალური გამოცდილებები... ერთადერთი, რაც შეიძლება ორიგინალური იყოს, ეს სრულიად ახალი პიროვნებების მოსვლა იქნება, რომელთაც თავისი განსხვავებული ინდივიდუალობა მოაქვთ.***

— ინდივიდუალობის თვალსაზრისით, ვფიქრობ, გამორჩეულია თანამედროვე ქართული მხატვრობაც. საქართველოში ბევრი კარგი მხატვარია. ისინი, ძალიან კარგად მუშაობენ, მაგრამ არა აქვთ ასპარეზი.

***— ასპარეზი — კიდევ ცალკე თემაა... ევროპაში და ამერიკაში დღეს მხატვრობით, თუნდაც თანამედროვე მხატვრობით მილიონები კეთდება. ვინ არიან ისინი სადღაც, ყველაზე პრესტიჟულ გალერეებში მსხდომი გემოვნების არბიტრები? როგორ უნდა მიაღწიოს მხატვარმა იქამდე?***

— იქ მისაღწევად საჭიროა განსაკუთრებული რეკლამა, დიდი ფული, კლანურ მეტოქეობაში უპირატესი ადგილის დაკავება და ა. შ. მიუღწევადი არაფერი არ არის, თუკი ბედისწერაც შეგიწყობს ხელს. ისე კი ეს ძალიან რთული სისტემაა




რუსიკო ფეტვიაშვილი მეუღლესთან ერთად

და მრავალ გარეშე ფაქტორზეა დამოკიდებული.

***— აგრეთვე იმაზეც თუ ვინ და როგორ გიქმნის ფონს...***

***ძალიან მიხარია, შენი დამოკიდებულება თანამედროვე ქართული მხატვრობისადმი, იმ ინდივიდუალობისადმი, რომელიც ქართველებს პიროვნულად ახლავთ...***

— მე ვერასოდეს, ვერასოდეს ვერ ვიცხოვრებდი სხვაგან... მქონდა ძალიან მნიშვნელოვანი მიპატიჟებები, თუნდაც, ამერიკაში სამუდამოდ საცხოვრებლად. ეს იყო კომერციული თვალსაზრისით მართლაც არაჩვეულებრივი შემოთავაზება, მაგრამ უნდა გავმხდარიყავი ამერიკის მოქალაქე. გამოფენებზეც ამერიკის მოქალაქის სახელით უნდა მიმეღო მონაწილეობა... შეიძლებოდა კულისებში გაჟღერებულიყო, რომ ვარ ქართველი, მაგრამ... კარგად ვიცი, რომ სხვაგან არასოდეს ვიქნები კარგად...

***— როგორია ტრადიციებთან დამოკიდებულება თანამედროვე ევროპაში... თუნდაც ემპირიულ დონეზე...***

— ემპირიულ დონესთან დაკავშირებით ერთი სასაცილო ისტორია მახსენდება. ვესტფალიაში პატარა საგრაფოა და როგორც ამ მხარის ცოცხალი კოლორიტი, იქ ნამდვილი გრაფი ცხოვრობს... მისი და მისი სამოსახლოს დასათვალიერებლად სტუმრები მიჰყავთ. ის კულტურული ღონისძიებათა მარშრუტში ჰყავთ ჩართული, მაგრამ ყველა აღიარებს, რომ გრაფი განსაკუთრებულად უხასიათო და მიუკარებელი ადამიანია. ყველა ესაუბრება რევერანსით, ის კი თავის მაღალ ყურადღებას იშვიათად დაუთმობს ვინმეს... მეც და ჩემი მეუღლეც თემურ ბადრიაშვილი იქაური მხარის კულტურის განყოფილების შეფმა გრაფთან წაგვიყვანა. გზაში დაუსრულებლად მის უმძიმეს ხასიათზე გვიყვებოდა. შეხვედრისას გრაფს მართლაც ზედმეტად ამაყად ეჭირა თავი... როდესაც ჩვენმა გიდმა ცოტა ხნით დაგვტოვა, შევკრთი. რაიმე თავმოყვარეობის შესალახი რომ არ გადამხდენოდა... მერე მეც გამბედაობა მოვიკრიბე და ამაყად ვუთხარი: — ბატონო გრაფო, ძალიან სასიამოვნოა თქვენი გაცნობა, მით უფრო, რომ ჩვენი წინაპრებიც გრაფები იყვნენ...

ის ნელა და ინტერესით მობრუნდა და ჩვენი გრაფობის დამადასტურებელი საუბრის გაგრძელება გვთხოვა. ავუხსენი, რომ ჩემი მეუღლის წინაპრები, დედის მხრიდან არიან გრაფები კაზიცკები და საბატოვსკები. აგრეთვე ბულგარელი კლანია ტაძიო ხაჯი კრისტი. მისი ბებიის და ტანას კარაოლლი მიხაილო ალბანეთის უკანასკნელი მეფის ცოლი იყო...

გრაფი დაძაბული ყურადღებით გვისმენდა. მერე მე დავძინე, რომ დედის მხრიდან გურამიშვილი ვარ, რაც ასევე გრაფობას უდრის...

ვესტფალიის გრაფის ჩვენდამი განწყობილება რადიკალურად შეიცვალა. მან დიდი პატივისცემის გამოხატვით მიგვიწვია სახლში. უკან მობრუნებული ჩვენი თანმხლები გერმანელი გაოცდა, როცა გრაფის ასეთი მეტამორფოზა ნახა, მით უმეტეს, მიზეზი არ იცოდა და ჩვენც არაფერი გვითქვამს...

* * *

ეს შემოდგომაც ჩაივლის და ზამთარში, იანვრის თვეში, ქალაქ ბერლინის ცენტრალურ საგამოფენო დარბაზში რუსიკო ფეტვიაშვილის პერსონალური გამოფენა გაიხსნება... მნიშვნელოვანია, რომ ამას იგივე დარბაზში, გენიალური მხატვრის მარკ შაგალის ნამუშევართა გამოფენა უსწრებს...

**— შაგალის მერე... რა თქმა უნდა, ძალიან ძნელია...** — ამბობს რუსიკო.

... და თუ რა მოხდება **„შაგალის მერე“** ჩვენი გაზეთის მკითხველს აუცილებლად შევატყობინებთ...

**ესაუბრა**
**ნინო ხოფერია**

**„კვირაძალს საკითხავის“ 28-ე ნომერში დაიბეჭდა ფრაგმენტი ბაბო დადიანის ხელნაწერი დღიურიდან, სათაურით: „დედის დღიური შვილის კომენტარებით“.**

**მკითხველთა ინტერესის და გამოხმაურებების გათვალისწინებით, დღეს სხვა ფრაგმენტებსაც გთავაზობთ.**

# „დედის დღიური შვილის კომენტარებით“



თათული ღვინიაშვილი: **დედა რომ როსტოვიდან ჩამოვიდა, მეზობლებმა გააფრთხილეს: მოგაკითხესო... უნდა დამალულიყო, თორემ დაიჭერდნენ... დედა იმ პერიოდში სულ სადღაც იმალებოდა. მე და გიორგი ფაქტიურად მარტონი ვიყავით... ხანდახან ახლობლები გვაკითხავდნენ... აი, დღეს ვიხსენებდით სწორედ: მედეა ჯაფარიძე მოვიდა ერთხელ... მაშინ მე 11 წლის ვიყავი, მედეა 17-ის... ამ წლებში უფრო ჩანს ასაკობრივი განსხვავება... რაჭიდან გამოგზავნილი ლორი და მჭადი მოგვიტანა... ჩვენ ვეღარ მოვითმინეთ, არ დაველოდეთ მედეას წასვლას და იქვე სასწრაფოდ დავიწყეთ ჭამა... ამ დროს მედეა, ეს ულამაზესი ქალი, დერეფანში იდგა, ფანჯარასთან თავმიყრდნობილი და დიდხანს, დიდხანს მდუმარედ და ნაღვლიანად გვიყურებდა...**

მალე მე და გიორგი, როგორც მავნებლის და ხალხის მტრის შვილები, მე-14 სკოლიდან გამოგვყარეს...

**დღიურიდან: „თბილისის სადგურზე დამხვდნენ ახლობლები... ჩემი შვილებიც დამხვდნენ ჯანმრთელად ორი, სამი დღის მერე კი მოვიდა ნათესავი, ცუდი ამბის სათქმელად მოვედიო და კოკი ბაბას გარდაცვალება მაცნობა. თავზარი დამეცა. ბაბა 60 წლის იყო. ვიმედოვნებდი კიდევ მენახა... მთელი ნათესაობა, არავინ დარჩენილა, ყველა მოვიდა თანაგრძნობით, სინანულით... ვინც კი იცნობდა, ყველას უყვარდა...“**

თათული ღვინიაშვილი: ემიგრანტები ამბობდნენ: რაღაც განსაკუთრებით სევდიანი თვალები ჰქონდაო კოკი დადიანს... დედა ხშირად დასცქეროდა აი, ამ სურათს: აქაც როგორი სევდიანი თვალები აქვს მამას...

თითქოს ყველას ცხოვრებაში გამოერევა რაღაც ბედნიერებისმაგვარი... ჩვენს ოჯახს კი ბედი სულ რაღაც განსაცდელს უმზადებდა...

1951 წლის დეკემბერში მთელი ოჯახი შუა აზიაში გადაგვასახლეს...

**დღიურიდან: „ჩვენს ეშელონს წითელი „პლაკატი“ ჰქონდა გაკრული: „Добровольно“. ასე მივქროდით 14 დღე და არ ვიცოდით საით. გვერდით გურამ გაბაშვილია, დედით — ელისაბედ გაბაშვილით...**

**ისეთი სიცივე იყო, რომ საბანი გაყინულ კედელს ეკვროდა და რომ მოვგლეჯდით, ბამბა კედელზე რჩებოდა...**

**ერთ-ერთ სადგურზე გურამმა და გიორგიმ მოისმინეს, როგორი გაცხარებული კამათი ჰქონდა ეშელონის უფროსს ჩეკისტ სარუხანოვს. ეუბნებოდა: მე არ დავძრავ ეშელონს. აქ ინტელიგენციაა და თქვენ გინდათ წავიყვანოთ, в самое незаселенное место, უდაბნოში. ეს საუბარი მორიგემ გადასცა. კვანძის უფროსმა კი ბრძანა: „Передайте машинисту и пусть следует по приказу в самой незаселенные места!“**

**ასეც მოხდა. ჩვენი ეშელონი იყო პირველი და იმიტომ ხვდა ასეთი ხვედრი. იმ ღამეს საქართველოდან 16 ეშელონი გავიდა...**

**14 დღე-ღამის მოგზაურობის შემდეგ დილის 6 საათი იყო, როცა გაჩერდა ჩვენი ეშელონი და გააღეს ჩარაზული კარები. გადმოგვიყვანეს. გველოდებოდა უამრავი საბარგო მანქანა. ჩეკისტებმა, რომლებიც ჩვენ მოგვყვებოდნენ, სიით, თითოთითო გვარების ამოკითხვით, ჩააბარეს ჩვენი თავი ყაზას ჩეკისტებს, რომლებიც ბლომად იყვნენ.**

**ამ სიების ამოკითხვის შემდეგ ჩაგვყარეს საბარგო მანქანებში. თათული მძღოლის გვერდით, კაბინაში იჯდა, პლედში გახვეული; სახლიდან წამოვიდა ფილტვების ანთებით...**

**ვცხოვრობდით უკიდურეს ძნელ პირობებში. მიწურებში, სადაც თხები ჰყავდათ ყაზახებს, თხები გამოიყვანეს და ჩვენ მოგვათავსეს... ორ დაბეჭდილ ქაღალდზეც მოგვაწერიეს ხელი. ერთი საბუთი იყო „на вечное поселение“. მეორე საბუთის მიხედვით, თუ გავიპარებოდით, კატორღა გველოდა 25 წელი.**

**გვაკრეფინებდნენ ბამბას (ნორმა 80 კილო). სიცხე აუტანელი. უწყლობა. წყალს ვიღებდით თხრილიდან ჭუჭყიანს, ჭიებით სავსეს. წყალს ვასხამდით ბალიშის პირში და ისე ვწურავდით...“**

თათული ღვინიაშვილი: მე არ ვიცი, რა აძლევდა დედას ძალას, მაგრამ იმედი არასდროს ტოვებდა...

**(გაგრძელება იქნება)**


ბაბო დადიანი

# ჯანრი კაშია სიცოცხლისა და სიკვდილის შესახებ

(ფრაგმენტი)



**„სიკვდილზე ფიქრი, „აქ“ და „ახლა“ არსებობის წინაშე წარმოშობილი კითხვების გადაწყვეტაა და არა სიკვდილისშემდგომ ცხოვრების რაობის გარკვევა“...**

სიკვდილის შესახებ კითხვა ორი ფორმით იჩენს თავს: რა არის სიკვდილი? და რა ხდება სიკვდილის შემდეგ: არსებობს თუ არა სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ? ეს უკანასკნელი კითხვა, რომელიც თან სდევს როგორც ერთეულ ადამიანს, ისე მთელ კაცობრიობას, ფაქტიურად სიცოცხლის უკვდავების შესახებ არის დასმული და თვით სიკვდილის არსებობას და რაობას ნაკლებად ეხება. ყველა შემთხვევაში სიკვდილის ფაქტი ერთმნიშვნელოვან და თვით სიკვდილის არსებას და რაობას ნაკლებად ეხება. ყველა შემთხვევაში სიკვდილის ფაქტი ერთმნიშვნელოვან და თვითცხად ფაქტთა რიგს მიეკუთვნება. რელიგიები და კულტურის მატარებლები სიკვდილის ამ არსება-ფაქტობრიობის მიმართ იძენენ ფორმას: თუ როგორ ფლობენ ამ თემას და რა მნიშვნელობას ანიჭებენ მას ადამიანის ყოფიერებაში...

ბუდას პირველი შეხვედრა სიკვდილთან და მასზე დაფიქრება, ხდება მისი გზაზე შედგომის და, საბოლოოდ, განათლებულობის წყარო, განათლებულობა კი მისი რელიგიურობისა: სიკვდილზე ფიქრი „აქ“ და „ახლა“ არსებობის წინაშე წარმოშობილი კითხვების გადაწყვეტაა და არა სიკვდილისშემდგომი ცხოვრების რაობის გარკვევა, რადგან „იქით და შემდეგ“ ყოფიერების შესახებ ფიქრი, „აქ-და-ახლა“ არსებობისთვის არაფრის მომტანი არ არის თავისებურად. იქითურობაც თვითეულისადმი ყოფიერების სახით ანუ რწმენით უნდა მიიღო, არსებობის აქსიომად, თუ არსებობ აქ-და-იქ. კითხვა უკვე იმას შეეხება, თუ როგორ არსებობ? რა ფორმით?...

ყოფიერება იმდენადვეა ადამიანში, რამდენადაც მის გარეთ და ეს სიმეტრიულობა აძლევს ადამიანს შესაძლებლობას იყოს სამყაროს შემოქმედი თუ არა, მისი თანაშემოქმედი. ქრისტემ ეს გამოთქვა ღვთის სასუფეველის ადამიანის გულში მოთავსებულობით, ხოლო ვაჟა-ფშაველამ კი თქვა: „ჩვენ ბუნებაში ვართ — იგი ჩვენშია, საით, როგორ შეგვიძლიან იგი თავიდან ავიშოროთ, იმას გავექცეთ, დავემალნეთ. ცოცხალნიც მისი ვართ და მკვდარნიც...“

ადამიანის არსებობას მხოლოდ იმიტომ უჩნდება აზრი და ეძლევა ფორმა, რომ ცოცხალი ყოფიერების არსება გადაიკვანძა სიკვდილთან. კვდომადობა, ანუ გასვლა აქ-და-ახლა ფიზიკური ცხოვრების საზღვრიდან, მეხსიერების, წარმოსახვის და ღირებულების ფორმად, ყველაზე დიდი პრობლემა რჩება ადამიანის ყოფიერებაში. ყოფიერების სხვადასხვა განზომილებათა მაკავშირებელი გვირაბების გავლა მხოლოდ სიკვდილის ფორმითაა შესაძლებელი, ამიტომ კითხვა ასეთ სახესაც იღებს: ექნებოდა თუ არა საზრისი და ფორმა ადამიანის არსებობას, უკვდავების პირობებში?... „ღმერთმა გიშველოს, სიკვდილო, სიცოცხლე შვენობს შენითა, და შენც, სიკვდილო, ფასი გძე სიცოცხლის ნაწყენობითა“... (ვაჟა-ფშაველა)...

ამასვე გვეუბნება გილგამეშის, ულისესა და სხვათა არამიწიერი მოგზაურობა. ამაზე მიგვითითებს მთელი მიწიერი თავგადასავალი „იქიდან-აქეთ“ მისული იესო ქრისტესი, რომლის ცხოვრება კაცურ სახეობაში მხოლოდ ჯვარცმაში და სიკვდილში იძენს თავის ღვთაებრივ სახიერებას და ფორმას: აღდგომა მხოლოდ სიკვდილის გარღვევითაა შესაძლებელი და არა მანამდე...

„სიკვდილითა სიკვდილისა“... სიცოცხლეად დაარსების გზა სიკვდილზე გადის...



# ემიგრაცია — ტრაგედია თუ ხსნა?

(იბეჭდება შემოკლებით)

**რა გადაარჩენს საქართველოს? როდის უნდა დაბრუნდნენ დაკარგული შვილები, რა დოზით, ფორმით და იდეით? რა კატეგორიის მიგრანტ-ემიგრანტები შემობრუნდნენ, ვინ უნდა დარჩეს უცხოეთში ქართული სახელმწიფოებრიობის, კულტურის, ეროვნული ღირებულებების წარმოსაჩენად? როგორ უნდა მოიზიდოს ახალმა ხელისუფლებამ ძველი ხელისუფლებით ნიჰილიზმამდე მიყვანილი მოძმეები? — აი, ეს არის შეკითხვები, რომელზეც პასუხის გაცემა სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ამოცანა უნდა იყოს დღეს, რადგან 15-წლიანი თავისუფლების დაუდევრად მოპყრობამ წუთის გაცდენის შანსი არ დაგვიტოვა...**

მოდით, ორიენტაციის, პრიორიტეტების, გლობალიზაციის საკითხები ცოტა ხნით გვერდზე გადავდოთ და პრობლემის ფსიქოლოგიურ ანალიზზე გადავიდეთ. ლონდონში სხვადასხვა სოციალური სფეროს ემიგრანტ ქართველებთან გულღია, მხურვალე საუბარმა დამარწმუნა, რომ ბევრ მათგანს საერთოდ არ აღელვებს დაბრუნება-არდაბრუნება. განა არ აინტერესებთ, უბრალოდ რწმენაშერყეულმა ზოგიერთმა თანამემამულემ ბენვის ხიდზე გამოუცდელი ჯამბაზივით იარა, დიდი გაჭირვებით იპოვა მუდმივი შემოსავლის წყარო და დღეს ეძნელება დაბრუნება უკან, სადაც, მათი განმარტებით, ველარ მოახერხებს აქტიურ სოციალურ ურთიერთქმედებებს. თვით პროფესიონალებიც? მოკრძალებით დაძრავენ კრინტს შესაძლო დაბრუნებაზე. მათში ოპტიმიზმის ნაპერწკალია და პესიმიზმის ცეცხლი. ერთია კიდევ, კაპიტალისტურ ცხოვრების წესს ხმაშეწყობილი ნიჭიერი, სამართლიანი, პროფესიონალი „ფულის კეთების“ მანიით შეპყრობილ საზოგადოებაში არ იკარგება. ანუ საფინანსო დოლი თავის სარტყელში აქცევს ასეთ ადამიანს და პატრიოტიზმის ცნება ბუნდდება, იკარგება. ამასთან თან ერთვის შეუქცევადი გლობალიზაციის პროცესი, თანამედროვე ტექნოლოგების განვითარება, როცა ქართველს საშუალება ეძლევა ოჯახთან, მეგობრებთან სიახლოვე გაამყაროს და მიუსაფრობის შეგრძნება გააცამტვეროს. ბუნებრივია, ასეთ პირობებში რთულია ცარიელი ენთუზიაზმის გაღვივება. ასეთ შემთხვევებში სახელმწიფო ღონისძიებათა უმაღლეს რანგში უნდა ავიყვანოთ სათვისტომოს შექმნა, პატარა ქართული კერების გადატანა უცხოეთში, სადაც მეტი ურთიერთშეკავშირების საშუალება ჩნდება. ვფიქრობ, გადაუდებელია შეიქმნას საინფორმაციო ვებგვერდი, სადაც დეტალურად განთავსდება სახელმწიფო სტრუქტურებსა თუ კერძო სექტორში არსებული ვაკანსიების ნუსხა ანუ საჯაროობის პრინციპი ახლადგამომცხვარ ქართველ პროფესიონალს არჩევანის უფლებას დაუტოვებ, ცდა ბედის მონახევრეაო, უთქვამს ბრძენ კაცს, — მოდით, ჩვენც დავესესხოთ ამ ჭეშმარიტებას.

სწორედ გარკვეულ ფინანსურ სტაბილურობას შეჩვეული თანამოქალაქეების აწონილ-დაწონილი, კონტროლირებადი დაბრუნება უნდა გადაიქცეს ქვეყნის აღმშენებლობის ქვაკუთხედად. უცხოელ ბიზნესმენს აღარ გაუჭირდება დასავლურ ცხოვრებაგამოცდილ პარტნიორთან საერთო ენის გამონახვა. განვითარდება წვრილი და საშუალო ბიზნესი, შეიქმნება უამრავი კერძო კომპანია, ანუ დაჩქარდება პატიოსნების პრინციპით ქვეყნის ეკონომიკური განვითარება. მაშინ „რკინის არტახებს“ (კანონებს) შეემატება აზრი, რომ შესაძლოა კანონიერი გზით თავის რჩენა, ოჯახის ყოლა, მიწიერი ბედნიერება...

პოლიტიკურადაც ევროპაში ნაცხოვრებ თანამემამულეებს ბუნებრივად ჩამოუყალიბდებათ პროევროპული ორიენტაცია, ამერიკიდან დაბრუნებულები ჩამოიტანენ ამერიკული ცხოვრების წესს. სწორედ ამ ორი ორიენტაციის შეჯიბრება შეუწყობს ხელს ჩვენი ქვეყნის დაწინაურებას. თანაც ნელ-ნელა განდევნის რუსულ ორიენტაციას, რაც ჩვენში, ზოგიერთის აზრით, უალტერნატივოდ ჩაადუღაბა ისტორიულმა ბედუკუღმართობამ. ჩვენი ფსიქოლოგიაში უკიდურესობის ცნებაც თანდათანობით წარსულს უნდა ჩაბარდეს. უფრო კონკრეტული რომ ვიყოთ, ქართულმა დიპლომატიამ და პოლიტიკურმა ესტაბლიშმენტმა ლავირებადი, მშვიდი პოლიტიკა უნდა აამოქმედოს და ხანდახან თითის გაშვერით პოზიციების გამოხატვას (იარლიყების მიწებებას), უხმოდ და გონივრულად საქმის კეთება აირჩიოს. რა თქმა უნდა, ყველაფერ ამას თან უნდა ერთვოდეს **ღირებულებათა ჰარმონიაში ქართული ცხოვრების წესის გათვალისწინებაც.**



თუმცა არ არის გამორიცხული, გენოფონდდაკარგულმა საქართველომ, გარე სახელმწიფოების კეთილი ნების მიუხედავად, ნელ-თბილი, მტერ-მოყვარული განვითარების ბედისწერა ირგუნოს. ეს იმ შემთხვევაში, თუ მოწოდება — „უკან დაბრუნება“ დარჩება „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“. მაშინ ქვეყანას დაუბრუნდებიან ფსიქოლოგიადამახინჯებული, მომხვეჭელობით დაავადებული ვაი-ქართველები. ისინი, რომლებსაც დემოკრატია-კაპიტალიზმი უზომო თავისუფლება ჰგონიათ. ისინი, ვისთვისაც თანამოძმეებისა თუ ბანკების „გადაგდება“, საფინანსო მაქინაციები, ქურდობა, უზნეო საქციელი თვითდამკვიდრების საშუალებებია. ერთ მშვენიერ დღეს მასპინძელი ქვეყნიდან გამოძევებულნი და უკან მობრუნებულები, ნაბიჯ-ნაბიჯ წინმავალ საქართველოს მახვილს ჩასცემენ წარბშეუხრელად, დაუნანებლად — მათთვის ხომ სახელმწიფო უცხოპლანეტელია, მოპარვა კი ცხოვრების წესი. სწორედ ამ ფსიქოლოგიის მსხვერპლად არ უნდა ვიქცეთ და გვწამდეს — სახელმწიფო თითოეული ჩვენთაგანია, ჩვენი ნება და უფლებაა...

ბუნებრივია გარკვეული სიფრთხილითაა განსასჯელი, თუ როგორ უნდა შეერწყას უცხოეთიდან მობრუნებული თანამემამულეები საქართველოში დარჩენილ მოძმეებს, რომლებმაც საკუთარ თავზე გამოსცადეს ქარბორბალას ტრიალი — გაუსაძლისი ყოფა. ხომ არ გაჩნდება თანაცხოვრების ჰარმონიაში სახესხვაობათა ბზარი და ამით ხომ არ ჩამოყალიბდება კიდევ ერთი ახალი თავსატეხი, სახელად — გაუცხოების სინდრომი? ასეთ შემთხვევაში არაა გამორიცხული ჩვენ შევეჯახოთ ახლადდაბრუნებულებისაგან საქართველოზე საბოლოოდ ზურგშექცევის რეალობას. ასე რომ ერთი სირთულეა უკან დაბრუნება, მაგრამ მასვე ჯაჭვური რეაქციით თან მოსდევს უკან დაბრუნებულის თვითდამკვიდრების პრობლემაც, რაზეც სოციოლოგიური კვლევის სამსახურებმა ხელისუფლებასთან ერთად დღესვე უნდა იფიქროს...

ზუსტად ხუთი წლის წინათ, ლონდონში ჩამოსვლამდე ორი თვით ადრე, როცა შევარდნაძის მეორე ვადით გაპრეზიდენტებას ზეიმობდნენ ზოგიერთები, ერთ-ერთ გაზეთში წერილი დავწერე სათაურით — „საქართველომ არჩევანი გააკეთა, მაინც რა გველის? — დაპირება გველის“. სტატია ასე მთავრდებოდა: „აზრაყრილი ქაშუეთის წმინდა ტაძარს გამოვცდი, თავისუფლების მოედნისაკენ მივამთხვევდი სხეულს, ფიქრმოძალებული მეტროში ჩავჯექი. უცებ გამოვფხიზლდი. შემდეგი სადგური... — მემატიანის ბოლო სიტყვა ვერ გავიგონე“...

მოდით ქართველებო! ერთად ჩავსხდეთ იმ მატარებელში, რომელიც ჩვენს საქართველოში ჩაგვიყვანს და ნიჭს, ენერგიას შეგვალევინებს დაბნეული სამშობლოსადმი.

**პაატა ბელთაძე**

**ჟურნალიდან „თანამემამულე“, №4 2005 წ. ლონდონი, დიდი ბრიტანეთი**

გაფორმებულია რუსუდან ფეტვიაშვილის ნამუშევრებით

ჩვენი ტელეფონებია: 99-55-01; 893 14-57-56.

ჩანართზე მუშაობდნენ: ნინო ხოფერია, მამუკა ვაშაკიძე, ლევან ბოჭორიშვილი.



ინტერვიუ

# ქრონოგრაფი

## 1 ნოემბერი, 1998 წელი



**ფინელი ავტომრბოლელი მიკა ხაკინენი პირველად გახდა „ფორმულა-1“-ის ჩემპიონი.** მან პირველობა მოიპოვა პირად ჩათვლაში, პილოტთა ჩემპიონატზე და მოიგო სუზუკის ტრასაზე „გრან-პრი იაპონიის“ სეზონური რბოლა. ხაკინენმა პილოტ დევიდ კულტჰარდთან ერთად ტანდემში მესამე ადგილი დაიკავა და თავის გუნდ „მაკლარენს“ კონსტრუქტორთა თასი მოუპოვა.

## 2 ნოემბერი, 1894 წ.



**რუსეთის ტახტზე ავიდა ქვეყნის უკანასკნელი იმპერატორი ნიკოლოზ II (ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე რომანოვი).** იმპერატორ ალექსანდრე III-ის 26 წლის ვაჟი, მამის მოულოდნელად გარდაცვალების შემდეგ, თითქმის 23 წელი მართავდა რუსეთს. უნებისყოფო, ლმობიერმა და გაუბედავმა იმპერატორმა XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე მეტად რთული სიტუაციის პირობებში სახელმწიფოს მართვა ვერ შეძლო. იმავე წელს იმპერატორმა ჯვარი დაიწერა პრინცესა ალისა გესენდარმშტადსკზე (ალექსანდრა თევდორეს ასულზე). ნიკოლოზ II-ის მეფობის პერიოდში მოხდა რუსეთ-იაპონიის ომი, რაც რუსეთის მარცხით დამთავრდა, ტრაგიკული მოვლენები ხოდინსკის ველზე, სისხლიანი კვირა, 1905-1907 წლების რევოლუცია, პირველი მსოფლიო ომი, 1917 წლის თებერვლის რევოლუცია, შემდგომ ოქტომბრის რევოლუცია. კომუნისტებმა იმპერატორი და მისი ოჯახის წევრები სიკვდილით დასაჯეს.

## 3 ნოემბერი, 1762 წელი



**საფრანგეთმა ფარულად დაუჭირა მხარი ესპანეთს ბრიტანელების წინააღმდეგ გაჩაღებულ ომში და მას გადასცა ლუიზიანის უდიდესი ტერიტორია მექსიკის ყურესთან.** ეს მიწები საფრანგეთს ეკუთვნოდა და მას XVII საუკუნეში საფრანგეთის მეფე ლუი XIV საპატივცემულოდ ეწოდა სახელად ლუიზიანა. ესპანეთი ომში დამარცხდა. ინგლისმა დაიკავა ტერიტორიის აღმოსავლეთი ნაწილი, ხოლო დასავლეთი ესპანეთის საკუთრებაში გადავიდა. ნაპოლეონმა შესძლო ეს მიწები კვლავ საფრანგეთისთვის დაებრუნებინა, მაგრამ 1803 წელს მან ეს კოლონია აშშ-ს მიჰყიდა. 9 წლის შემდეგ ლუიზიანა აშშ-ს რიგით მეთვრამეტე შტატი გახდა.

# სიცოცხლის გამართლება

**80 წელი შეუსრულდა სსრ კავშირის სახალხო არტისტს, რუსეთის კინორეჟისორთა გილდიის პრეზიდენტს, სახელმწიფო კინემატოგრაფიის ინსტიტუტის პროფესორს მარლენ ხუციევს. მისი გადაღებული ფილმები „გაზაფხული ზარეჩნაიას ქუჩაზე“, „ორი ფიოდორი“, „ილიჩის საგუშაგო“, „ივლისის წვიმა“ საბჭოური კინოხელოვნების ოქროს ფონდში შევიდა.**

**ამ დღეებში ბატონი მარლენი იალტაში იმყოფება, სადაც ახალი კინოსურათის გადაღებებს ამთავრებს — ლევ ტოლსტოისა და ანტონ ჩეხოვის შეხვედრის შესახებ.**

***— როგორ მიხვედით თქვენს ახალ ფილმამდე?***

— დიდი ხანია ჩეხოვზე რაიმეს გაკეთება მინდოდა. მისი დრამატურგიის პრინციპი ჩემთვის მახლობელია. ყოველთვის მიზიდავდა ერთგვარად წარეცხილი მოქმედება: ჯერ კიდევ სადიპლომო ნაშრომში გადავიღე სცენები, სადაც თითქოს არაფერი განსაკუთრებული არ ხდება...

ახალი სურათისთვის ავირჩიე ტოლსტოის მიერ ავადმყოფი ჩეხოვის მონახულების ეპიზოდი. სცენარი მე და ჩემმა ვაჟმა იგორმა დავწერეთ. პირობითად გავიყავით სფეროები: მე ჩეხოვი უფრო მიყვარს და ვიცი, იმან კი ტოლსტოი იცის უკეთ. ჩეხოვთან მსხვილ ფორმებს ვერ შეხვდებით, თუმცა ყველაფერი, რაც მან დაწერა, ყველა მისი მოთხრობა თითქოს ერთი დიდი რომანია. სხვა მწერლებთან ცხოვრების პანორამა რომანის გაყოლებით დაიმზირება, ჩეხოვთან კი რუსული ცხოვრება, მთელი მრავალფეროვნებით, მოთხრობებშია გადაშლილი. ისინი ერთ დიდ ფორმად წარმოდგებიან.

***— რა იყო განსაკუთრებული ჩეხოვისა და ტოლსტოის ურთიერთობებში? რატომ სწორედ ამ რაკურსით დაინტერესდით?***

— განსაკუთრებული არაფერი ყოფილა, ისინი უბრალოდ ურთიერთობდნენ. ტოლსტოი დიდად აფასებდა ჩეხოვს, მაგრამ თანაც ფიქრობდა, პიესებს არ უნდა წერდესო. ისეთი მთა რომ მიდის, როგორიც ტოლსტოია, ეს ნამდვილი ღვთისმგმობელი (მარტო წვერი რად ღირდა), ჩეხოვთან, ეს თავისთავადაც ღირსშესანიშნავია. მით უფრო, რომ ისინი ადამიანის უკვდავებაზე, დანიშნულებაზე ლაპარაკობდნენ. ადამიანებს მუდამ აღელვებდათ საკითხები — როგორ იცხოვრონ, რა გზები აირჩიონ. ოღონდ არ მიყვარს მათემატიკური სიზუსტით ჩამოყალიბებული იდეები. ჩემს ყველა ფილმში მნიშვნელოვანია არა უბრალოდ სიუჟეტი, არამედ პრობლემები — რისთვის მოსულხარ, რისთვის ცხოვრობ...



არ ვიცი, წარმატებული გამოგვივა თუ არა ფილმი, მაგრამ მაინც მაქვს სერიოზული მაყურებლის კეთილგანწყობის იმედი. დღევანდელი მაყურებელი გარყვნა ჩვენმა ესტრადამ, პოპმა, ღმერთმა უწყის, რა რაოდენობის სერიალურმა, ლამის პორნოგრაფიულმა და უხამსმა კინომ. შეხედავ ტელევიზორს და — სიფათში ზედიზედ მოკერება, ამასთან პრაქტიკულად ყველა არხზე დაუსრულებლად. საშინელებაა. ცხოვრებაზეც ეს ყველაფერი უთუო ანაბეჭდს სტოვებს. ადრე თუ ქუჩაში სერიოზული ლაპარაკის ნაწყვეტის მოსმენა შემთხვევით შეიძლებოდა, ახლა ყველა აზრმა ფულადი ინტერესის სფეროში გადაინაცვლა. მხოლოდ სიტყვა „ბიზნესი“ გაისმის. ახლა უკვე ველარ გაიგონებ, თუ როგორ უკითხავენ ადამიანები ერთმანეთს ლექსებს... ვერც ასეთ რამეს გაიგონებ, ჩვენი ხელოვნების ერთ-ერთმა პატრიარქმა რომ მითხრა, შემთხვევით შეხვედრისას, „ილიჩის საგუშაგოს“ შემდეგ: „მარლენ, თქვენ გაამართლეთ თქვენი სიცოცხლე...“

***— სხვადასხვა ხანაში ხართ ნამუშევარი. როდის უფრო გეადვილებოდათ? რა პრობლემები გიჩნდებათ დღეს, როცა შესაძლებლობები თითქოს მეტია?***

— ადრე სახელმწიფოს ცენზურა არსებობდა, ახლა ფულის ცენზურაა. კარგად არც მესმის დღეს არსებული პროდიუსერობის სისტემა. ბევრს უბრალოდ მეტი ფულის გაკეთება სურს. აღარც ღირსების ცნება, აღარც იმის გამო სიამაყისა, რომ რაღაც უნიკალურ მასალაზე მუშაობენ და უნიკალურ ადამიანებთან და მარტო ესეც ეყოფოდათ პატივისათვის... წინათ რეჟისორი კინოპროცესის მთავარი ფიგურა გახლდათ. ბევრ რამეს, რასაკვირველია, სახელმწიფო და მისი სტრუქტურები წყვეტდნენ, პროდიუსერობდნენ, როგორც ახლა იტყვიან; და მაშინ არავინ მიკარნახებდა, მსახიობთაგან ვინ ამეყვანა, თუმცა, ყველა სინჯს იხილავდნენ. ახლა კი ვიცი, როგორ ახვევენ თავს რეჟისორებს მსახიობებს. მე ასეთი სიტუაციები, საბედნიეროდ, არ მქონია...

***— თქვენ კინემატოგრაფიის ინსტიტუტში ასწავლით. თქვენმა სტუდენტებმა სხვაგვარი ცხოვრება არ იციან და ამ აზრით, ისინი ეგებ იოლადაც ეწერებიან ამჟამინდელ კალაპოტში...***

— იმათგან სულ ის მესმის, როგორ უჭირთ, როგორ ეძებენ ფულს; ხოლო თუ ეს კომერციულ საფუძველზე მოსწავლე სტუდენტები არიან, მაშინ სპონსორების ძიებაც უწევთ. ინსტიტუტში ადრე არ იცოდნენ, საზრუნავი რას ჰქვია. საბიუჯეტო სახსრებზე სტუდენტები დაწესებულ სამ ნაშრომს იღებდნენ, სადიპლომოს ჩათვლით. ახლა ყველაფერი გაცილებით რთული და პრობლემატურია...

**ესაუბრა**
**სვეტლანა ხოხრიაკოვა.**

# რადიო არც პოპოვს გამოუგონია და არც მარკონის

# ტუნგუსკის მეტეორიტი ნიუ-იორკიდან გამოფრინდა

**ამ ვერსიით XX საუკუნის ერთ-ერთი ამოუცნობი საიდუმლო – ტუნგუსკის მეტეორიტი ცნობილი სერბი მეცნიერის ნიკოლა ტესლას ნამოქმედარია. ისევე, როგორც დროის მანქანა, რომელსაც იგი გასული საუკუნის პირველ ნახევარში ქმნიდა.**

**სწორედ** ნიკოლა ტესლის უნდა ვუმადლოდეთ იმას, რომ ჩვენს სადენებში ცვლადი დენი გადის. სწორედ მან გამოიგონა პირველი ელექტრონული საათი და მზის ენერგიაზე მომუშავე ძრავა. და კიდევ: რადიო პოპოვს კი არ გამოუგონია, როგორც ამას საბჭოთა სკოლაში ასწავლიდნენ, და არც მარკონის, როგორც ეს მთელ მსოფლიოს ეგონა, არამედ ტესლას. აღნიშნული ფაქტი 1943 წელს სპეციალური გამოძიების შემდეგ აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ აღიარა.

## 2 მილიონი ვოლტი უშედეგოდ

**ნიკოლა ტესლას** მუზეუმი ბელგრადში დიდებულ ორსართულიან სახლშია განთავსებული. პირველ სართულზე ტესლას მიერ შექმნილი მანქანები და ხელსაწყოები, მისი ლაბორატორიის მაკეტი და ფოტოსურათებია. მეორეზე კი დღემდე გაუხსნელი და იდუმალებით აღსავსე არქივია.

გამომგონებლის შესახებ მუზეუმში დაწვრილებით და სიამოვნებით ჰყვებიან. მისტიკოს, ნათელმხილველ, წინასწარმეტყველ, მამაც ადამიანზე, რომელმაც გაბედა გონიერ კოსმოსსა და მიცვალებულთა სამყაროში ჩაეხედა, — აქ უხალისოდ ლაპარაკობენ. არადა, სწორედ გენიალური სერბის იმ ნამუშევრებმა, რომლებიც ფიზიკის სახელმძღვანელოებში არ შევიდა, მოხაზეს კაცობრიობის მომავალი.

XX საუკუნის დასაწყისში ნიუ-იორკის გარეუბანში ტესლას შეკვეთით ცნობილმა მაგნატმა მორგანმა აღმართა 20-სართულიანი სახლის ხის კოშკი. სწორედ ეს კოშკი იყო, რომელმაც ვორდენკლიფის სახელი მიიღო, 1903 წლის ზაფხულის ღამით ლამის ნახევარი ნიუ-იორკი კინაღამ ჭკუიდან რომ გადაიყვანა: მისი მწვერვალიდან ასობით მილის მანძილზე ირგვლივ უამრავი გიგანტური ელვა გადაიჭიმა, რომლებმაც ისე გაანათა ზეცა ატლანტიკის თავზე, რომ თავისუფლად შეიძლებოდა გაზეთის სათაურების წაკითხვა. მანამდე ათი წლით ადრე ტესლამ მსოფლიო გამოფენის მნახველები გააოცა, როდესაც საკუთარ სხეულში 2 მილიონი ვოლტის ძაბვის ზემაღალი სიხშირის დენი გაიტარა, — მის ხელებში კაშკაშებდა ნათურები, რომლებიც ქსელში არ იყო ჩართული. ტესლა ამბობდა, რომ ხუთ ასეთ კოშკს, თუ მათ დედამიწის გარკვეულ წერტილებში ავაგებთ, პლანეტას ერთიანი უსადენო ტელეფონისა და ტელეგრაფის სისტემით შემოსალტავენ. მაგრამ სხვა ცნობით, ვორდენკლიფის



იხ. მე-16 გვ.

## რადიო არც პოპოვს გამოუგონია და არც მარკონის

# ტუნგუსკის მეტეორიტი ნიუ-იორკიდან გამოფრინდა

(მეთხუთმეტე გვერდიდან)

კოშკის მეშვეობით მეცნიერმა თვით დედამიწა აქცია ელექტრობის გიგანტურ გამტარად და შეეძლო მისი ზედაპირის ნებისმიერ წერტილში ნებისმიერი სიდიდის მუხტი მიეწოდებინა.

ამასთან დაკავშირებით გავრცელდა ხმები, რომ ტუნგუსკის მეტეორიტის აფეთქება 1908 წელს ტესლას ნამოქმედარი იყო. ამ ვერსიის დამტკიცება ალბათ ვერ მოხერხდება, მაგრამ საგულისხმოა ცნობა იმის შესახებ, რომ 1908 წლის მთელი პირველი ნახევრის განმავლობაში აშშ-ს კონგრესის ბიბლიოთეკაში მრავალგზის შეუკვეთია აღმოსავლეთ ციმბირის დაწვრილებითი რუკა.

### დაიკარგნენ ან შეიშალნენ

მეორე მსოფლიო ომის წინ და ომის წლებში ტესლა აინშტეინთან და ატომური ბომბის შემქმნელ ოპენჰაიმერთან ერთად მონაწილეობდა საიდუმლო პროექტში, რომლის მიზანი ამერიკული გემების უჩინარობის მიღწევა იყო. 1943 წლის შემოდგომაზე ნიკოლას სიკვდილიდან და იმ ოთახიდან მნიშვნელოვანი დოკუმენტების დაკარგვიდან, რომელშიც მეცნიერი გარდაიცვალა, ჩატარდა ექსპერიმენტი, რომელსაც რეპორტიორებმა ფილადელფიური უწოდეს.

საესკადრო ნაღმოსანი „ელდრიჯი“ უმძლავრესი მაგნიტური ველის დახმარებით უჩინარი უნდა გამხდარიყო. როდესაც გენერატორები ჩართეს, იგი მართლაც მომწვანო ნისლით დაიფარა



და თვალთახედვის არედან გაქრა. მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი: გემი მარტო ვიზუალურად კი არ გაუჩინარდა, არამედ, საერთოდ, ფიზიკურად გაქრა, აღარ იყო. იმავე დროს ის რამდენიმე წუთით გამოჩნდა საზღვაო ბაზაზე ნორფოლკში, ფილადელფიიდან 350 კილომეტრში, ცოტა ხანში კი ისევ პირველსაწყის ადგილზე აღმოჩნდა.

ნაღმოსნის ეკიპაჟი სივრცეში აუხსნელი გადაადგილებების შედეგად დაზარალდა: ზოგი უკვალოდ დაიკარგა, სხვები გადნენ ან გაიყინენ, ზოგი ჭკუიდან შეიშალა, თუმცა ამასთან საკუთარი ნებით გაუჩინარებისა და კვლავ გამოჩენის უნარი შეიძინეს.

ტესლას სწამდა, რომ ელექტრომაგნიტური ველის პარამეტრების შეცვლით შესაძლებელია სივრცეში გადაადგილება და დროის მართვა. იგი სერიოზულად შეჰპირდა თავის მეგობარ პოეტს, რომ მალე ის შეძლებდა პირადად ჰომეროსისთვის წაეკითხა თავისი ლექსები. თვითონ ტესლას კი იმედი ჰქონდა, რომ არქიმედესთან გასაუბრებას შეძლებდა.

როგორც ჩანს, ნიკოლა ტესლამ პირველმა გაგზავნა კოსმოსში რადიოსიგნალები პითაგორას და არქიმედეს კოდირებული თეორემებით. უფრო მეტიც, ამბობდნენ, რომ მეცნიერმა პასუხიც მიიღო, რომლის გაშიფვრის შემდეგ ლამაზი მამაკაცის სახის გამოსახულება მიიღო. სამწუხაროდ, ამ მონაცემების დაზუსტება შეუძლებელია: გაზეთებში მისი გესლიანი დაცინვების შემდეგ თავისი სიცოცხლის ბოლო ათწლეულებში უარს ამბობდა ინტერვიუების მიცემაზე და არ აცხადებდა

**ნიკოლა ტესლა (1856-1943) — მეცნიერი, ფიზიკოსი, ინჟინერი, გამომგონებელი. სახელი ახალი ელექტროტექნიკური მოწყობილობების, მაღალი სიხშირის ტექნიკის პირველი ნიმუშებით, ელექტროდენის უსადენო გადაცემით გაითქვა.**

კოსმიურ გონებასთან ურთიერთობის საიდუმლოებებს.

მეგობრების ნათქვამისა და კოლეგების ვარაუდის მიხედვით, ბოლო წლებში ტესლამ მიაგნო „სიკვდილის სხივებს“, რომლებსაც ათასობით თვითმფრინავისა და გემის განადგურება შეუძლია, ატარებდა აზრების ფოტოგრაფირებასთან დაკავშირებულ ექსპერიმენტებს, იკვლევდა ადამიანის თვალებიდან მომდინარე გამოსხივებებს.

მის მიერ დატოვებულ გამოცანებს შორისაა გრავიტაციული მოტორის მოდელი, რომელიც ირთვება წელიწადში ერთხელ პლანეტების გარკვეული განლაგებისას; ატომის გახლეჩვა ოთახის ტემპერატურაზე; ავტომობილი, რომელიც ვაკუუმიდან მომდინარე ენერგიით მუშაობს და 150 კმ/სთ სიჩქარეს ანვითარებს.

# ქრონოგრაფი

## 4 ნოემბერი, 1984 წ.



**ნიკარაგუაში პრეზიდენტად აირჩიეს სანდინისტთა ლიდერი დანიელ ორტეგა, რომელიც 1979 წლიდან, დიქტატორ სომოსას გადაგდების დღიდან, ფაქტობრივად მართავდა ქვეყანას.** 1980 წლიდან სანდინისტებსა და დიქტატორის მომხრეებს შორის სამოქალაქო ომი მიმდინარეობდა. სომოსელებს მხარს უჭერდა აშშ, ხოლო სანდინისტებს — საბჭოთა კავშირი, რომლის დაშლისთანავე სანდინისტთა ხელისუფლებაში კრიზისი დაიწყო. 1990 წელს ორტეგამ მარცხი განიცადა პირველივე თავისუფალ არჩევნებში და პირველობა ვიოლეტა ჩამოროს დაუთმო. მან ორი მომდევნო საპრეზიდენტო არჩევნებიც წააგო.

## 5 ნოემბერი, 1967 წ.



**სახელმწიფო კომისიამ ოფიციალურად მოაწერა ხელი აქტს, რომლის საფუძველზეც ექსპლუატაციაში შევიდა მოსკოვში მშენებარე ოსტანკინოს სატელევიზიო ანძის პირველი რიგი.** გადაცემები დაიწყო ოთხმა სატელევიზიო და სამმა რადიომაუწყებლობითმა პროგრამამ. ზემძლავრი გადამცემების საშუალებით შესაძლებელი გახდა სატელევიზიო პროგრამების გადაცემა კოშკიდან 120 კილომეტრ რადიუსზე. ამუშავდა ახალი სატელევიზიო ცენტრი აკადემიკოს კოროლიოვის ქუჩაზე. ერთ წელიწადში სატელევიზიო ანძის მშენებლობაც დასრულდა, რომელიც 4,5 წელიწადს მიმდინარეობდა.

## 6 ნოემბერი, 1814 წ.



**ბელგიის პატარა ქალაქ დინანში დაიბადა ადოლფ (ანტუან ჟოზეფ) საქსი — საქსოფონის გამომგონებელი.** მისი მამა შარლ ჟოზეფი სასულე საკრავების ცნობილი თვითნასწავლი ოსტატი იყო. მის მიერ დამზადებული კლარნეტები და ფაგოტები იმდენად მაღალი ხარისხისა იყო, რომ იგი სამეფო კარის მუსიკის ოსტატად დანიშნეს და მოყოლებული 1820 წლიდან არაერთი დიპლომისა და საავტორო მოწმობის მფლობელი გახდა. მამის ხელოვნება შვილებზეც გადავიდა. ყველაზე მეტად თერთმეტი შვილიდან უფროსმა ანტუან ჟოზეფმა გამოიჩინა თავი. მან დახვეწა და სრულყოფილებამდე აიყვანა კლარნეტი და ბას-კლარნეტი, რომლის შემდეგ შექმნა საქსოფონი. მას საქსოფონის კლასი მიჰყავდა პარიზის კონსერვატორიაში. მან გააუმჯობესა მრავალი სასულე ინსტრუმენტი. ადოლფ საქსი სიცოცხლის ბოლომდე, 1894 წლამდე, ცხოვრობდა და მოღვაწეობდა პარიზში.

# რვაფეხა – ქმნილების გვირგვინი?

## ლოკოკინებსაც კი შეუძლიათ ორგაზმი განიცადონ

**ადამიანი ვირთაგვებზე და ტარაკანებზე უფრო სუსტია. ჩვენ გონებითაც კი გვაჯობეს**

**რატომ აქვთ კურდღლებს დიდი ყურები? თურმე არა იმიტომ, რომ ამ მშიშარა ცხოველმა უკეთესად გაიგონოს მტრის მოახლოება. თურმე ყურები სიცხისგან იცავს მას. უამრავი სისხლძარღვით აღჭურვილი თხელი ყურების მეშვეობით ქრება ნივთიერებათა ცვლის დროს წარმოქმნილი სითბოს ერთი მესამედი.**

როგორ ფიქრობთ, რატომ უკაკუნებს კოდალა გაზაფხულობით ხეებს? თქვენ გგონიათ, ლაფანჭამია მწერების შესაჭმელად? ვერ გამოიცანით. ამ გზით ის მეტოქეებსატყობინებს, რომ ეს ტერიტორია დაკავებულია და თანაც დედალს უხმობს.

ზოოლოგიას მარტივი მეცნიერება სულაც არ ეთქმის. იგი გამოცანებითა და მითებით არის სავსე. დღეს ჩვენ ზოგიერთ მათგანზე გიამბობთ

**შეცდომა № 1: „ცხვარივით სულელია“**

**გარდა იმისა, რომ როგორც მეცნიერები და მომთვინიერებლები ამბობენ, ყველაზე ჭკვიანი ცხოველებს შორის მაიმუნი ან დელფინი კი არა, სპილოა. თურმე არც უგუნურების ეტალონად აღიარებული ცხვარი ყოფილა ისე უიმედო.**

ბრიტანელმა მეცნიერებმა სენსაციური განცხადება გააკეთეს: ადამიანები ოდითგანვე სათანადოდ ვერ აფასებენ ცხვრების გამჭრიახობას და გონიერებას. თურმე ცხვრებს საუცხოო მეხსიერება აქვთ და ისინი შეუცდომლად იმახსოვრებენ ადამიანთა სახეებს. უფრო მეტიც: ინგლისელთა აზრით, მათი ინტელექტუალური შესაძლებლობები ზოგ შემთხვევაში ადამიანის შესაძლებლობებს უახლოვდება. სულელების რეპუტაცია კი იმიტომ დაიმსახურეს, რომ ძალიან მფრთხალები არიან.

სხვათა შორის გონიერებს შორის მოხვდნენ თავფეხიანებიც, სახელდობრ კალმარები და რვაფეხები. ეს ზღვის ბინადარნი საოცრად სწრაფად ეგუებიან ირგვლივ მომხდარ ცვლილებებს. ასე მაგალითად, რვაფეხებმა ადამიანის მიზეზით ოკეანის ფსკერზე მოხვედრილი სამრეწველო ნაგვისგან სახლების აშენება ისწავლეს.

**შეცდომა № 2: „ცხოველებს კაიფი არა აქვთ“**

**ადამიანები ერთადერთი ცოცხალი არსებები არიან, რომლებიც სექსს მხოლოდ გამრავლებისთვის კი არა, სიამოვნებისთვისაც მიმართავენ? მეცნიერებმა გააბათილეს ეს პოსტულატი.**

ლონდონის ძუძუმწოვართა ფიზიოლოგიის ცენტრმა გააკეთა ძუ მაიმუნების, თაგვების, ლომების და ვეშაპების ენცეფალოგრამები შეწყვილების დროს, დაადგინა, რომ ისინი ორგაზმის დროს ქალების ტვინის მსგავსი გამოკვლევების მონაცემების იდენტურია.




ორგაზმის განცდა ლოკოკინებსაც კი შეუძლიათ, რომლებიც ჰერმაფროდიტები არიან (ანუ მათ ქალის სასქესო ორგანოებიც აქვთ და კაცისაც). ეს ცდებით არის დადასტურებული.

**შეცდომა № 3: „სირაქლემა მშიშარაა“**

**და კვლავ სრული სისულელე: სირაქლემა არც ისე ჩერჩეტია, რომ საშიშროების მომენტში თავი ქვიშაში ჩამალოს.**

თავად განსაჯეთ — ვისი უნდა ეშინოდეს ასე სწრაფად მორბენალ და გამძლე ქმნილებას? ქვიშის აბაზანები და მათ შორის თავით ქვევით „ჩაყვინთვა“ სირაქლემას მის ბუმბულის საფარში ჩაბუდებული პარაზიტებისგან გათავისუფლებაში ეხმარება.

**შეცდომა № 4: „ადამიანი თავად სრულყოფილებაა“**

**სამწუხაროა, მაგრამ უნდა ვთქვათ, რომ ჩვენი კბილების სისტემის აგებულება ნაკლებად სრულყოფილია, ვიდრე ვირთხებისა.**

გადარჩენის უნარი კი ჩვენ რამდენჯერმე უფრო სუსტი გვაქვს, ვიდრე ქალამანას, ინფუზორიას, ტარაკანას ან გომბეშოს. გარდა ამისა, იმუნური სისტემის სისუსტის გამო ჩვენი ორგანიზმი უფრო ხშირ... ფექციი...

АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ

◎ ჩვენ და კოსმოსი

# მისტიკა ორბიტაზე

## კოსმონავტებს ხშირად ესმით უცნაური ხმები, ხედავენ მოჩვენებებსა და... ზოგჯერ სხვა სამყაროშიც კი მოგზაურობენ

### რა წამოსცდა გაგარინს?

**ორმოცზე მეტი წლის მანძილზე კოსმოსში უკვე დაახლოებით 400-მა სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქემ იმოგზაურა, რომელიც იქ მრავალ უცნაურ რამეს, მათ შორის მისტიკასაც გადაჰყრია. თუმცა, როგორც წესი, ისინი იმის თაობაზე, რის ახსნაც შეუძლებელია, კრინტსაც არ ძრავენ. თან ისიც ნუ დაგვავიწყდება, რომ ყოველივე უცნაურის შესახებ ლაპარაკს კოსმონავტებს მაინცდამაინც „არ ურჩევენ“.**

არადა, ჰყვებიან, თითქოსდა ერთხელ იური გაგარინსაც კი წამოსცდენია, რომ მისთვის ნება რომ დაერთოთ, იგი „ბევრ საგულისხმოს მოჰყვებოდა კოსმოსში თავისი ფრენის შესახებ“. მიუხედავად კოსმოსში მოგზაურობების შესახებ ინფორმაციის ასეთი გაუმჭირვალობისა, ზოგიერთმა ამბავმა მაინც გამოაღწია „საიდუმლოს რკინის ფარდას“ და ფართო საზოგადოებრიობისთვის ცნობილი გახდა...

### სოჭი ორბიტიდანაც კი ჩანდა

**„მიწისზედა ობიექტების გადიდების ეფექტი“ პირველმა ამერიკელმა ასტრონავტმა გორდონ კუპერმა აღნიშნა. მისი თქმით, როცა მან ტიბეტს გადაუფრინა,**



მფრინავ-კოსმონავტ ალექსი ლეონოვის მეგობრის ანდრეი სოკოლოვის ნახატი

**შეუიარაღებელი თვალით სახლები და სხვა ნაგებობები დაინახა, თუმცა, 300 კილომეტრის (!!) სიმაღლიდან ესოდენ მცირე ობიექტების გარჩევა თითქოსდა შეუძლებელია!**

არადა, მის ამ თქმას რუსი კოსმონავტის ვიტალი სევასტიანოვის მოწმობაც ერთვის: „როგორც იქნა, დღეს სოჭი დავინახე. მკაფიოდ ვხედავდი ნავსადგურს და ჩვენს პატარა ორსართულიან სახლს“. ეს ეფექტი იური გლაზკოვმაც დაადასტურა: „მივფრინავთ ბრაზილიის თავზე, უცბად გზატკეცილის ვიწრო ზოლს ვხედავ, რომელზეც ცისფერი ავტობუსი მიჰქრის!“ გიორგი გრეჩკომ კი ღრუბლების თავზე დაინახა და ფირზე გადაიღო... ყინულის ლოდი. „ზოგჯერ თვალი კოსმოსიდან საოცრებას ხედავს, — ამბობს იგი, — მაგალითად, მოვფრინავთ მონღოლეთის თავზე და უცბად... კაცის გამოსახულებას ვხედავთ! მისი ზომაა ასი ან, სულაც, შეიძლება, ორასი კილომეტრი! მკაფიოდ ჩანს თავი, ფეხები, სამოსელი. მე და იური რომანენკომ, რომელთან ერთადაც მაშინ ორბიტაზე ვიყავი, მას „თოვლის კაცი“ დავარქვით, ვინაიდან ეს გოლიათი, სწორედ რომ, თოვლის შექმნილი იყო“.

### ძაღლის ყეფა... ზეცაში

**კოსმოსში იდუმალი ხმების შესახებ ძალიან პოეტურად მოჰყვა კოსმონავტმა ვლადისლავ ვოლკოვმა (1971 წელს იგი ორბიტიდან დაბრუნებისას გ. დობროვოლსკისთან და ვ. პაცაევთან ერთად დაიღუპა): „ქვევით დედამიწის ღამე მიჰქროდა. უცბად, ამ ღამიდან... ძაღლის ყეფა შემომესმა. მომეჩვენა, თითქოს ეს ჩვენი ლაიკას ხმა იყო (ეს ცნობილი ძაღლი ორბიტაზე დაიღუპა). შემდეგ კი ძალიან მკაფიოდ... ბავშვის ტირილი და კიდევ რაღაც ხმები გავიგონე! ამის ახსნა შეუძლებელია, შეგრძნება კი — ნამდვილად შესაძლებელი!“**

ელექტრომუსიკალური საკრავების საესტრადო ანსამბლის ხელმძღვანელის ვიაჩესლავ მეშჩერინის მოგონებით, მათი კონცერტის მოსმენის შემდეგ იური გაგარინს უთქვამს, რომ ორბიტაზე ყოფნისას მას მსგავსი მუსიკა ესმოდა. მოგვიანებით იგივე დაადასტურა მფრინავმა-კოსმონავტმა ალექსი ლეონოვმა.

— „ერთხელ, ორბიტაზე ყოფნისას, უცნაური ამბავი შემემთხვა, — მოჰყვა გიორგი გრეჩკომ, — როცა საშინელი კონცხის გორნის თავზე მივფრინავდით, სადაც უწინ მრავალი საზღვაო ხომალდი დაიღუპა, უცბად შიში მომეძალა, მომეჩვენა, თითქოს ესაა და ზურგზე ვეფხვი მომახტებამეთქი. საზიზღარი შეგრძნებაა, რომელსაც დიდი ძალისხმევით დავაღწიე თავი“.

### უჩინმაჩინი ზურგს უკან

**ორბიტაზე ყოფნისას, ზოგჯერ, იქ „ვიღაცის ყოფნის“ ეფექტი წარმოიშვება ხოლმე. გარკვეულ მომენტში კოსმონავტი უცბად გრძნობს, თითქოს ზურგიდან ვილაც უცქერის უსიამო მზერით. შემდეგ კი „უჩინმაჩინი“ გარკვეულ ნიშანს იძლევა — გაისმის ჩურჩული. „ტექსტი“ ცნობიერების სიღრმეში დაახლოებით ასე გაისმის: „შენ ძალიან ადრე და არამართებულად მოხვედი აქ. დამიჯერე, რადგან მე შენი წინაპარი ვარ. შვილო, თქვენ აქ არ უნდა იყოთ, დაბრუნდი დედამიწაზე, ნუ დაარღვევთ შემოქმედის კანონებს!“**

ამასთან, „სარწმუნოებისთვის“, ხმა ხშირად ჰყვება ხოლმე ამ წინაპართან დაკავშირებულ რაიმე მოკლე ამბავს, რომლის შესახებ მხოლოდ კოსმონავტის ოჯახმა იცის.

მაშ, ვინაა ის, ვინც დედამიწიდან ასობით კილომეტრის მოშორებით „ჩურჩულებს“?

ეს ინფორმაცია მიღებულია რუსი კოსმონავტისგან, რომელმაც თავისი სახელის გამხელა არ ისურვა, თუმცა კი ირწმუნებოდა, რომ ამ მოვლენას თავად შესწრებია. გარდა ამისა, მან ისიც იცის, რომ ასეთი „ჩურჩული“ კიდევ რამდენიმე კაცმა მოისმინა. გამოითქვა აზრი, თითქოს ამას რაღაც ჩვენთვის უცხო „გონება“ ჩურჩულებს, რომელიც უცხოპლანეტური ცივილიზაციის ნაყოფია. ამისთვის იგი ჰიპნოზს იყენებს და განგებ დევნის კაცობრიობას მის მიერ უკვე დიდი ხნის წინათ ათვისებული კოსმოსიდან, რისთვისაც ადამიანთა გონებიდან და ქვეცნობიერებიდან სარწმუნოებისთვის — „კითხულობს“ მხოლოდ მათთვის ცნობილ ფაქტებს.

ამ ამბიდან, სხვათა შორის, მეორე დასკვნაც გამოიტანეს: ადამიანებს „ისინი“ დიდი ხანია და ძალიანაც კარგად იცნობენ და, რაღაც მანქანებით უხილავად დარჩენილნი, შეისწავლიან ჩვენს ცივილიზაციას. ეს ამბავი, შესაძლოა, უკვე ათასწლეულების მანძილზე გრძელდება.

> **ციტატა**
>
> *კოსმონავტი გიორგი გრეჩკო*
>
> **— დარწმუნებული ვარ, რომ სამყაროში სხვა გონება არსებობს, თანაც ჩვენსაზე უფრო განვითარებული. ამჟამად საფუძვლიანად ვსწავლობ კაცობრიობის ისტორიას და ვრწმუნდები, რომ დედამიწაზე ყოველთვის არსებობდნენ პარალელური ცივილიზაციები — კელტები და დრუიდები, ეგვიპტელები და მაია... მიმაჩნია, რომ ვიღაცამ განვითარების ბიძგი მოგვცა, დაგვეხმარა, ხელოვნურად აგვექცია გვერდი შიმპანზესთვის ინტელექტუალური განვითარების გზაზე. ცხადია, ჩვენდამი მიმართებაში იგი ღმერთი იყო.**

### ისინი დინოზავრებად გადაიქცეოდნენ

**ცნობა ამ ფენომენის შესახებ 1995 წელს კოსმოსური ანტროპოეკოლოგიის საერთაშორისო ინსტიტუტში საჯარო განცხადება კოსმონავტ-გამომცდელმა სერგეი კრიჩევსკიმ გააკეთა. როგორც აღმოჩნდა, თურმე ფრენისას მრავალ კოსმონავტს მეტად გასაოცარი შეგრძნებები განუცდია. მაგალითად, ადამიანს მოულოდნელად „სახეცვლა“ განუცდია და — ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით! — რაღაც ცხოველად გადაქცეულა! მეტიც: ამ დროს იგი თითქოს სხვა საინფორმაციო წყაროში „ერთვებოდა“ და მისგან მოსალოდნელი საავარიო სიტუაციების შესახებ წინასწარ შეტყობინებებს იღებდა.**

შემდგომ კოსმონავტი კვლავაც თავს „გარდასახულად“ გრძნობდა, ანდა კიდევ უფრო საშინელ არსებად „გარდაიქმნებოდა“. მაგალითად, ერთ-ერთმა კოლეგამ კრიჩევსკის უამბო... „დინოზავრის“ ტყავში ყოფნის შესახებ! თანაც იმასაც გრძნობდა, თითქოს რომელიღაც პლანეტაზე მიაბიჯებდა, გადადიოდა ხევებსა და მდინარეებზე. კოსმონავტი აღწერდა თავის „თათებს“, ქერცლს, თითებშუა აპკებს, უზარმაზარ კლანჭებს. ზურგის ტყავით იგი გრძნობდა, თუ როგორ ირწეოდა ქედის რქოვანი ფირფიტები.

ისეც მომხდარა, რომ კაცი სხვა პიროვნებად გადაქცეულა, ზოგჯერ უცხოპლანეტელადაც კი.

მრავალი კოსმონავტი ფრენისას დღიურებში ჩანაწერებს აკეთებს, რომელთაგან ზოგიერთი იდუმალ ხილვებს შეეხება. მაგრამ, ერთი კია: ამ უნიკალური დოკუმენტების გამოქვეყნებაზე ისინი კატეგორიულად უარს აცხადებენ, რადგან შიშობენ, გიჟებად არ შერაცხონ. სხვა აზრისაა კოსმონავტი სერგეი კრიჩევსკი, რომელსაც მიაჩნია, რომ „ფანტასტიკური ზმანება — მდგომარეობები“ საგანგებოდ გულდასმითაა შესასწავლი. [illegible] რთხოებას, არამედ, შესაძლოა, ფარდა ახალ სამყაროს [illegible] საიდუმლოებებს.

◎ სპეციალისტის კომენტარი

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ალექსანდრე ვოლკოვიჩი

## ეს „გაფრენები“ უეჭველად უნდა შევისწავლოთ!

**— სავარაუდოა, რომ კოსმონავტებს ჰალუცინაციები მოსდით, რომლებიც ადამიანზე უცხო გარემოს ზემოქმედების შედეგად წარმოიშვება. ესაა უწონადობა, რადიაციის მაღალი დონე, მძლავრი მაგნიტური ველი. ნებისმიერ შემთხვევაში, ხილვათა წყარო თავად ადამიანში, უწონადობაში დიდი ხნის მანძილზე ყოფნის შემდეგ, ქვეცნობიერების სიღრმიდან შეიძლება წამოტივტივდეს გარკვეული ინფორმაცია, რომელსაც გარკვეული ორგანიზმების ანდა ადამიანის შორეული წინაპრების სიცოცხლის ფრაგმენტების ფორმა აქვს. სწორედ ამით აიხსნება ხილვები ვეფხვებთან ან დინოზავრებთან. ზმანებათა პროვოცირება შეიძლება თვით გარემომაც მოახდინოს: ხანგრძლივი სიჩუმე მავნეა ადამიანისთვის, რაც სუდოსაკანში, კოსმონავტობის კანდიდატების გამოცდებმაც დაადასტურეს. მაგალითად, ერთ-ერთმა გამოსაცდელმა იზოლაციის 30 საათის შემდეგ „დაინახა“ ჰაერში მცურავი ტელევიზორი, ხოლო მართვის ხელსაწყოთა დაფაზე — რაღაც სახეები. მეორეს მოეჩვენა, თითქოს ხელსაწყოთა დაფამ „დნობა და იატაკზე ჩამოღვენთა“ დაიწყო. ასეთი გამოცდები და ხილვები სუსტი ნერვების პატრონებს ნამდვილად არ უხდებათ. ასევე შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ ამგვარი „სიზმრების“ ჩამრთველია გალაქტიკის სიღრმეებიდან მომავალი გამოსხივება. თუკი კოსმოსური ხომალდი ასეთი „სხივის“ მოქმედების არეში მოხვდება, ხოლო კოსმონავტი მოდუნებულია, აღნიშნული ფენომენიც სწორედ მაშინ წარმოიშვება.**

◎ ყველაფერი ყველაფერზე

### ბალეტის შევიწროება

**სამწლიანი რეკონსტრუქციის შემდეგ, სულ ახლახან გაიხსნა მილანის ლა სკალას თეატრი, ოღონდ საბალეტო დასი არ შეერთებია თეატრალური კრიტიკოსებისა და მაყურებლების აღფრთოვანებას ამ მოვლენის გამო: მოცეკვავეებს გაფიცვის დაწყება განუზრახავთ სამუშაო პირობების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად.** დასის წევრები ფიქრობენ, რომ რემონტის მსვლელობისას იმათი ინტერესები არ გაითვალისწინეს. იმასაც უჩივიან, რომ სამსახიობო საპირფარეშოები ძალიან ვიწროა და კვლავაც უმცირებენ ფართობებს — ორკესტრს რომ მეტი ადგილი მისცენ. ამიტომაც მიმართავენ გა-



ფიცვას.

ეს აქცია სპექტაკლ „მანონის“ 10 წარმოდგენის ჩაშლას გამოიწვევს. სპექტაკლზე მუშაობა შარშან, დეკემბერში განახლდა და თეატრის ხელმძღვანელობის მიმართ გაისმა კიდევაც კრიტიკა — ისე აკეთებთ, რომ არცთუ მაღალი გემოვნების მაყურებელთა გემოვნებას მოარგოთო. ბოლოს და ბოლოს, ამას თეატრის მუსიკალური ხელმძღვანელის, რიკარდო მუტის გადადგომა მოჰყვა.

### ფილმი ჯოზეფ მაკარტიზე



**ამერიკულ ეკრანებზე გამოდის ჯორჯ კლუნის მეორე სურათი „ღამე მშვიდობისა და კარგად!“ — სენატორ ჯოზეფ მაკარტიზე. მისი პირველი რეჟისორული ნამუშევარი — „სახიფათო კაცის აღიარებანი“ — კრიტიკამ და ხალხმა კარგად მიიღო.**

ეს არ გახლავთ ცნობილი სენატორის კინობიოგრაფია, თუმცა მისი ფიგურის წინააღმდეგობრიობა კლუნის ფილმისადმი ინტერესის გარანტიას იძლევა. სურათში მოთხრობილია მაკარტის ცხოვრების მხოლოდ ერთი ეპიზოდი — 1954 წელს ჩაწერილი გადაცემა, რომელსაც უძღვებოდა სახელგანთქმული ჟურნალისტი ედვარდ მეროუ. იმათი შეხვედრა ტელეეთერში გადაიქცა გააფთრებული ანტიკომუნისტისა (რომელიც ბევრს აშინებდა და ბევრსაც სძულდა) და ლიბერალური ტელეჟურნალისტის (რომელიც ვიზავის ბრალს სდებდა დემაგოგიასა და ამერიკელთა დემოკრატიული უფლებების დარღვევაში) ბრძოლად.

რეჟიორის აზრით, ლენტი სენატორ მაკარტიზე დღევანდელ ამერიკაში მნიშვნელოვანია, რამდენადაც ბევრი ფიქრობს, რომ ბუშის ადმინისტრაციის გამოცხადებულმა ომმა ტერორიზმთან ამერიკელთა უფლებების დარღვევა მოიტანა. „ყოველთვის გამრყვნელია ის ხელისუფლება, რომელიც ვერ ითმენს შეპასუხებებსა და ეჭვებს“.

◉ ავტოსალონი

# იაპონელები უბენზინოდ დადიან

## Honda FXC



**ეს ჰიბრიდი საგრძნობლად გამოირჩევა წინათ გამოშვებული ანალოგებისგან.** ავტომობილის ელექტრული ძრავა მუშაობს არა ბენზინის, არამედ წყალბადის ძრავასთან ერთად. მანქანა მოძრაობაში მოჰყავს ოთხ მოტორს — თითოს — თითო ბორბალზე. წინა ამძრავის ჯამური სიმძლავრე 170 კილოვატს შეადგენს, უკანისა კი — 50-ს, რაც საერთო ანგარიშით 280 ცხენის ძალას უდრის.

კონცეპტის სალონი ძალზე კომფორტულია: ხის პარკეტი და ტყავის სავარძლები, მინის სახურავი კი მძღოლსა და მგზავრებს სრული თავისუფლების შეგრძნებას ჰგვრის.

## Suzuki Lonis



**სათბობის ელემენტებზე მომუშავე ეს პატარა ავტომობილი, ალბათ, პოპულარული გახდება ახალგაზრდებს შორის.** ძნელი სათქმელია, რას უფრო მეტად წააგავს იგი — გადაადგილების საშუალებას, თუ „მოდურ სათამაშოს“. მულტიმედიური გასართობი სისტემა დისპლეით და თანამგზავრული ტელევიზია შესაშურ კომფორტს ქმნის.

## Honda Sport Concept-4

**ციფრი 4 ავტომობილის სახელწოდებაში შემთხვევით არ გამოჩენილა.** სწორედ ეს არის ამ სრულამძრავიანი სპორტ-კარის მთავარი „ხიბლი“. საქმე ის არის, რომ ავტომობილის მართვის ელექტრონულ ბლოკს შეუძლია მბრუნავი მომენტის გადანაწილება არა მარტო ღერძებს, არამედ თითოეული ღერძის ბორბლებს შორისაც კი. ეს სიახლე ავტომობილის მართვას უფრო საიმედოს ხდის და მანქანას, პრაქტიკულად, ნებისმიერ გზაზე შეუძლია გავლა.



## Nissan Pivo

**ეს ავტომობილი ქალაქის „საცობებში“ უპრობლემოდ გავა.** სამადგილიანი კაბინა შეიძლება შემობრუნდეს 360 გრადუსით. აღსანიშნავია, რომ მასში მძღოლის ადგილი შუაშია გათვალისწინებული.



## Nissan Wingroad



**თითქმის არ შეცვლილა — წინანდელივით მოხერხებული და უნივერსალურია.** უნივერსალს კი მეტი არც მოეთხოვება.

◉ ყველაფერი ყველაფერზე

### მორიდებული კომიკოსი

**76 წლისა გარდაიცვალა მსახიობი რონი ბარქერი, ბრიტანეთში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და პოპულარული კომიკოსი.** ის 20 წელზე მეტხანს გახლდათ სატელევიზიო კომედიის მთავარი ფიგურა; მილიონობით ტელემაყურებლის საყვარელი მსახიობი პატიმარ ფლეტჩერის როლით გახდა სერიალში „შვრიის ფაფა“, აგრეთვე პატარა მაღაზიის მეპატრონის, სექსუალურად აფორიაქებული არქრაითის როლით სერიალში „ღიაა მთელი დღე-ღამე“.



შემოქმედებითი კარიერის მანძილზე რონი ბარქერმა ბევრი ჯილდო მოიპოვა. 1970-იანი წლების ბოლოს ბრიტანეთის კინოაკადემიამ ის სამჯერ აღიარა საუკეთესო კომედიურ მსახიობად. ამასთან რონი ბარქერი ერთობ თავმდაბალ კაცად რჩებოდა და თავს შებოჭილად გრძნობდა, როცა რომელიმე თავის გმირს არ ასახიერებდა. არცთუ იშვიათად პროდიუსერებს ფსევდონიმით ხელმოწერილ სცენარებს უგზავნიდა — რა არი და, ტექსტების ხარისხი ჩემი პოპულარობის გავლენით არ შეაფასონო...

### ეგებ „ოსკარიც“ გაირცყას

**ფრანგულმა ფილმმა „საიმპერატორო მარში“ 67 მილიონი დოლარი შემოსავალი მოიტანა აშშ-ში გაქირავების დაწყებიდან. მანამდე, ოკეანის გაღმა, ყველაზე წარმატებულ ფილმად ბესონის „მეხუთე ელემენტი“ ითვლებოდა (66 მილიონი).**

სურათში ოჯახური ფასეულობებია ხოტბაშესხმული. ეს გახლავთ დიდებული ისტორია საიმპერატორო პინგვინებზე, რომლებიც „გახურებული“ ანტარქტიკული ზამთრის დროს მიემართებიან მდუმარე კონტინენტის სიღრმეში, რათა ახალ თაობებს შესძინონ სიცოცხლე. ამ ფრინველებს ვერაფერი აკავებს — ვერც ყინვა, ვერც თოვლის ქარბუქები, ვერც ძვლებში გამჯდომი ქარი. მერე კი, როცა პინგვინები მყუდრო ადგილს მიაგნებენ, სიყვარულს მოიპოვებენ და ბრძოლასაც გამოცდიან თავიანთი პაწია ბარტყების გადასარჩენად.

... მაყურებლები ნამტირალევი თვალებით გამოდიან დარბაზიდან: „არაფერი ამაზე რომანტიკული არ გვინახავსო“, ამბობენ.



„საიმპერატორო მარშის“ წარმატება იმხელაა, რომ მას „ოსკარს“ უწინასწარმეტყველებენ „საუკეთესო უცხოური ფილმის“ კატეგორიაში. სურათს 4 კაცი იღებდა ცნობილი დოკუმენტალისტის ლიუკ ჟაკეს მეთაურობით, რომელმაც რამდენიმე წლის წინათ ყველა გააოგნა ფილმით „ფრინველები“.

◉ თანამედროვე იარაღები

# ხელის ზარბაზანი

## „ადამიანი-ბაყაყები“, ანუ წყალქვეშა დივერსანტები – სამხედრო ფლოტის რისხვა. თუმცა მათთანაც შეიძლება ბრძოლა.

**ანდაზა, თითქოსდა სიზარმაცე პროგრესის მამოძრავებელი ძალაა, შემთხვევით არ გაჩნდა. მონადირეებს შუბის ტყორცნა რომ მოსწყინდათ — მშვილდი მოიგონეს, ბარგის ზურგით თრევა ყელში რომ ამოუვიდათ — ბორბალს „მიაგნეს“ და ასე შემდეგ. იგივე ხდება სამხედრო საქმეშიც.**

როგორ ებრძოდნენ უწინ წყალქვეშა ნავებს? წყალში ნაღმებს აგდებდნენ, აფეთქებდნენ. თუმცა ნაღმს შორს მაინცდამაინც ვერ ისროდნენ, მაგრამ... „ზღვის ეშმაკი“ რამდენიმე ათეული მეტრიდანაც კი მოწინააღმდეგის წყალქვეშა ნავს ან ტორპედოს ესვრის, ანდა ნაღმს დაუყენებს. ამიტომ სამხედროებმა „ტვინი გაანძრიეს“ და 1976 წელს ყოფილი საბჭოთა კავშირის სამხედრო საზღვაო ფლოტმა შეიარაღებაზე ხელის დივერსიასაწინააღმდეგო ყუმბარმტყორცნი ДП-61 შემოიღო, რომელსაც ერთი მსროლელი, ხოლო ვაზნებად რეაქტიული ნაღმები РГ-55М და ГРС-55 სჭირდებოდა.

ამის შემდეგ დივერსანტებს მოკლე მანძილიდანაც კი შეეძლოთ სროლა. უპირატესობა კი ის იყო, რომ ასეთი იარაღი მოსახმარადაც ძალიან მოხერხებული გახლდათ.

1990 წელს კი სამხედრო მეზღვაურებმა ამ კლასის უფრო მოხერხებული იარაღი მიიღეს. ესაა 45-მილიმეტრიანი დივერსიისაწინააღმდეგო ნაღმმტყორცნი ДП-64, რომლიდან სასროლად საგანგებო ნაღმები — ფუგასური ФГ-45 და სასიგნალო СГ-45 ნაღმები გამოიყენება. ინჟინრების ახალმა მიგნებამ სამხედროებს საშუალება მისცა დივერსანტებისთვის მანძილით 400 და 40 მეტრის სიღრმემდე „მოევლოთ“.

წინამორბედისგან განსხვავებით, ДП-64-ის მსოლელი დაცულია, თანაც მას ხომალდის ილუმინატორის სროლის საშუალებაც აქვს.



კონსტრუქციულად ნაღმმტყორცნს ორი ერთმანეთის თავზე ტყუპად მოქცეული ლულა აქვს, რომელთაგან გასროლა მორიგეობით ხდება. ტექნიკური პარამეტრების წყალობით, სროლა როგორც დამიზნებით, ასევე დაკიდულადაც შეიძლება. იარაღი ორივე ტიპის ზემოხსენებული ნაღმით სროლისთვის გამოდგება. ФГ-45 მცურავთა და მათი მოყვანის საშუალების გასანადგურებლადაა განკუთვნილი. დატენვამდე მსროლელმა ნაღმის აფეთქების სიღრმე უნდა დააფიქსიროს. ექსპერიმენტების შედეგად დადგინდა, რომ წყალქვეშა დამრტყმელ ტალღას ხალხის დახოცვა 14 მეტრის რადიუსში შეუძლია!

სისიგნალო ნაღმს კი, როგორც მისი სახელიდან გამომდინარეობს, სწორედ იმ ადგილის აღნიშვნის ფუნქცია აქვს, სადაც მეომარი მცურავი ანდა სხვა წყალქვეშა ობიექტი იმყოფება, რომელიც ნადირობის ობიექტია.

СГ-45-ის ჩირაღდანი თითქმის 45 წუთის მანძილზე ხასხასა წითელი ცეცხლით იწვის და მსროლელებს ზუსტად მიანიშნებს დარტყმის მისამართს.

ამდენად, წყალქვეშა დივერსანტები კარგად უნდა დაფიქრდნენ, ვიდრე სამხედრო ხომალდებზე შეტევას მიიტანდნენ.

### ДП-64-ის მახასიათებლები

| | |
|---|---|
| კალიბრი | 45 მმ. |
| სროლის დასამიზნი მანძილი | 400 მ. |
| ფუგასური ნაღმით დასამარცხი სიღრმე | 40 მ-მდე. |
| სასიგნალო ნაღმით მიზნის ადგილის მონიშვნის დრო | 50 წმ-მდე. |
| ნაღმმტყორცნის მასა | 10 კგ. |
| ნაღმის მასა | 0,65 კგ. |



◎ იუბილე

# ვიქტორ სანეევი: საქართველო იყო და არის ჩემი სამშობლო

**დღეს თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში დიდი ზეიმით აღინიშნება სამი ოლიმპიადის გამარჯვებულის, საქართველოს XX საუკუნის საუკეთესო სპორტსმენი მამაკაცის — ვიქტორ სანეევის 60 წლის იუბილე.**

***სადარბაზო ბარათი:***

დაიბადა 1945 წლის 3 ოქტომბერს სოხუმში. სამხტომში ოლიმპიური თამაშების სამგზის გამარჯვებული (1968 — მეხიკო, 1972 — მიუნხენი, 1976 — მონრეალი) და ერთხელ (1980 — მოსკოვი), ვერცხლის პრიზიორია, ევროპის ზამთრისა და ზაფხულის ჩემპიონატების რვაგზის ოქროს მედალოსანმა (1969, 1971-72, 1974-77) საკავშირო ჩემპიონატებში ექვსჯერ პირველი (1968-70, 1973-74, 1978) ერთხელ მეორე (1967) ადგილი დაიკავა, საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადებზე ორჯერ (1971, 1975) ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე. სამგზის მსოფლიო რეკორდსმენმა ოთხჯერ ევროპის თასი (1970, 1973-75) დაისაკუთრა. საქართველოს სპორტულმა ჟურნალისტებმა ვიქტორ სანეევი სამჯერ (1968, 1972, 1976) წლის საუკეთესო სპორტსმენად დაასახელეს; დაჯილდოებულია ღირსების და ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენებით. 1992 წლიდან ავ-



სტრალიაში ცხოვრობს და ამ ქვეყნის მოქალაქეა. სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე (2000 წ.) საქართველოს ოლიმპიური ატაშე გახლდათ.

„სოხუმელი კენგურუს" სახელით ცნობილმა ვიქტორ სანეევმა მძლეოსნობისა და მსოფლიო სპორტის ისტორიაში სამუდამოდ დაიმკვიდრა ღირსეული ადგილი... მრავალი ახალგაზრდისთვის იგი წარმოადგენდა და წარმოადგენს დიდ მაგალითს, რომლის კვალსაც მიჰყვებიან სპორტსა და ცხოვრებაში" — წერს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ჟაკ როგი.

„რაოდენ სასიხარულოა და საამაყო, რომ ეს დიდი ათლეტი შენი მიწის შვილია, შენს ქვეყანაში დაბადებული და გაზრდილი კაცი, რომელმაც საქართველოს სახელი შორს გაიტანა და დიდებით შემოსა...იმ სიხარულს, რომლითაც 60 წლის იუბილე მსურს მივულოცო, თან სინანული ერთვის, რომ ამხელა სპორტსმენი და პიროვნება, ჩვენი დროის ბედუკუღმართობის გამო, შორეულ ავსტრალიაში გადასახლდა. მოდით, ყველაფერი გავაკეთოთ იმისთვის, რომ ვიქტორ სანეევი დაგვიბრუნდეს, რათა თავისი დიდი გამოცდილება, ნიჭი და ენერგია თავისსავე ქვეყანას მოახმაროს", — ეს სიტყვები საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს ბატონ ბადრი პატარკაციშვილს ეკუთვნის.

ერთი კვირაა, რაც ცამეტწლიანი განშორების შემდეგ სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი საქართველოში დაბრუნდა. უამრავი გულთბილი და ამაღელვებელი შეხვედრა მოუწყვეს. ამაგდარი სპორტსმენი კმაყოფილია, რომ იგი ახსოვთ და არ ივიწყებენ. როგორც თავად ბრძანა, ძალიან გაუჭირდება თბილისიდან გამგზავრება, რადგან საქართველო ყოველთვის იყო და იქნება მისი სამშობლო.

**ვაჟა დანელია**

◎ ცხოვრების ჯანსაღი წესი

# პირველკურსელთა ტურისტული ნათლობა



**სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ უნივერსიტეტში (რექტორი პროფ. დავით მალაზონია) მომავალ მასწავლებელთა დაოსტატებასთან ერთად დიდი ყურადღება ექცევა სტუდენტი ახალგაზრდობის ფიზიკურ წრთობას, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას. აქ ხომ საქართველოს სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლები სწავლობენ. ერთმანეთის გაცნობასა და დამეგობრებაში მათ ლექცია-სემინარების გარდა, სპორტული ღონისძიებებიც უწყობს ხელს.**

ამას წინათ უმაღლესი სასწავლებლის ფიზაღზრდის კათედრის (გამგე თემურ ფუტკარაძე) ინიციატივით პირველკურსელთათვის მოეწყო ტურისტული ლაშქრობა მარშრუტით: გამარჯვების პარკი — ეთნოგრაფული მუზეუმი — კუს ტბა — კაკლების ხეივანი — გამარჯვების პარკი.

პირველკურსელებმა ამ დღეს 16 კილომეტრი გაიარეს. ლაშქრობის პროგრამაში იყო სამხედრო-სპორტული თამაშები, სპორტული ესტაფეტები, ასევე კონკურსები ცეკვებში, სიმღერასა და საქართველოს ჰიმნის შესრულებაში. გამარჯვებულები და პრიზიორები ფასიანი საჩუქრებით თვით უმაღლესი სასწავლებლის რექტორმა დავით მალაზონიამ დააჯილდოვა.

**გიორგი გაგუა**

**სურათზე: პირველკურსელთა ლაშქრობა ეთნოგრაფიული მუზეუმიდან — კუს ტბისკენ.**

**ავტორის ფოტო.**

◎ ფეხბურთი

# დიდაქტიკის ტყვეობაში

**გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში მორიგ პრესკონფერენციაზე გვიხმეს — სფფ პრეზიდენტს ნოდარ ახალკაცს ამჯერად მხარს ევრონული ნაკრების თავკაცი გაიოზ დარსაძე უმშვენებდა.**

ტრადიციისამებრ, ხანგრძლივი დიალოგის განმავლობაში თავი დიდაქტიკოსთა ფორუმზე გეგონებოდა კაცს — მასპინძლები ყველას არიგებდნენ ჭკუას, თუმცა განსაკუთრებული პატივი ამ მხრივ ჟურნალისტებს ხვდათ წილად. თანაც, ეს ისეთი გონორით კეთდებოდა, თითქოს ჩვენი ნაკრებები ტრიუმფით დაგვიბრუნდნენ ტურნირებიდან და მასმედიამ დამსახურებისამებრ არ მიაგო მათ კუთვნილი დითირამბები. რას იზამ, ეტყობა, ამასაც უნდა შევეგუოთ.

რაც შეეხება არსებით საკითხებს, კიდევ ერთხელ მოვისმინეთ თავის ქების უხვი დოზა, რაც შემდეგი ფაქტებით იყო გამყარებული: ნაკრებებში არნახული პატრიოტიზმი სუფევს; ბიჭები ზეპირად მღერიან ეროვნულ ჰიმნს, დიდი ქართველი ფეხბურთელი, „ჯვაროსანთა" ლიდერი და კაპიტანი კალაძე, სხვა ლეგიონერთა მსგავსად, სიამოვნებით ჩამოდის სამშობლოში და შეკრების რაც შეიძლება სწრაფად დაწყებას ითხოვს; რაც ჭაბუკი ტალანტებისთვის ნდობის გამოცხადების შედეგია; გვაქვს დიდი, თანაც სრულფასოვანი რეზერვი და ა.შ.

საუბრისას ეროვნული ნაკრების უახლოესი ამხანაგური მატჩებისთვისაც გამოიძებნა დრო — როგორც შევიტყვეთ, 12 ნოემბერს ბულგარელებს სოფიაში შევხვდებით, 16 ნოემბერს იორდანიის გუნდს კი — თბილისში. ამ მატჩებში დარსაძეს ასისტენტობას იტალიელი ფერარი და ფრანგი დევიმი გაუწევენ. გთავაზობთ ჩვენებურთა შეკრებაზე გამოძახებულთა ვინაობას.

**მეკარეები** — რევიშვილი, სტურუა,

**მცველები** — კალაძე, ხიზანიშვილი, მჟავანაძე, მენთეშაშვილი, სალუქვაძე, კანდელაკი;

**ნახევარმცველები** — ასათიანი, კობიაშვილი, ცქიტიშვილი, გახოკიძე, კანკავა, გოგუა, განუგრავა, ქინქლაძე, მუჯირი;

**თავდამსხმელები** — დემეტრაძე, არველაძე, იაშვილი, წინამძღვრიშვილი, ჯაკობია, გოცირიძე, აშვეთია, მარცვალაძე.

**გია პლატონიშვილი**

# „სპორტი — ყველასათვის"





**სწორედ ამ დევიზითა და ამ სახელწოდებით შეიქმნა წლეულს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის მხარდაჭერით ეროვნული ფედერაცია (პრეზიდენტი — „ლელოს" რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე), რომელმაც უკვე მოასწრო რამდენიმე ხალხმრავალი ღონისძიების გამართვა. ამას წინათ ფედერაციის ინიციატივით, სტუდენტებისა და მოსწავლეებისთვის მოეწყო ტურისტული ლაშქრობა მარშრუტით: ბაგები — კუს ტბა — ბაგები.**

კუს ტბის ტერიტორიაზე ლაშქრობის მონაწილეები ერთმანეთს შეეჯიბრნენ ბაგირის გადაძალვაში, წოლბრჯენიდან ხელებზე აწევასა და ტურისტული კარვების გაშლაში. თავი გამოიჩინეს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და კერძო უმაღლესი სასწავლებლის — „გაენათის" წარმომადგენლებმა. ხელებზე აწევაში ყველას თსუ-ს სტუდენტმა ქეთევან კუპატაძემ აჯობა.

**ნინო ბერაძე**

**რობერტ ბაგოიანის ფოტო.**



◎ კალათბურთი

# ბრძოლით ყველა იბრძვის

**კალათბურთელ** **ვაჟთა XV ეროვნული ჩემპიონატის III ტური საქართველოს ტექნიკური და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტების გუნდების მატჩით გაიხსნა.**

ერთი შეხედვით, ქვეყნის მოქმედ ჩემპიონებს უპრობლემოდ უნდა ჩაეწერათ აქტივში გამარჯვება, მაგრამ ნურას უკაცრავად — ზღვისპირელთა ლიდერი დავით თორთლაძე გუშინ შეუდარებელი იყო (41 ქულა) და ცოტა პარტნიორებიც რომ წაშველებოდნენ, ვინ იცის, იქნებ სენსაციაც გამომცხვარიყო. მართალია, სტუ-მ მაინც მიაღწია საწადელს — 91:83, მაგრამ ეს ის შემთხვევა იყო, როცა დამარცხებული უფრო მეტ ქებას იმსახურებს.



უაღრესად მძაფრი ბრძოლა გაჩაღდა ყველა რგოლში სრულფასოვნად დაკომპლექტებულ თსუ „ნიკორასა" და თბილისის „დინამოს" შორის, რომელიც საუკეთესო უკანახაზელებით გამოირჩევა. სტუდენტებს ტრავმირებული მიხეილ ბერიშვილი აკლდათ, ხოლო ასევე დაშავებული ლეჟავა და მაისურაძე მხოლოდ ეპიზოდურად ებმებოდნენ თამაშში. ასეთი დანაკლისის მიუხედავად მამუკა ტურაშვილის გუნდმა მაინც მოიგო ზედიზედ მესამე მატჩი — 73:65. მათგან ალსანიშნავია ბოლო წუთებზე გააქტიურებული დავით ბერიშვილის სნაიპერობა, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ დინამოელები გარკვეულწილად ცინცაძემ დაალალატა, რომელიც დასკვნით პერიოდში მეტისმეტად ემოციური გახდა და მსაჯებს ტექნიკური საჯარიმო დასტყუა (ეს მისთვის მეხუთე პერსონალური შენიშვნა გახლდათ).

როგორც იქნა, გუშინ საქმეში ქუთაისელებიც ვნახეთ, რომელთაც კახა შენგელია დაემატათ. ასეთმა შენაძენმა, ეტყობა, დოპინგივით იმოქმედა რიონისპირელებზე — ზაურ დოლაბერიძის ბიჭებმა „მაქაბისთან" დიდი შემართებით იასპარეზეს და ჩემპიონატში პირველი წარმატებაც გამოჭედეს — 93:90. გადამწყვეტი იერიში ბოლო წამზე ზუსტი ტყორცნით ქუთათურთა ყველაზე შედეგიანმა მოთამაშემ კოლუაშვილმა შეასრულა.

გუშინვე „ავიამშენმა" რუსთავში „აზოტს სძლია — 89:84, არადა ზოგიერთ ეპიზოდში მასპინძლები 13-14-ქულიან უპირატესობას ფლობდნენ.

12 ნოემბერს ითამაშებენ: სსუ — „ავიამშენი (12 საათზე), „მაქაბი" — თსუ „ნიკორა" (14 საათზე), ქუთაისი — სტუ (16 საათზე) და „აზოტი" — „დინამო" (17 საათზე).

გუშინვე გადაწყდა, რომ საქართველოს კალათბურთის ფედერაციის მორიგი საარჩევნო ყრილობა 16 ნოემბერს გაიმართება.

**გია პლატონიშვილი**

◎ ჩოგბურთი

# ამაგდარი მწვრთნელის ხსოვნას მიეძღვნა



*საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია ყოველწლიურად მართავს დამსახურებული მწვრთნელის — არჩილ ელერდაშვილის ხსოვნის ტრადიციულ ტურნირს ჩოგბურთში. ამჯერად — შეჯიბრებაში თბილისის, ქუთაისის, ბათუმისა და სხვა ქალაქების (ასპარეზობა 4 ასაკობრივ ჯგუფში ჩატარდა) 80-მდე ჩოგბურთელი მონაწილეობდა.*

10 წლამდელ გოგონათა ტურნირზე პირველი ადგილი დაიკავა ქეთევან მებუკემ. 12-წლიანთა შეჯიბრებაზე ტოლი არ ჰყავდა ნინო სუჯაშვილს, 14-წლიანებში ყველა მეტოქე დაამარცხა ნინო მებუკემ, ხოლო უფროს ასაკში (16 წლამდე) ნაილი თაბუნიძემ გაიმარჯვა.

ჭაბუკ ჩოგბურთელთა ტურნირში პირველ ადგილებზე გავიდნენ: 10-წლამდელთა შორის — ნიკა იორდანიდი, 12-წლიანებში — გიგი იორდანიდი, 14-წლიანებში დავით ხუციშვილი.

მემორიალის გამარჯვებულებსა და პრიზიორებს შესაბამისი ხარისხის მედლები და დიპლომები გადაეცათ.

**შოთა ბოკერია**

**სურათზე: არჩილ ელერდაშვილის XVIII მემორიალის გამარჯვებულები და პრიზიორები, ტურნირის ორგანიზატორებთან და მსაჯებთან ერთად.**

**რობერტ ბაგოიანის ფოტო.**

◎ ჭიდაობა

# ქართველები — მსოფლიოს ნაკრებში

**12-13 ნოემბერს, მახაჩ-ყალის სპორტის სასახლეში გაიმართება საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა თავისუფალ ჭიდაობაში.** ერთმანეთს დაუპირისპირდებიან მსოფლიოსა და რუსეთის ნაკრები გუნდები. ჩვენი მეზობლების მოჭიდავეთა თავკაცმა მიხეილ მამიაშვილმა საქართველოს ჭიდაობის ეროვნულ ფედერაციას აცნობა, რომ ფილას პრეზიდენტმა რაფაელ მარტინეტიმ მსოფლიოს ნაკრებში მიიწვია 2005 წლის მსოფლიოს ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში, გურჯაანელი რევაზ მინდორაშვილი (85 კგ), ვერცხლის პრიზიორი, სოხუმელი ლუკა კურტანიძე (96 კგ) და ბუდაპეშტის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი, გორელი ოთარ თუშიშვილი (66 კგ).

**შალვა ჩიხლაძე**

◎ ძიუდო

# „პრეზიდენტის თასი" — გოგონებისთვის

**დღეს და ხვალ თბილისის სპორტის სასახლეში 23 წლამდე გოგონებისთვის პირველად გაიმართება საერთაშორისო ტურნირი „პრეზიდენტის თასზე" ძიუდოში. ტატამზე გამოვლენ საქართველოს, ყაზახეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის, თურქეთისა და დაღესტნის წარმომადგენლები.**

საერთაშორისო ტურნირი ერთიანი ნაციონალური მოძრაობის, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის, ძიუდოს ეროვნული ფედერაციისა და ბოლნისის რაიონის გამგეობის ხელშეწყობით იმართება.

საქართველოში ქალთა ძიუდოს გამოცოცხლება და პოპულარიზაცია სეოკის პრეზიდენტის, ცნობილი ბიზნესმენის ბადრი პატარკაციშვილის სახელს უკავშირდება. სწორედ მან მოიწვია ეროვნული ნაკრების კონსულტანტად ცნობილი ლიტველი სპეციალისტი, ევროპის ორგზის ჩემპიონი პიოტრ პონომარიოვი.



საქართველოს ქალთა ნაკრებს სათავეში უდგას გოდერძი ველიჯანაშვილი. მას ეხმარებიან თემურ გიორგობიანი, თამაზ ვარდანაშვილი, ვაჟა ოძელაშვილი, ვალერი პარუნაშვილი, კობა ედიშერაშვილი და ილია მჭედლიშვილი. ამჟამად მათი მეთვალყურეობით 40 გოგო ვარჯიშობს ბოლნისში ადგილობრივებთან ერთად თბილისიდან, ბათუმიდან, ყვარლიდან, გორიდან, ლაგოდეხიდან, კასპიდან და ოზურგეთიდან.

ვინ დაიცავს საქართველოს სპორტულ ღირსებას და ვინ ავა კვარცხლბეკზე? მობრძანდით დღეს და ხვალ სპორტის სასახლეში და ამას საკუთარი თვალით იხილავთ.

**ნათია კაპანაძე**

◎ სპორტულ ორბიტაზე

## ოლიმპიური პროგრამა უფრო დაიტვირთა

**ხუთშაბათს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომმა 2008 წლის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში დამატებით შეიტანა 3 ათას მეტრზე სირბილი დაბრკოლებებით ქალთათვის და ცურვა 10 კილომეტრზე ღია წყალში კაცებისა და ქალებისთვის. ასევე მიიღეს გადაწყვეტილება — 10-დან 12-მდე გაიზარდოს ქალთა გუნდების რიცხვი ფეხბურთში, ბალახის ჰოკეის და ხელბურთში ოლიმპიურ ტურნირებზე.**

ამავე დროს სოკ-მა უარი თქვა ქალთა კრივისთვის ოლიმპიური სტატუსის მიცემაზე.

## ავსტრალიაში კი არა, ბაჰრეინში

**ასე გადაწყიტა რომში გამართულმა საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის სხდომამ, რომელმაც 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის კალენდარი დაამტკიცა. ბოლო 10 წლის განმავლობაში „ფორმულა-1"-ის სეზონი „ავსტრალიის გრან-პრის" გათამაშებით იწყებოდა, 2006 წლის ჩემპიონატი კი 12 მარტს ბაჰრეინში ამ ქვეყნის დიდი პრიზის გათამაშებით დაიწყება.**

ასეთი ცვლილება კი იმან გამოიწვია, რომ მარტში მწვანე კონტინენტზე იმართება თანამეგობრობის თამაშები.

ავტომოყვარულებმა უნდა იცოდნენ, რომ ამ ვაჟკაცური სპორტის მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის კალენდარი ასე გამოიყურება:

**12 მარტი** — „ბაჰრეინის გრან-პრი" (ბაჰრეინი), **19 მარტი** — „მალაიზიის გრან-პრი" (კუალა — ლუმპური), **2 აპრილი** — „ავსტრალიის გრან-პრი" (მელბურნი), 23 აპრილი — „სან-მარინოს გრან-პრი" (იმოლა), 7 მაისი — „ევროპის გრან-პრი" (ნიურნბერგი), 14 მაისი — „ესპანეთის გრან-პრი" (ბარსელონა), 28 მაისი — „მონაკოს გრან-პრი" (მონტე-კარლო), 11 ივნისი — „დიდი ბრიტანეთის გრან-პრი" (სილვერსტოუნი), 25 ივნისი — „კანადის გრან-პრი" (მონრეალი), 2 ივლისი — „აშშ გრან-პრი" (ინდიანაპოლისი), 16 ივლისი — „საფრანგეთის გრან-პრი" (მანი-კური), 30 ივნისი — „გერმანიის გრან-პრი" (ჰოკენჰაიმი), 6 აგვისტო — „უნგრეთის გრან-პრი" (ბუდაპეშტი), 27 აგვისტო — „თურქეთის გრან-პრი" (სტამბოლი), **10 სექტემბერი** — „იტალიის გრან-პრი" (მონცა), **17 ოქტომბერი** — „ბელგიის გრან-პრი" (სპა-ფრანკორშამი), **1 ნოემბერი** — „იაპონიის გრან-პრი" (სუძუკა), 8 ნოემბერი — „ჩინეთის გრან-პრი" (შანხაი), **22 ნოემბერი** — „ბრაზილიის გრან-პრი" (სან-პაულუ).



როგორც 7-გზის მსოფლიო ჩემპიონი, „ფერარის" პილოტი მიხაელ შუმახერი აცხადებს, წლევანდელი წარუმატებლობის მიუხედავად (იგი მხოლოდ მესამე იყო) ახალ სეზონში ახლებურად გამობრწყინდება.

## გაუმაძღრობის ბრალი ეგონა...



**თითქოს ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ 23 წლის ბრაზილიელი კალათბურთელი ქალის სილვია კრისტინის — „სან-კაეტინოსა" და ქვეყნის ნაკრების წევრის, ცხოვრება 3 დღეში რადიკალურად შეიცვალა.**

სან-კაეტანო-დუ-სალში რეგიონალური თამაშების ფინალის გადამწყვეტი მატჩის შემდეგ სილვიამ თავი შეუძლოდ იგრძნო და პოლიკლინიკას მოაკითხა. ის ძალზე გაოცდა, როცა ექიმების დიაგნოზი შეიტყო — ფეხმძიმედ ხარო. მას კი მუცლის გამონაზარდი თიაქარი ეგონა. სინამდვილეში კი ის შვიდთვიანი ნაყოფი ყოფილა.

„აბა, რა ვიცი, არც გულისრევა მიგრძვნია და არც სხვა რამ. მხოლოდ ცოტა გავსუქდი, რაც ჩემს გაუმაძღრობას დავაბრალე", — ამბობს სილვია.

უფრო უცნაური კი ისაა, რომ ბოლო თვეებში მრავალი ტესტის მიუხედავად, ფეხმძიმობის არც ერთი ნიშანი არ გამოჩენილა.

სამ დღეში მუცელიც მოულოდნელად ასტკივდა და ნაადრევი ბავშვიც დაიბადა. ის ბიჭია, რომელსაც ლუის ფერნანდუ დაარქვა. ის 31 სანტიმეტრია და 1 კილოგრამზე ცოტა მეტს იწონის, ის ახლა ხელოვნურ კვებაზეა და მინის ხუფში ინახავენ.

ამბობენ, რომ მამა, რომლის სახელს არ ამჟღავნებენ, ძალზე ბედნიერია.

## ბექჰემს ფრედი ამჯობინა

**დასამალი როდია, რომ „სუსტი სქესის" ბევრი წარმომადგენელი ოცნებობს ფეხბურთის ვარსკვლავ, ინგლისელ დევიდ ბექჰემთან ურთიერთობაზე, თუმცა გამონაკლისებიც არიან, ვისაც ინგლისელი არ აინტერესებს. ერთ-ერთი მათგანია ეფექტური შვედი მოდელი მადლენ ლექსანდერი.**

ლამაზმანი ლონდონის „არსენალის" თაყვანისმცემელია. ამაში კი მთავარი „დამნაშავე" გუნდის შვედი ნახევარმცველი ფრედერიკ იუნგბერგია.

„ჩემი ფრედი გაცილებით უკეთ თამაშობს, ვიდრე ბექჰემი. ჯერ ერთი ჩემს საყვარელს დახვეწილი დარტყმა აქვს და მეორეც, ის გაცილებით ტექნიკურია ინგლისელზე. ისე რომ, ვერ გამიგია, ხალხმა რა ნახა სანდომიანი ამ დევიდში. ფრედერიკი გაცილებით უკეთესია, — ამტკიცებს მადლენი. თანაც, მისივე აზრით, ფრედერიკო უფრო „სექსუალურია", ვიდრე ბექჰემი.




# შეტყობინება

## სააქციო საზოგადოება „პირველი კომერციული ბანკის" აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების ჩატარების შესახებ

**სააქციო საზოგადოება „პირველი კომერციული ბანკი"-ს დირექტორატი გატყობინებთ, რომ ბანკის აქციონერთა 2005 წლის 27 ოქტომბრის რიგგარეშე საერთო კრება არ ჩატარდა ქვორუმის არაარსებობის გამო და გაცნობებთ, რომ საერთო კრება ჩატარდება 2005 წლის 17 ნოემბერს, 18.00 საათზე ბანკის საქმიან ოფისში შემდეგ მისამართზე: საქართველო, ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზ. № 114, შემდეგი დღის წესრიგით:**

1. ცვლილებები სს „პირველი კომერციული ბანკი"-ს სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში და სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა სახელფასო განაკვეთების განსაზღვრა.
(მომხსენებელი: რ. სურამელაშვილი).

2. სს „პირველი კომერციული ბანკი"-ს სარევიზიო კომისიის მესამე წევრის არჩევა
(მომხსენებელი: რ. სურამელაშვილი).

დღის წესრიგის გამო დაწვრილებით ინფორმაციის მიღება აქციონერებს შეუძლიათ სს „პირველი კომერციული ბანკი"-ს დირექტორატში.

დღის წესრიგთან დაკავშირებით, აქციონერებს შეუძლიათ განმარტებების მოთხოვნა დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოსაგან, როგორც კრებაზე (ზეპირად), ასევე წერილობით. თუ ამგვარი წერილობითი მოთხოვნა წარდგენილ იქნა დირექტორატში ან სამეთვალყურეო საბჭოში 2005 წლის 7 ნოემბრამდე, მასზე იქნება გაცემული პასუხი ან საკითხი შევა დღის წესრიგის დამატებით პუნქტად.

კრების მუშაობაში მისაღებად მოწვეულნი არიან (საალრიცხვო თარიღი):

— ბანკის აქციების მფლობელი აქციონერები (ან მათი წარმომადგენლები), თუ ისინი (აქციონერები) რეგისტრირებული არიან ბანკის აქციონერთა რეესტრში, რომელსაც აწარმოებს დამოუკიდებელი რეგისტრატორი შპს „რეგისტრი", 2005 წლის 10 ნოემბრის 18 საათის მდგომარეობით. მსურველებს ამ ფაქტის შემოწმება შეუძლიათ ა.წ. 9 ნოემბრის 10 საათიდან 16 ნოემბრის 18 საათამდე. მისამართზე: თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი № 74 ა, დამოუკიდებელი რეგისტრატორი შპს „რეგისტრი".

**სააქციო საზოგადოება „პირველი კომერციული ბანკის" გენერალური დირექტორი**
**რ. სურამელაშვილი.**
**2005 წლის 28 ოქტომბერი.**

◎ მხიარული ისტორიები

# რატომ გამოაგდეს „ვგიკიდან" გუგული მგელაძე

**გუგული მგელაძის ფილმები ქართველი საზოგადოებისთვის კარგად ნაცნობი და საყვარელია. მარტო „ბურთი და მოედანი" რად ღირს, რომელიც დღესაც ინგლისელი, ესპანელი, ბრაზილიელი და არგენტინელი მაყურებლის საყვარელი ფილმია და მას იქ წელიწადში რამდენჯერმე უჩვენებენ ტელევიზიით. მისი კინომოღვაწეობა მსახიობობით დაიწყო. როგორც თავად ამბობს, ფირის სუნმა შეჩვევა იცის და მეც ეს ავადმყოფობა შემეყარაო.**

**— ბატონო გუგული, თქვენი პირველი როლია ავთანდილი „გიორგი სააკაძეში".**

— ჯერ „ქაჯანა" იყო. ქუჩაში ვიღაცამ მომკიდა ხელი და მკითხა: რამდენი წლისა ხარო? 12 თუ 13 წლის ვიყავი. რეჟისორი პიპინაშვილი „ქაჯანას" იღებს და, უნდა მოხვიდე კინოსტუდიაშიო. გამიხარდა. რომ მივედი, რეჟისორმა შემხედა, თმა გაიზარდეო მითხრა და მალე დაგიძახებთ როლზე გასასინჯადო. სკოლაში მასწავლებლები მიწყრებოდნენ, მე კი ვამბობდი, კინოში მიღებენ-მეთქი. 2 თვე გავიდა, არავინ მეძახის. მეც თმა გადავიპარსე, ამ დროს კინოსტუდიიდან კაცი გამოგზავნეს, გიბარებენო. რეჟისორს გაუკვირდა, ასეთი რომ დამინახა. ვეღარ გადამიღეს, მაგრამ ვითამაშე ერთ ეპიზოდში. ეს იყო დასაწყისი. ერთხელ დედამჩემმა სტუმრად წამიყვანა თავის მეგობართან, სადაც იმყოფებოდა მეორე რეჟისორი გედევანიშვილი. იგი დაჟინებით მიყურებდა. ასე აღმოვჩნდი „გიორგი სააკაძის" სინჯებზე. ჭიაურელთან 4 ბიჭი მიგვიყვანეს. ჩაგვაცვეს, პარიკები დაგვახურეს. იმან გვიყურა, გვიყურა და ჩემზე თქვა — ეს იქნებაო. ავთანდილის როლზე ამიყვანეს. მერე ყველაფერმა ამან გადამიარა.

**— და მაინც სამსახიობოზე ჩააბარეთ?**

— 18 წლისა ვხდები და არ მინდა ჯარში წასვლა. სადღაც წავიკითხე, კინოსტუდიას რომ „ბრონი" აქვს. გავიარე კონკურსი და კინოსკოლაში მიმიღეს. მოსკოვიდან ჩამოვიდა ვინმე ტავრეზიანი კინემატოგრაფიის ინსტიტუტში ხალხის წასაყვანად. შერჩეულებში მეც მოვხვდი. სამსახიობოზე ჩავაბარე, მაგრამ ერთ გენერლის ბიჭთან ერთად, რომელიც ჩვენთან სწავლობდა, ორლოვი იყო გვარად, პარკებში დავდიოდით, გოგონებთან ერთად დავსეირნობდით, მოკლედ ვაცდენდით ლექციებს და პირველი სემესტრის შემდეგ გამომაგდეს. თბილისში ვეღარ ჩამოვედი. მერიდებოდა. დავრჩი და 6 თვე გაჭირვებაში გავლიე. დედას და დებს ვწერდი: კარგად ვარ, ვსწავლობ და წინ დიდი პერსპექტივა მელის. დედაჩემს ეგონა, ჩარლი ჩაპლინად დავბრუნდებოდი. ჩამოვედი თბილისში და მერე ვიფიქრე, ადრე წავალ და ხელახლა ჩავაბარებ-მეთქი. ისევ მოსკოვში ვარ, იმხელა კონკურსია — ერთ ადგილზე 30 კაცი მოდის. არ იღებენ საბუთებს, შენ სწავლობდი და გაგაგდესო. არადა, ბოლო გამოცდაა დარჩენილი. რექტორთან შევედი. რაღაც კეთილად შემომხედა და მითხრა: актёрское дело – сумашедшее дело, идите, сдавайте. დამიწერა ქაღალდი და ერთადერთი ლექსით, რაც ვიცოდი, გავედი გამოცდაზე.



**— რა ლექსი იყო, გახსოვთ?**

— როგორ არ მახსოვს. იმ ლექსის შემდეგ ან მიმიღებდნენ, ან დამიჭერდნენ. მე რომ მივედი, 4 თუ 5 აბიტურიენტილა იყო დარჩენილი. გაწითლებულები გამოდიან და იძახიან, ყურს არავინ გვიგდებდაო. კომისიაში არიან ეიზენშტეინი, რომი, გერასიმოვი... მთელი ელიტა. ოთახში შევედი და გავჩერდი. არც ერთი არ მიყურებს. მერე ერთმა შემომხედა, რატომ არ იწყებსო. შემდეგ მეორემ და ყველამ რომ შემომხედა, სიჩუმე ჩამოვარდა და დავიწყე. მომზადებული მაქვს ლერმონტოვის „Смерть Поэта". ხმაც მოდის, ტემპერამენტიც და დიდი ემოციებით ვკითხულობ. ლექსი ასე მთავრდება

„...И вы не смоете всей вашей
черной кровью
Поэта праведную кровь

- მე ასეთი პროტესტის გრძნობით და ახალგაზრდული სულით ლექსი აღარ წამიკითხავს. სიჩუმეა. ყველა, ვინც იქ იჯდა კომუნიზმს და იმ სისტემას ემსახურებოდა (ეიზენშტეინს გამოვრიცხავ) და ყველას თავისი ცოდვები ჰქონდა. მივხვდი, რომ მე იმათ ველაპარაკები, ვისაც ეს სადღაც ეხებათ კიდეც. არ ვიცი რა იფიქრეს, მაგრამ მითხრეს: идите сюда, садитесь, успокоитесь, выпите воду. ე. ი. არ დამიჭირეს. გამოვედი, მომვარდა ინსტიტუტის ფიზკულტურის კათედრის გამგე, რომელსაც ქართველები უყვარდა და წინა წლიდან მიცნობდა: слушай, моя племянница скоро будет сдавать, ты подготовишь её?

რას მოვამზადებდი, ერთი ლექსის მეტი არ ვიცოდი. გაბრაზებამ და ტემპერამენტმა მიშველა, თორემ სად იყო ოსტატობა. მიმიღეს და იუმორი იმაშია, რომ რეჟისორმა იუტკევიჩმა (პიკასოსთან მეგობრობდა და ხშირად იმეორებდა Я и Пикасо) რომეოს როლი მომცა და ჩავაფლავე. მერე სხვას მისცეს ეს როლი.

**— გამოვიდა თქვენი ლექსების რამდენიმე კრებული. ბოლოდროინდელი ლექსებიდან რომელიმე წაიკითხეთ?**

***— წვიმას უკვე გადაეღო,***
***ღამე იყო მთვარიანი,***
***ვხედავ, გდია სველ***
***ასფალტზე 50 ლარიანი.***
***წამით გვირგვინს მოვკარ თვალი,***
***ფეხების რომ აჩნდა კვალი.***
***გაუხარდათ შვილებს ფული,***
***უმცროსი მთლად გადარია,***
***დაიყვირა გაკვირვებით, ეს ხომ***
***მეფე თამარია!***
***სტაცა ხელი, უცებ გაქრა. ჩვენ კი***
***ამ დროს გეგმებს ვაწყობთ:***
***ხვალ ხომ მისი დღეობაა,***
***დავპატიჟებთ ყველა ნაცნობს.***
***სწორედ ამ დროს მას თამარი***
***მაკრატელით ამოეჭრა —***
***კაბის ტოტით ასუფთავებს, სულს***
***უბერავს, ფიქრობს აშრობს.***
***კედლიდან ხსნის ძველ სურათებს,***
***ალბათ ეძებს მისთვის ჩარჩოს.***
***ვგრძნობ, მომაწვა რაღაც ყელში,***
***საოცრების გავხდი მოწმე,***
***ავიტაცე შვილი ხელში და***
***შემკრთალი დიდხანს ვკოცნე.***

**— თქვენი ვაჟი გიო აგრძელებს მამის საქმეს. შვილიშვილიც ხომ არ აპირებს დაადგეს ამ გზას?**

— ლუკა 13 წლისაა და ჩემს შვილს ამსტერდამში გადაღებებზე ჰყავდა. ოპერატორ გიორგი ბერიძეს ეხმარება გადაღებაში. ვხუმრობ, ბერიძეს რა დახმარება უნდა. ფილმს ჰქვია „ჩემი თვითმფრინავი" და აფხაზეთის თემას ეხება. კინოცენტრის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე გიოს ორმა სცენარმა გაიმარჯვა. მან I-II ადგილები აიღო, მე მეექვსე. ერთი სცენარი დამითმე-მეთქი ვუთხარი, არა, იმას მერე გადავიღებო.

***— კომედიის გადაღება უფრო ძნელია, თუ დრამის?***

— დრამაში ვერ მიხვდები რეჟისორი კარგია თუ ცუდი. ზოგი იტყვის კარგია, ზოგი — ცუდია, ან იტყვიან — ვერ გავიგე. კომედიაში ხელად გაიყიდები, ყველაფერი აშკარად ჩანს. იუმორს თუ ვერ გაიგებ, რა იუმორია.

**ესაუბრა**
**ნანული ზოტიკიშვილი**

◎ მკითხველის ფელეტონი

# თუ გვსურს, გავმდიდრდეთ ბიზნესით...

## ანუ რატომ არის უბრალო მოკვდავთათვის ყველაფერი რთული

**არა მარტო ბიზნესმენობა, თუ უმუშევარი ხარ და გსურს დასაქმება, ვის უნდა მიმართო თუ არა ეკონომიკის ჩვენს სახელოვან მამებს, რომლებმაც ყველაფერი იციან და მაღალი თანამდებობებიც უკავიათ აღმასრულებელ თუ საკანონმდებლო სტრუქტურებში. ისინი არცთუ იშვიათად ჩვენი პრესის საშუალებით გვმოძღვრავენ და გვასწავლიან. ერთ-ერთი ასეთი საპროგრამო ინტერვიუ პრესაში გამოქვეყნდა ბატონ კახა ბენდუქიძესთან სათაურით — „ფული გარკვეულ ზღვრამდე ცხოვრებისათვის აუცილებელი საშუალებაა, ამ ზღვრის მერე — თამაში"** (რავარი ხედვაა?).

**თუ გვსურს, საწყის ეტაპზე „ცხოვრებისათვის აუცილებელი საშუალება" მოვიპოვოთ, მის ინტერვიუს გავაყოლოთ თითი.**

როგორც ინტერვიუდან ჩანს, ბატონი კახა მარეგულირებელ კომისიებს გაუბრაზებია. გაზეთმა „საქართველოს რესპუბლიკამ" არაერთხელ გააფრთხილა „რეგულიროვჩიკები", რომ მათ საქმიანობას გაიგებდნენ და ხმას ამოიღებდნენ. ბატონმა კახამ ამოიღო და რა ამოიღო, მარეგულირებელი კომისიები მუქთახორების თავშესაყარიაო, თქვა. კომისიის იმ წევრს, რომელიც „დაასრულებს 6-წლიან მუშაობას კომისიაში, არ უნდა მიეცეს იმ ბიზნესში მუშაობის უფლება, რომელსაც არეგულირებსო. ე.ი. ახლა რომ არეგულირებს და ბაირამობს, მომავალში, როცა განთავისუფლდება, ვეღარ იბაირამებს.

მე ვხვდები, რომ ამ სიტყვების აზრი ზოგიერთებმა ვერ გაიგეთ. ჩვენ ციტირება მოვახდინეთ ბატონი კახას სიტყვებისა, რომლის მიხედვით მარეგულირებელი კომისიის წევრები ცდილობდნენ ბატონი კახა მოეტყუებინათ. რაღაც „საქონელში" მათ ვიღაცას 238 ათასი ლარი გადაახდევინეს, ხოლო სხვას — 27 მილიონი ლარი.




ვატყობთ, რომ „რეგულიროვშჩიკებზე" დაიწყება „კუდიანებზე ნადირობის" მსგავსი, ამიტომ დღესდღეობით სჯობს ამ საკითხში თავი შევიკავოთ და სხვა სტრიქონს გავაყოლოთ თითი.

**„დაუწერელი კანონია, როდესაც კაცი დიდ თანხას იხდის, ის ობიექტს უთუოდ აამოქმედებს. არის კიდევ ერთი მომენტი, როცა ყველაზე დიდი თანხის გადამხდელს მისცემენ ობიექტს. ცხადია, ის ქრთამსაც აღარ მისცემს ვინმეს. ამიტომ კორუფცია მცირდება".**

ქალბატონებო და ბატონებო, ამას ამბობს ბატონი კახა ბენდუქიძე.

ახლა არ დამიწყოს ვინმემ, ჭიათურა რატომ არ გაიყიდა, ხომ გადაიხადეს დიდი თანხაო, ან რუსთავის ქარხანას ამდენი ხანია ჰყიდდნენ და ძლივს გაყიდესო და სხვა ამგვარი.

ბატონი კახა თავის ინტერვიუში დიდ ადგილს უთმობს ახალი საგადასახადო კოდექსის ავკარგიანობას. მისი განხილვისას ბევრი რამ გაირკვევა. მას მაგალითიც მოჰყავს, თუ როგორ დააკვალიანა თავისი ნათესავები და ბოლოს ბრძანებს: **„ბიზნესმენებს გაზეთის საშუალებით ვეტყვი, ვიშვიშს და მოთქმას სჯობია, ერთად დავსხდეთ, ვილაპარაკოთ, თუ რაიმე ხარვეზი აღმოაჩინეთ კანონში, განვიხილოთ".**

ამაზე მეტი რა უნდათ ჩვენს ბიზნესმენებს, ჩვენთვის გაუგებარია.

საინტერესოა, როგორ უყურებდა ჩვენი წინაპარი გადასახადების სიდიდეს?

**„უდების დადება (ანუ გლეხისათვის ზედმეტი გადასახადის დაკისრება) კაცის კვლის ოდენა არის"**-ო, წერია საქართველოს ისტორიის ნარკვევებში.

როდესაც ახალი საგადასახადო კოდექსი მიიღეს, მაშინ ითქვა, ევროპაში ყველაზე დაბალი გადასახადები ჩვენთან იქნებაო. თუ ევროპელობა გვინდა, გადასახადებიც ევროპელებზე ნაკლები მაინც უნდა გადავიხადოთ, სხვანაირად ევროპელები ვერ ვიქნებითო.

რადგან ჩვენი გადასახადები „უდები" არ გამოდის, ისინი გადახდას ექვემდებარებიან.

სხვა მაგალითი განვიხილოთ.

ბიზნესმენმა, რომელმაც საზღვარგარეთ ნაშოვნი ფულით რაღაც საწარმო ააშენა, ხალხი დაასაქმა და კონკურენტუნარიანი პროდუქცია გამოუშვა, მასთან მისულ ჩინოვნიკს 150 ათასი ქრთამი მისცა — საწარმოს ნუ დამიხურავო.

იმ დალოცვილმა ბიზნესმენმა თუ მაინც უნდა გადაიხადოს ასეთი დიდი თანხა, ადგეს და ბიუჯეტს გადაუხადოს ოფიციალურად. ასეა: ქრთამის მიმცემი ჩვენი ბიზნესმენია და როცა იგი არსებობს, იარსებებს ქრთამის ამღებიც. ბევრ რამეში ჩვენვე ვცოდავთ და ამიტომაც ბრძანებს ბატონი კახა — **არა მგონია, ჩვენ თავისუფალი ეკონომიკური ზონისთვის მზად ვიყოთო.**

ბოლო შეკითხვას — „მთავრობაში მუშაობა მოგწონთ?" ბატონი კახა პასუხობს — **„საინტერესო საქმეა და არც მაინცდამაინც რთული".**

როცა კაცმა ამდენი იცის, მისთვის მართლაც არაფერია რთული, ჩვენთვის კი, ვისაც ცხოვრებისათვის აუცილებელი საშუალებაც ვერ გვინახავს, რთული ყველაფერი იმიტომ არის, რომ გულისყურით არ ვისმენთ მაღალი რანგის ეკონომისტების დაკვალიანებას.

თუ ვინმე ფიქრობს, რომ ჩვენ მხოლოდ ბატონ კახა ბენდუქიძის სტრიქონებს უნდა გავაყოლოთ თითი, ძალიან ცდება. თითი უნდა გავაყოლოთ ჩვენი სხვა მეცნიერების ნააზრევსაც, დაბეჭდილს ჩვენს პრესაში, სხვანაირად არ მოგვეცემა ცხოვრების საშუალება.

**ნუგზარ კობახიძე**

◎ რეკლამა

მინდა ალუბლის ტყემალი, მინდა კაკლის მურაბის შემჭამადი, მინდა სირაქლემის სუკის მწვადი, მინდა სოკოს მუჟუჟი, მინდა ნახშირწყალბადის საუნა, მინდა საოჯახო რეფორმა, მინდა საპარლამენტო უმრავლესობიდან უმცირესობაში გადასვლა, მინდა ქაჯობა, მინდა ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან ინტეგრირება, მინდა კანარის კუნძულებზე სამსართულიანი კოტეჯი, ყველაფერი მინდა...

სამშენებლო კომპანია „სერვისავიამშენი".

◎ სხარტულა

## მადა დიდკაცობაშიც მოდის

**დეპუტატი მალე თურმე თანაშემწეს**
**გაირტყამსო,**
**ხაზინა ხომ მაგათია, ამ ხარჯებსაც აიტანსო...**
**— თანაშემწე რაღად უნდათ? —**
**გაუკვირდა ამერ-იმერს.**
**მერე, ალბათ, მოითხოვენ ძიძასა**
**და კამერდინერს...**

**თამაზ ილმელი**

ბედი და ადამიანები

# ერთგული ქვეშევრდომი

## არტილერისტებო, არაკჩეევმა გასცა ბრძანება

არაკჩეევი დედაქალაქში 1803 წლის გაზაფხულზე დაბრუნდა: ალექსანდრე პირველმა იგი მთელი არტილერიის ინსპექტორად დანიშნა. იგი სამსახურს გულმოდგინედ შეუდგა და მოკლე ხანში საარტილერიო ნაწილები საუკეთესონი იყვნენ არმიაში. თითქმის ყოველდღიურად წერდა ბრძანებებს ევროპული ნიმუშის მიხედვით ახალი იარაღის დამზადების, დენთით, ცხენებითა და პროვიანტით, მომარაგების ორგანიზაციის, რეკრუტების სწავლების შესახებ...

1808 წლის დამდეგს არაკჩეევი დაინიშნა სამხედრო სახმელეთო ძალების მინისტრად და იმავე წელს სარდლობდა რუსეთის არმიას შვედების წინააღმდეგ ომში. „შესანიშნავი ენერგიით" ორგანიზაცია გაუწია ზამთრის გადასვლას ყინულზე ბოტნიის ყურეში: რუსეთის ჯარები სტოკჰოლმთან მივიდნენ და აიძულეს მოწინააღმდეგე, ფარ-ხმალი დაეყარა. მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ არც ერთ ბრძოლაში არაკჩეევს მონაწილეობა არ მიუღია — როგორც კი სროლის ხმას გაიგონებდა, სახე უფითრდებოდა და ცდილობდა,



იმპერატორ ალექსანდრე I ხსოვნის უკვდავსაყოფად არაკჩეევმა ბრძანა, გაეკეთებინათ ბრინჯაოს საათი, რომელზეც იმპერატორის ბიუსტი იქნებოდა. ლაბადამოხვეული მეომარი საათის მარჯვენა მხარეს თავად არაკჩეევია. საათი დღეში მხოლოდ ერთხელ რეკდა – ალექსანდრე პირველის გარდაცვალების დროს.

თავშესაფარში შესულიყო. შესანიშნავი სამხედრო ორგანიზატორი ცუდი მხედართუფროსი გამოდგა და ნაპოლეონის წინააღმდეგ მთელი ომი მეფის გვერდით მთავარსარდლის ბანაკში გაატარა.

ჯერ კიდევ ომამდე ალექსანდრეს მოუვიდა რუსეთში სამხედრო დასახლებათა შექმნის იდეა. ფული ხაზინაში არ იყო, დიდი ჯარი კი უნდა შეენახათ. აი იმპერატორმა გადაწყვიტა: დე, ჯარისკაცებმა თვითონვე შეინახონ თავი სურსათითა და ფურაჟითო. მოგვიანებით მთელი ბრალი ამისთვის გრაფ არაკჩეევს დააკისრეს, თუმცა ინიციატივა თვით მეფისგან მომდინარეობდა. არაკჩეევი, როგორც ყოველთვის, მხოლოდ ერთგული შემსრულებელი გახლდათ.

1816 წელს დაახლოებით 500 ათასი გლეხი და ჯარისკაცი სამხედრო ახალმოსახლეთა მდგომარეობაში გადაიყვანეს. ეს იმას ნიშნავდა, რომ ჩვეულებრივი მძიმე გლეხური შრომის გარდა კიდევ მომქანცველი სამწყობრო ვარჯიშები უნდა ჩაეტარებინათ. ამან ხალხის უკმაყოფილება გამოიწვია, იმართებოდა აჯანყებები, რომლებსაც ხელისუფლება სასტიკად ახშობდა. დასახლებანი სიცოცხლეს განაგრძობდნენ, ზოგიერთი აყვავდა კიდეც. არაკჩეევის მეცადინეობით იქ, ისევე, როგორც გრუზინოში, აშენებდნენ სკოლებსა და საავადმყოფოებს, გაჰყავდათ გზები, ნერგავდნენ სამეურნეო სიახლეებს. მაგრამ უმადური თანამედროვეები ყოველივე ამაში ხედავდნენ მხოლოდ სასტიკი მედროვის განზრახვას — აიძულებინა მთელი რუსეთი ევლო მწყობრად და მალულად ლანძღავდნენ „გველსა" და „კაციჭამიას".

## ნასტასიას მკვლელობა

არაკჩეევმა ძალაუფლების მწვერვალებს მიაღწია. მის ხელში გადიოდა ყველა მნიშვნელოვანი სახელმწიფო დოკუმენტი, ყველა დანიშვნა ჩინოვნიკურ თანამდებობებზე. უზარმაზარი იყო მისი გავლენა მეფეზე. ალექსანდრე თავის საყვარელ ადამიანზე ასე ამბობდა: „ყოველივე ცუდს საკუთარ თავზე იღებს, ყოველივე კარგს მე მომაწერსო".

1825 წლის შემოდგომაზე იმპერატორმა მას ახალი მნიშვნელოვანი დავალება მისცა — გამოეძია დაბეზღებანი საიდუმლო საზოგადოებაზე და დაეპატიმრებინა შეთქმულების მონაწილე თავად-აზნაურები. ვინ იცის, მოხდებოდა თუ არა დეკემბრის აჯანყება სენატის მოედანზე, რომ ალექსეისთვის გული არ დაეკოდა გრუზინოდან მოსულ საშინელ ამბავს. გრაფის მოსამსახურეებს ყელში ამოუვიდათ ნასტასიას ალვირახსნილობა და მისი მოკვლა გადაწყვიტეს. ამ საქმის შესასრულებლად 500 მანეთად მოურიგდნენ მზარეულ ვასილ ანტონოვს. 10 სექტემბერს დილით ვასილი ბატონის სახლში შეიპარა და სამზარეულოს დანით ყელი გამოჭრა საძულველ ფავორიტს.



კაბინეტი, რომელშიც ერთხელ ღამე გაათია ალექსანდრე I-მა, არაკჩეევმა „წმინდა სალოცავ" ადგილად აქცია.

არაკჩეევი სასოწარკვეთაში ჩავარდა. დღე და ღამ თან დაატარებდა მოკლულის სისხლით გაჟღენთილ ცხირსახოცს. მზარეულს როზგების ცემით ამოხადეს სული, ბუნტის მოთავენი კატორღაში გადაასახლეს. ნასტასიას ნივთებში არაკჩეევმა აღმოაჩინა ბარათები, რომლებსაც იგი ახალგაზრდა ოფიცრებს სწერდა. ვიდრე გრაფი გამოძიებით იყო დასაქმებული, ამბავი მოვიდა პეტერბურგს, ტაგანროგში იმპერატორმა სული დალიაო. ორი ყველაზე ახლობელი ადამიანის დაკარგვამ არაკჩეევი გააოგნა. ახალმა იმპერატორმა არაერთგზის გამოიძახა იგი სამეფო კარზე, მაგრამ არაკჩეევი არ ცხადდებოდა. ნიკოლოზ პირველი ასეთ რამეს ვერ იტანდა და მამის საყვარელ ადამიანს გაუგზავნა საიდუმლო ბრძანება — იმპერატორისთვის გადადგომა ეთხოვნა. არაკჩეევიც ასე მოიქცა. ჯერ კარლსბადის წყლებზე გაემგზავრა, შემდეგ კი საბოლოოდ გრუზინოს დაუბრუნდა.

ყოფილი მედროვის სიცოცხლის დასასრული უღიმღამო და სევდიანი იყო. ზაფხულობით იგი კიდევ ხელმძღვანელობდა სამშენებლო და მინდვრის სამუშაოებს, ზამთრობით მოწყენილობა სტანჯავდა. სტუმრები აღარ მოდიოდნენ, თუმცა დედაქალაქიდან არცთუ შორს იყო. პეტერბურგი შეეცადა, რაც შეიძლება მალე დაევიწყებინა „ურჩხული". კითხვასთან ალექსეი ცოტა „უკაცრავად" გახლდათ. მთელი დღეები ოთახებში დაბორიალობდა და გონებაში მათემატიკურ ამოცანებს წყვეტდა. მან მამულში ალექსანდრე პირველის ნამდვილი კულტი შექმნა. ოთახი, რომელშიც ერთხელ იმპერატორმა ღამე გაათია, მისი მარმარილოს ბიუსტით დაამშვენა ასეთი წარწერით: „ვინც გაბედავს და მას შეეხება, შეჩვენებული იქნება მარად". იქვე ინახებოდა მეფის კალამი, მისი წერილები და პერანგი, რომელშიც ალექსანდრე გარდაიცვალა — არაკჩეევმა ანდერძით დაიბარა, ამ პერანგით დამასაფლავეთო. გრუზინოში, ტაძრის წინ, დადგა იმპერატორის ბრინჯაოს ძეგლი, რომელიც საბჭოთა დრომდე შემორჩა. შემდგომ ყველაფერი ეს აოხრდა: გლეხებმა მშვენიერი პარკი გააჩანაგეს, მთავარი ქუჩის გასწვრივ ღობე დაიტაცეს, სასახლის გუბურაში მოცურავე გედები დაიჭირეს და შესანსლეს.

1834 წლის 21 აპრილს არაკჩეევი გარდაიცვალა. მას მემკვიდრე არ დარჩენია, ამიტომ მთელი თავისი ქონება უანდერძა ნოვგოროდის კადეტთა კორპუსს, რომელსაც არაკჩეევის სახელი მიენიჭა. 20 წლის შემდეგ კორპუსს სახელწოდება შეუცვალეს. იმპერიის ერთგული ქვეშევრდომი შემდგომ არავის გახსენებია.

**ვადიმ ერლიხმანი**

**თარგმნა ბორის დარსაძემ**

**დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ" № 248.**

# NON-STOP

## მასკი-შოუ აიკრძალება



**„გავეცი ბრძანება, ცეცხლი გაუხსნან ყველას, ვინც კი ნიღბით გამოჩნდება ქუჩაში, არა აქვს მნიშვნელობა, ვინ იქნება ეს ადამიანი", — განაცხადა ჩეჩნეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა რუსლან ალხანოვმა.** „ვინც ერიდება თავისი სახის გამოჩენას, ბანდიტია. ჩვენ არავისი არ გვეშინია და ვიმოქმედებთ კანონის თანახმად", — დასძინა მინისტრმა. ახლა ძალოვანებმა უნდა შეასრულონ ჩეჩნეთის ხელმძღვანელობის კიდევ ერთი მოთხოვნა: ოპერაციის განხორციელების დროს, მათ უნდა ისარგებლონ სახელმწიფონომრიანი მანქანებით.

## ელჩი პოლიციამ გაძარცვა



**ბულგარეთში პოლიციის ორი ოფიცერი დააპატიმრეს შეერთებული შტატების ელჩის ჯონ ბეირლის მობილური ტელეფონის მოპარვის გამო.** ქალაქ ვარნის აეროპორტში მომუშავე ორმა პოლიციელმა ელჩის ძვირადღირებული აპარატი მაშინ მოიპარა, როცა ბეირლი გადიოდა შემოწმებას თვითმფრინავში ჩაჯდომის წინ. როცა ბეირლიმ თავისი აპარატი მოიკითხა, პოლიციელებმა უთხრეს, რომ იგი თვალითაც არ უნახავთ. მაგრამ გამოიყენეს სპეციალური ელექტრონული მოწყობილობა, რომლის მეშვეობითაც განსაზღვრეს, თუ სად შეიძლებოდა ყოფილიყო აპარატი. როგორც გაირკვა, იგი ჯიბეში ედო წესრიგის ერთ-ერთ დამცველს. ახლა ხელმრუდ პოლიციელებს ათ წლამდე ვადით პატიმრობა ელით.

## ბრედ პიტის „გოგონა" ჯეიმს ბონდის პარტნიორი გახდება



**როგორც დასავლეთის ტაბლოიდებიდან გახდა ცნობილი, 30 წლის ანჯელინა ჯოლის გადაიღებენ ბონდიანას 21-ე სერიაში, რომელსაც ეწოდება „კაზინო როიალი". მას, ალბათ, მოუწევს ორმაგი აგენტის, რუსი ჯაშუში ქალის როლის შესრულება, რომელიც, რა თქმა უნდა, შეძლებს ცნობილი მექალთანის — ბონდის ლოგინში შეტყუებას.** მაგრამ, დენიელ კრეიგი, რომელიც შეცვლის სახელგანთქმულ პირს ბროსნანს 007 აგენტის „პოსტზე", ჯოლის პიტზე მეტად, ალბათ, არ მოეწონება, ასე რომ, ბრედს შეუძლია თავისუფლად დათანხმდეს იმაზე, რომ მისმა მეგობარმა გოგონამ ითამაშოს ამ ფილმში. სურათის გადაღება დაიწყება მიმდინარე წლის დეკემბერში ჩეხეთში, ეკრანებზე კი 2006 წელს გამოვა.

* * *



**2005 წლის პირველი ნახევრის მონაცემებით, ევროპაში ყველაზე ძვირი ბენზინი 1,29 ევრო ღირს.** კრონებზე გაანგარიშებით, ასეთია ერთი ლიტრი 98-ე ბენზინის ფასი ნორვეგიის ავტოგასამართ სადგურებში. მომდევნო ადგილები დაინაწილეს ნიდერლანდმა (1,28 ევრო) და დიდმა ბრიტანეთმა (1,27 ევროს ეკვივალენტი ეროვნული ვალუტით).

* * *

**მსოფლიოში ყველაზე ხანგრძლივი გამოცდა ჩააბარა 70 წლის კორეელმა სეო სანგ მუნმა.** ამ ადამიანმა საგზაო მოძრაობის წესების ცოდნის ტესტი მხოლოდ მას შემდეგ ჩააბარა, რაც 271-ჯერ წარსდგა ავტოსკოლის გამომცდელთა წინაშე.

გვწერენ

## მხარს ვუჭერთ

გავეცანით გაზეთ „ლელოში" გამოქვეყნებულ წერილს „ერთი აუზი, ორი წყალბურთელი და"... სადაც, ჩვენმა მეგობარმა, ვეტერანმა წყალბურთელმა, პროფესორმა ოთარ მიმინოშვილმა წამოაყენა საცურაო აუზის აშენებისა და წყალბურთელთა კლუბის შექმნის იდეა.

ჩვენ ვიზიარებთ რა მის შეხედულებებს, მზადა ვართ სათანადო მუშაობა გავწიოთ ამ ეროვნული საქმისათვის. უახლოეს დროში შევქმნით საინიციატივო ჯგუფს, წარმოვადგენთ წესდების პროექტს და აუზის მშენებლობისთვის შესაბამის დოკუმენტაციას.

**ვეტერანი წყალბურთელები: მოსკოვიდან: გივი ჩიქვანაია, სოსო ნიჟარაძე, შალვა ბრეუსი. თბილისიდან: ლერი გოგოლაძე, ვლადიმერ ისელიძე, ნოდარ კურტანიძე, მურთაზ გულედანი, ლადო გიორგაძე, დათო რურუა, ალეკო ნიკოლაიშვილი, ვასილ ცოტაძე, ნიკა ივანიშვილი. სულ 48 ხელმოწერა.**

## შაბათი, 29 ოქტომბერი

**1**

**08.00** "მთავარი" **08.15** ანიმ. ფილმი "ზღარბ სონიქის თავგადასავალი" **08.40** საბავშვო სერ. "მერი ქეითი და ეშლი ბრძოლაში" **09.00** მომავლის ცირკი **10.20** სპექტაკლი **"ვაზის ყვავილობა"** მე-5 ნაწ. **11.30** დოკ. ფ."მითხარი როგორ" **12.00** "მთავარი" **12.20** დოკ. ფილმი "სილის დაკარგული მიწები" **13.20** ქართ. მხ. ფილმი **"გადაღების ერთი დღე"** **14.30** მუსიკა **16.00** სერიალი **"დინოტოპია"** **17.00** დოკ. ფილმი "მახნო - უკრაინელი გლეხი" **18.00** "მთავარი" **18.10** "არქივიდან" – ქართული ფოლკლორი **18.30** დოკ. სერიალი "ჯანსაღი კვების სტილი" **19.00** დოკ. ფილმი "მოგზაურობა" (ნორვეგია) **20.00** "მთავარი" -საინფ. პროგრამა **20.30** სერიალი **"სტუდენტები"** **21.30** ბიოგრაფიული პორტრეტები - დ. რამსფელდი, გენერალი ტომი ფრენქსი. **22.30** დოკ. ფილმი "სიჩქარე" **23.00** მხ. ფილმი **"ვირჯინია"** (12) მე-3 ს. **00.00** საინფორმაციო გამოშვება

**2**

**19.00** ტელეზღაპარი **19.15** მულტსერიალი "ტენტენის თავგადასავალი" **19.40** კონცერტი **20.30** კინოსეანსი **"ხაფანგი"** 1ს.

**08.00** კლასიკა **09.00** კურიერი **09.30** "ჯეტიქსი" **11.00** საბავშვო ფილმი **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.20** გაიღიმეთ ფარული კამერაა **12.50** მხ. ფილმი **"სადგური ორისთვის"** **15.20** მხ. ფილმი **"სერიული მკვლელობები"** (U) **17.00** სერიალი **"ენტერპრაიზი"** **18.20** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა **19.15** მხ. ფილმი **"როგორ მოვკლათ მეზობლის ძაღლი"** (U) (კენეტ ბრანა) **22.00** შაბათის ღამის შოუ **23.00** "ჯეობარი" **00.00** მხ. ფილმი **02.00** კურიერი **02.20** მხ. ფ. **"გასაღები"** (18)

**09.00, 13.00, 15.00, 17.00** ქრონიკა **09.10** 12 პლუსი **10.30** უცხო სუნელი **11.00** ჩვენი ეზო **11.20** "რაო-რაო?" **11.30** "დილის ფოსტა" **12.20** "იმედითა შენითა" **12.40, 16.15** **ტვ**-მარკეტი **13.20** მხ. ფილმი **"ქამელეონი"** (U) (დანიელ ოტეი) **15.15** "დეკო-რაციო" **15.45** დოკ. სერიალი "ატლანტიდის ძიებაში" მე-2ს. **16.30** უცნობი საქართველო **17.10** სერიალი **"მოჯადოება"** **18.00** "ეტალონი" **19.00, 20.00, 23.00, 03.20** ქრონიკა **19.05** სერიალი **"მოჯადოება"** **20.30** "ნაცნობი საქართველო" **22.00** "ალავერდი" მე-6 გადაცემა **23.30** მხ. ფ. **"მომხიბვლელობის კანონი"** (U) (ჯ. მური) **01.40** მხ. ფილმი **"ხოცვა-ჟლეტა ტეხასში ბენზოხერხით"** (18) **03.30** იმედის მელოდიები

**08.30** საინფორმაციო კოლაჟი **08.35** მუსიკა **09.30** ანიმაც. სერიალი "იასამნის ციხესიმაგრე" **10.00** მულტფილმი "კარლსონი და ბიჭუნა" **11.00** სერიალი "დაკარგული ქვეყანა" **12.00** "ფოკუსის ისტორია" **12.30** ტელეჟურნალი "სცენა" **13.00** მხ. ფილმი **"ორნი ზღვასთან"** (U) **14.35** კონცერტი – ტიმ ბალადა **15.15** სერიალი **"სენიორ ვიანელო"** **15.45** **ფეხბურთი**. **17.00** ტელეჟურნალი "დები ტრევისი" **17.30** მუსიკა მზეზე **18.00** **ფეხბურთი**. **20.00** მზერა **20.30** "ჰოლივუდი დღეს" **21.00** მხ. ფილმი **"მის ფეირვერკი"** (U) (ჰოლი ჰანტერი) **22.30** საინფორმაციო კოლაჟი **23.15** მხ. ფ. **"იოლი ფული"** (15) (მარლონ ბრანდო) **00.30** მუსიკა მზეზე

**კავკასია**

**10.00** "ტვ-შოპი" **11.00, 13.00, 21.00** Style-TV **11.30** მხ.ფ.**"მემკვიდრეობა"** (U) **19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **19.30** გადაცემა "საწინდარი" **21.30** მხ. ფილმი **"ქალი პტეროდაქტილი ბევერლი ჰილზიდან"** (U) **00.30** "ტვ-შოპი"

## კვირა, 30 ოქტომბერი

**1**

**08.00** "მთავარი" **08.15** ანიმ. ფილმი "ზღარბ სონიქის თავგადასავალი" **08.40** საბავშვო სერ. "მერი ქეითი და ეშლი ბრძოლაში" **09.00** მომავლის ცირკი **09.10** სპექტაკლი **"დაკრძალვა კალიფორნიაში"** **11.30** "ახალი პროექტი" - რაინდული საქართველო **12.00** "მთავარი" **12.20** დოკ. ფილმი "ჰავაი" **13.20** მხ.ფ.**"ხარება და გოგია"** **14.50** მუსიკა **16.00** სერიალი **"დინოტოპია"** **17.00** დოკ. ფილმი "მზე - მეგობარი და მტერი" **18.00** "მთავარი" **18.10** დოკ. ფილმი "აფხაზეთი - კონფლიქტის მხარე" **19.00** დოკ. სერიალი "ჰოლივუდი და დანაშაული" **19.30** "გზაჯვარედინი" **20.00** "მთავარი" -საინფ. პროგრამა **20.30** სერიალი **"სტუდენტები"** **21.30** ბიოგრაფიული პორტრეტები - მელისა ესერიჯი, ლიზა მარია პრესლი. **22.30** დოკ. ფილმი "სიჩქარე" **23.00** მხ. ფილმი **"ვირჯინია"** (12) მე-4ს. **00.30** საინფ. გამოშვება

**2**

**19.00** ტელეზღაპარი **19.15** დოკ. ფილმი "თავისუფალი ქართული მედია" **19.40** რაციო **20.45** კინოსეანსი **"ხაფანგი"**. მე-2ს.

**08.00** კლასიკა **09.00** კურიერი **09.20** "ჯეტიქსი" **11.00** საბავშვო ფილმი **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.20** დოკ. ფილმი (ბი-ბი-სი) **12.50** მხ. ფ.**"ლუჟინის დაცვა"** **15.20** მხ.ფ.**"ხევსურული ბალადა"** **17.00** სერიალი **"ენტერპრაიზი"** **18.20** დოკ. ფილმი (ბი-ბი-სი) **19.20** მხ.ფ. **"ორომტრიალი"** (U) **22.00** გაიღიმეთ ფარული კამერაა **23.00** მხ. ფილმი **"სხვები"** (15) (ნ. კიდმანი) **01.00** კურიერი **01.30** მხ. ფილმი **"მოუხელთებელნი"** (18).

**09.00, 13.00, 15.00** ქრონიკა **09.10** ანიმ. ფილმი "სახურავის ბინადარი კარლსონი" **09.50** "რაო, რაო?" **10.30** უცხო სუნელი **11.10** "წუთისოფელში" **11.40** "საკვირაო კოქტეილი" **12.40, 02.25** **ტვ**-მარკეტი **13.15** იმედის მელოდიები **13.25** მხ. ფილმი **"ფესტივალი კანში"** (მ. შელი) **15.00** **ფეხბურთი**. "დინამო" (თბილისი) - "ლოკომოტივი" (თბილისი) **16.45** "ეტალონი" **17.00, 19.00, 04.35** ქრონიკა **17.20** "პოლიციის აკადემია" **17.50** "არტ-ბულვარი" **18.30** "ვაკაჭი-ნიუსი" **19.30** ქართული მხ. ფილმი **"დათა თუთაშხია"** მე-3ს. **21.00** დროება **22.55** ვ. სანეევის საიუბილეო საღამო **23.50** მხ. ფილმი **"ალი"** (12) (უილ სმიტი) **03.00** მხ. ფილმი **"მოულოდნელი ჯოჯოხეთი"** (18) (ტ. ბერენჯერი) **04.45** იმედის მელოდიები

**08.30** საინფორმაციო კოლაჟი **09.00** მუსიკა **09.30** ანიმაც. სერიალი "იასამნის ციხესიმაგრე" **10.00** მულტფილმი "ახალი ბრემენელები" **11.00** სერიალი "დაკარგული ქვეყანა" **12.00** "ფოკუსის ისტორია" **12.30** ტელეჟურნალი "მოდა" **13.00** მხ. ფილმი **"მის ფეირვერკი"** (U) **14.40** ციტკი "აკრობატები" **15.30** სერ. **"სენიორ ვიანელო"** **16.00** სერიალი **"პოლიციელი ქალები"** **16.50** მხ. ფილმი **"აფიორა"** (U) **18.20** "ჰოლივუდი დღეს" **19.00** **ფეხბურთი**. **19.55** "მზერა" **21.00** მხ. ფილმი **"აჯობე ეშმაკს"** (U) (ჯ. ლოლობრიჯიდა) **22.30** საინფორმაციო კოლაჟი **23.00** მხ. ფ. **"უდაბნოს მთვარე"** (15) (ენ არჩერი) **00.30** მუსიკა მზეზე

**კავკასია**

**10.00** "ტვ-შოპი" **11.00, 14.00, 02.00** Style-TV **12.45** მხ. ფილმი **"ქალი პტეროდაქტილი ბევერლი ჰილზიდან"** (U) **17.00** ვარსკვლავები გვამცნობენ **20.00** ინდ. მხ. ფილმი **"მშობლიური სისხლი"** (U) **23.00** ჯაზ-პარნასი **00.45** მხ. ფ. **"თვალი 2"** (18)

## თეატრები

**ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი**

30 ოქტომბერი — ფელიქს მენდელსონის „ზაფხულის ღამის სიზმარი". თრეი მაკინტაერის ქორეოგრაფიული დადგმა

ლეონიდ ბერნსტაინის „ლეა". დამდგმელი ქორეოგრაფი ალექსეი რატმანსკი

***დასაწყისი 15 საათზე***

**მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი**

29, 30 ოქტომბერი — ა. ჩეხოვის „ალუბლის ბაღი". რეჟისორი გიორგი მარგველაშვილი

***დასაწყისი 19 საათზე.***

**თეატრალური სარდაფი (ვაკეში)**

30 ოქტომბერი — რალფ კნიგის „Etcetera" რეჟისორი ლევან წულაძე

**თეატრალური სარდაფი (რუსთაველზე)**

29, 30 ოქტომბერი — ზურაბ ქიქოძის „მუ" რეჟისორი ზურაბ ქიქოძე

***დასაწყისი 19 საათზე.***

**კინოთეატრი „რუსთაველი"**

29, 30 ოქტომბერი — „ზოროს ლეგენდა", „რევოლვერი", „რეზერვისტი ჩიტები" დიდი და მცირე დარბაზები

***დასაწყისი 11.30, 14.00, 15.30, 22.00.***

2005 წლის 18 ნოემბერს, დღის 2 საათზე ქ. თბილისში, ცაიშის ქ. №3-ში ტარდება სააქციო საზოგადოება „თბილრეკლამის" აქციონერთა კრება.

**დღის წესრიგი:**

სამეთვალყურეო საბჭოს არჩევნები,
სს-ის წესდების დამტკიცება.
ტელ: 23-70-60. მობ. 899 57-34-59. რევაზ მაზმანიშვილი

**სამეთვალყურეო საბჭო.**

## გარევაჭრობა

# „სტაიანშჩიკები" უკანონოდ მუშაობენ?



**ქუჩაში შემთხვევით გაზეთების და ჯიხურის გამყიდველების (სადაც, ასევე ჟურნალ-გაზეთები იყიდება) ჩხუბს შევესწარი. ჯიხურის გამყიდველი მას ადგილის დატოვებას სთხოვდა იმ მიზეზით, რომ ქუჩაში ჯიხურის გარეშე მის გვერდით მდგომს ვაჭრობის უფლება არ ჰქონდა. თქვენ თუ გაქვთ ამის ნებართვა-მეთქი, ვკითხე.**

დიახ, მე ჯიხურში ვვაჭრობ და ქუჩის მოვაჭრედ არ ვითვლები, თანაც ჩემს უფროსს ყველა საბუთი წესრიგში აქვსო, — მიპასუხა. მეპატრონის ვინაობის გამხელა კი არ ისურვა — ერთ-ერთი სტამბის ხელმძღვანელიაო.

როგორც მეორე გამყიდველმა მითხრა, ის ამ ადგილას უკვე სამი წელია ჟურნალ-გაზეთებს ჰყიდის, ჯიხური კი ორი კვირაა, რაც მის გვერდით დადგეს და ახლა ადგილის დატოვებას სთხოვენ. მართალია, უკვე ერთი თვეა, რაც ლიცენზიების გაცემა შეწყვიტეს, მაგრამ კანონი გაზეთებით ვაჭრობას არ მიკრძალავსო.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მერიის ეკონომიკური პოლიტიკის სამმართველოს უფროსს **ზვიად არჩვაძეს** დავუკავშირდი და განმარტება ვთხოვე.

— დიახ, კანონი, რომელიც ზაფხულიდან შევიდა ძალაში, გარევაჭრობაზე ლიცენზიის გაცემას კრძალავს, შესაბამისად ამ საქმიანობაზე მოსაკრებლებიც იკრძალება.

რაც შეეხება ჟურნალ-გაზეთების გამყიდველებს, მათ გადასახადის გადახდა აღარ მოუწევთ, თუმცა არც მათთვის სასურველ ნებისმიერ ადგილზე აქვთ ვაჭრობის უფლება. ამისთვის ყველა გამგეობაში სპეციალური სქემა არსებობს.

**— ბატონო ზვიად, რამდენადაც ვიცი, ზაფხულიდან მოსაკრებლების აკრეფა მძღოლებისგან „სტაიანშჩიკებსაც" ეკრძალებათ, თუმცა, ისინი ამას დღემდე აგრძელებენ...**



— მე ამის შესახებ არ ვიცი, ეს უკვე დანაშაულია და ასეთი პიროვნებები კანონით უნდა დაისაჯონ. ადრე „სტაიანშჩიკებს" გამგეობები ნიშნავდნენ, კონტროლიც მათ ევალებოდათ. თუ ეს ისევ გრძელდება, მაშინ პოლიციამ შესაბამისი ღონისძიებები უნდა განახორციელოს.

როგორც ჩანს, ყოფილმა „სტაიანშჩიკებმა" და მათმა „პატრონებმა" (ისინი თვითნებურად გადასახადის აკრეფვას ვერ გაბედავენ) ახალი კანონის მოქმედება ბოლომდე ვერ შეიგნეს, ანუ უბრალოდ, „სოლიდურ შემოსავალს" ვერ ელევიან.

რაც შეეხებათ ჟურნალ-გაზეთების გამყიდველებს, მათ ამ საქმიანობის გასაგრძელებლად სხვა გზა არ დარჩენიათ, ადგილობრივ გამგეობებს უნდა მიმართონ და იმ ადგილების სქემა აითვისონ, სადაც ეს საქმიანობა ნებადართულია.

**ლელა მანაველიშვილი**

**სურათებზე: „... ახალი ამბების დასტა"; თუმცა სპეცფორმა არ აცვია, „სტაიანშჩიკი" მაინც „ფორმაშია".**

**ჯემალ კასრაძის ფოტო**

## ჯანმრთელობა

# პროდუქტებისა და წამლების ყველაზე საშიში შეთავსებები

| პროდუქტები | წამლები |
| --- | --- |
| რძე და რძის პროდუქტები  | ამცირებს ისეთი ანტიბიოტიკების შეწოვას, როგორიცაა ტეტრაციკლინები (მეტაციკლინი, დოქსიციკლინი და ა. შ.) და ქინოდონები (ციპროფლოქსაცინი, ლევოფლაქსაცინი, ლომეფლოქსაცინი და ა. შ.), ასევე მოქმედებს ისინი რკინის პრეპარატებსა და სოკოს საწინააღმდეგო ფლუკონაზოლზე. ანტიდეპრესანტების უმეტესობასთან შეთავსებისას იწვევს ჰიპერტონიულ კრიზებს. |
| ყავა (ზოგჯერ კი ჩაი და კოფეინის შემცველი გაზიანი სასმელები — კოლები)   | აძლიერებს ტეოფილინის (ბრონქების გაგანიერება) და ინსულინის ზემოქმედებას, იწვევს მათი დოზირების გადამეტებას ნორმალური დოზების დროს. ასუსტებს პენიცილინის რიგის ანტიბიოტიკებისა და ერითრომიცინის მოქმედებას, ხელს უშლის პრეპარატებიდან რკინის შეთვისებას. ასუსტებს ჰალოპერიდოლისა და სხვა ანტიფსიქოტური საშუალებების ეფექტს. |
| მჟავე ხილი ან წვენები, გაზიანი სასმელები, ღვინო და სიროფები, მარინადები, ძმრიანი კერძები | ასუსტებს პენიცილინის რიგის ყველაზე პოპულარული ანტიბიოტიკებისა და ერითრომიცინის მოქმედებას. |
| რძე, რძის ნაწარმი, ხაჭო, ყველი, ავოკადო, ბანანი, პარკოსნები, ღვინო, ხიზილალა, შოკოლადი, ყავა, თევზი, ღვიძლი, ქიშმიში, წითელი ქლიავი, სალიამი, ძეხვეული, კონსერვები, სოიას ნაწარმი, ისპანახი, პომიდორი, საფუარის ექსტრაქტები. | ბევრ ანტიდეპრესანტთან და პოპულარულ წყლულის საწინააღმდეგო პრეპარატ ციმეტიდინთან შეთავსებისას შეუძლია მძიმე ჰიპერტონიული კრიზები გამოიწვიოს. |

**გვემრავლოს!**

# ოჯახი უნდა ენდოს სამშობიარო სახლს

**საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს დედათა და ბავშვთა სამედიცინო დემოგრაფიის სამსახურის სამმართველოს უფროსმა ვერიკო ბაზიერმა გვითხრა, რომ საქართველოში 6 თვის განმავლობაში 22017 ქალმა იმშობიარა. წინა წლებთან შედარებით მატება იგრძნობა, განსაკუთრებით ტყუპების სიმრავლეა. ყველაზე მეტი ჩვილბავშვიანობაა თბილისში, შემდეგ — ქუთაისსა და ბათუმში.** ამ ქალაქებში ქალები მოსამშობიარებლად რაიონებიდანაც ჩამოჰყავთ ხოლმე. ხოლო სამინისტროს სამედიცინო დაავადებათა კონტროლის და სტატისტიკის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილემ მანანა ცინცაძემ დამატებით გვაცნობა, რომ თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში არ არის ურიგო მდგომარეობა, მაგრამ მისახედია რაიონების სამშობიარო სახლები, რათა მოსამშობიარებლად ქალების ლტოლვა დიდი ქალაქებისკენ ნაკლები იყოს.



საერთოდ კი დემოგრაფიის საკითხს მეტი ყურადღება სჭირდება... თუ თბილისში 1341 ბავშვი დაიბადა (სამშობიარო სახლებიდან მოწოდებული ცნობებია, აქ არ შედის შინ მომშობიარებულთა რიცხვი), ამ დროს ქობულეთში — 8 პატარა დაიბადა, ყვარელში — 13, ტყიბულში — 6, ხარაგაულში — 5, აბაშაში — 11, ხონში — 12, ხობში — 9, ადიგენში — 4, ასპინძაში — 11, ახალგორში — 3, დუშეთში — 9, თიანეთში — 4, ლენტეხში — 5, ცაგერში — 4, სამაჩაბლოში — 2, ხოლო ონში, ყაზბეგსა და მესტიაში — თითოთითო...

ოჯახი უნდა ენდოს სამშობიარო სახლს!

**ნათელა ფაილოძე**

**ჩვენი ტელეფონები: 93-34-04; 99-73-24.**



გარდაიცვალა აკადემიკოსი გიორგი ციციშვილი, ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, მრავალი სამეცნიერო მონოგრაფიის და შრომის ავტორი. წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტს. არჩეული იყო მწერალთა კავშირის მდივნად. ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. არის უცხოეთის მრავალი უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი. იაპონიაში დააარსა ქართული კულტურის ცენტრი.

ბატონი გიორგი მეორე მსოფლიო ომში მონაწილეობდა და დაჯილდოებულია მრავალი საბრძოლო ორდენითა და მედლით. ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო დეპარტამენტის დამაარსებელი და თავმჯდომარე ნაყოფიერ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა. საქართველოს კულტურის ფონდის დაარსების დღიდან ბატონი გიორგი იყო ყველა ჩვენი წამოწყების აქტიური მონაწილე და მხარდამჭერი.

საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი გულისტკივილით იუწყება ღირსეული პიროვნების, ჭეშმარიტი მამულიშვილის გარდაცვალებას და თანაუგრძნობს ოჯახს.

**მერაბ ბერძენიშვილი**

## გახსენება

### სერგო ყურაშვილი

ჩემო სერგო, ამბობენ, დრო ყველაფრის მკურნალიაო, მაგრამ რატომ მე ვერ მიმკურნალა დრომ, რომ ცოტათი მაინც შემიმსუბუქდეს შენი არყოფნა ამ ქვეყნად. შენი დაბადების და ამ წუთისოფლიდან წასვლის ორი დაუვიწყარი თარიღი შენი მეგობრებისა და ახლობლების შენს საფლავთან შეხვედრის აუცილებელ მიზეზად იქცა. შენ ყველას ახსოვხარ, ჩემო უერთგულესო ძმაო, შენი უსაყვარლესი და უახლოესი ადამიანების მიერ გამოცემული ადრე წასული კაცის განვლილი ცხოვრების ამსახველი მოგონებები უდიდესი საჩუქარია როგორც ჩვენთვის, ასევე შენი შვილიშვილებისთვის, რომლებმაც არ იციან, ვინ იყო მათი ბაბუა — ერთი თბილისელი, თბილი და ბავშვივით გულუბრყვილო ადამიანი.

სანამ ხსოვნა ცოცხლობს, ადამიანიც ცოცხალიაო, ამბობენ, ხსოვნა სინდისივით არის და სიკვდილზე ძლიერია. ბოლოს ხომ მაინც ვიქნებით ერთად, რამეთუ ყველას დასასრული მარადისობაა.

**შენი და ლეილა ყურაშვილი-ჩქარეული.**

### სერგო ყურაშვილი



31 ოქტომბერს დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდებოდა ცნობილ ქართველ პოლიტოლოგსა და საზოგადო მოღვაწეს სერგო ყურაშვილს, რომელიც ხუთზე მეტი წლის წინათ წავიდა ამ ცოდვით სავსე წუთისოფლიდან, 65 წელს ვერმიღწეული.

სერგო ყურაშვილი ქვეყნად მხოლოდ პატიოსნებისა და ღირსების გზებით დადიოდა. უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ლექტორად ინსტიტუტში, ახალგაზრდულ ორგანიზაციებში, სახალხო კონტროლის კომიტეტში, ცხოვრების 25 წელი კი საქართველოს საზოგადოება „ცოდნაში" გაატარა, სადაც განვლო გზა თბილისის საქალაქო ორგანიზაციის რეფერენტობიდან გამგეობის თავმჯდომარის პირველ მოადგილემდე.

ამავე დროს შემოქმედებით-სამეცნიერო ხაზით სერგო ყურაშვილი იყო საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის წევრი, პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი, პოლიტოლოგიის პირველი სახელმძღვანელოების ავტორი აკადემიკოსებთან დავით გეგეშიძესა და ვლადიმერ ჭანუყვაძესთან ერთად.

სერგო ყურაშვილი იყო არაჩვეულებრივი პიროვნება, ოჯახის, ახლობლების, მეგობრების, ქვეყნის უსაზღვროდ მოყვარული, ერთგული და უღალატო, ყველას მხარში მდგომი და დამხმარე, ჭირისა და ლხინის გულით გამზიარებელი, თბილი, კეთილი, უშუალო, კაცთმოყვარე, მიმფერებელი, დიდსულოვანი და მიმტევებელი. უაღრესად განათლებულმა პიროვნებამ სამსახურში თავდაუზოგავი მუშაობა იცოდა, სულ ეძებდა და აგნებდა. ამავე დროს კარჩაკეტილობას ვერ იტანდა, ქართული სუფრა და ტრადიციებიც ძალიან უყვარდა, აქაც არავის ჩამორჩებოდა.

მისი წმინდა ხსოვნა ერთი დღითაც არ შეწყვეტილა, პატიოსანი, კეთილშობილი კაცის შინაარსიანი ცხოვრებით კვლავაც განახორციელა სახარების ცნება — „სახელი მისი ჰგიებს უკუნეთი უკუნისამდე". ამის თუნდაც ერთი დადასტურებაა საზოგადოება „ცოდნის" მიერ ამ დღეებში გამოცემული მისი მეტად საინტერესო „პეტერბურგული დღიურების" წიგნი, რამაც კიდევ ერთხელ გააცოცხლა ადრე წასული კაცის სახელი.

წლების სიმძიმის მიუხედავად სერგო ყურაშვილის წმინდა ხსოვნას დავიწყება არ უწერია.

**საქართველოს საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირის გამგეობა, პრეზიდიუმი, თანამშრომლები და ლექტორები.**

**ცოტაც გავიცინოთ...**

**რატომ** არის, რომ თუ დასავლეთში რესტორანსა თუ ოფისში ავტომატიან-ნიღბიანი ხალხი შეიჭრა, — ეს ძარცვაა, ჩვენთან კი — „სპეცნაზი"?

* * *

**ქორწინებიდან** ორი თვის შემდეგ ცოლი ქმარს ეუბნება:

— ძვირფასო, შენთვის სიურპრიზი მაქვს: მალე სამნი ვიქნებით.

— როგორ, ასე მალე?

— ჰო, მომავალ კვირას დედაჩემი გვეწვევა!

* * *

**მაგიდაზე** ამძვრალი მიხო ნათურას ცვლის.



— გაზეთი მაინც დაგეფინა, კაცო, — ეუბნება მარო.

— რაში მჭირდება, ისედაც ვწვდები.

* * *

**ჩვენში** სინათლე მუდამ გვირაბის ბოლოსაა, არადა, კარგი იქნებოდა, შიგნითაც ყოფილიყო.

* * *

— **ძვირფასო**, რას იტყოდი, შენს საუკეთესო მეგობართან რომ გამეთია ღამე? — ეკითხება ცოლი ქმარს.

— მართალი გითხრა, არ მეგონა, ლესბოსელი თუ იყავი...

**გაზეთის დღევანდელი ნომერი 24-გვერდიანია.**

**მორიგი ნომერი გამოვა სამშაბათს, 1 ნოემბერს.**

საქართველოს ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს დიდი სამამულო ომის მონაწილის, გადამდგარი პოლკოვნიკის, საქართველოს ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, მწერლისა და საზოგადო მოღვაწის

გიორგი შალვას ძე ციციშვილის

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა თბილისის საქალაქო და რაიონული საბჭოები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარე, მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, გადამდგარი პოლკოვნიკი

გიორგი შალვას ძე ციციშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

ომის, სამხედრო ძალების ვეტერანები გურამ გვეტაძე, რევაზ ასათიანი, გიორგი ხაზარაძე, გიორგი მახარაძე, იაკობ ზაუტაშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან ცნობილი მწერლის, საზოგადო მოღვაწის, ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარის

გიორგი ციციშვილის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს ოჯახს.

---

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი, ენისა და ლიტერატურის განყოფილება ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, მწერალი, საზოგადო მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მრჩეველი, სამამულო ომის ვეტერანი, სამთავრობო ჯილდოებისა და პრემიების მფლობელი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

გიორგი ციციშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.



შვილი ალინა გოცირიძე, რძალი დოდო გოგიჩაიშვილი, სიძეები თამაზ ნიკოლაიშვილი, ოლეგ თუთბერიძე, დისწული ნანა ჯიბლაშვილი, ნაზი გაჩეჩილაძე, შვილიშვილები ჭაბუკა, ნინა გოცირიძეები, გოგი, მაკო, ირაკლი ნიკოლაიშვილები, გიგა, რუსო თუთბერიძეები, თამუნა იმნაიშვილი ოჯახებით იუწყებიან

მარიამ ვარლამიშვილი-გოცირიძის

გარდაცვალებას.

პანაშვიდი 30, 31 IX, 17 სთ. დაკრძალვა 1 XI, 14 სთ. ბუხაიძის I შესახ. №7.

---

შვილები კახა, ლაშა, შვილიშვილები შოთიკო, მაია, თორნიკე ძიძიგურები, რძლები თინათინ ლეკიშვილი, გვანცა ჩხენკელი, ეთერ ჩიქვინიძე, ირინე ჟღენტი ოჯახით, ძმისწულები ზაზა, მაკა ბოკერიები ოჯახებით, მძახლები თამაზ ჩხენკელი, ლილი გოგუა, ქეთი ჟვანია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

რუსუდან პეტრეს ასული ბოკერია — ძიძიგური

პანაშვიდი 30, 31 X, 17 სთ., ყიფშიძის ქ. № 6, I სად. IV სართ. დაკრძალვა დიდუბის პანთეონში. გამოსვენება 1 XI, 14 სთ., დიდუბის ეკლესიიდან.

---

ქ. თბილისის სახ. სამედიცინო უნივერსიტეტის მეანობა-გინეკოლოგიის კათედრისა და შპს № 5 სამშობიარო სახლის თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ქალბატონ რეინა ცომაიას მეუღლის

არჩილ მამფორიას

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

შპს „გეო-ტეკის", სნსკ „სამშენებლო კომპანიისა" და შპს „იბერიის" თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოხატავენ

კოკა კვანჭახაძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

---

რეზო ნაჭყებია, პეტრე ბერაია და იური წოწერია სამძიმარს უცხადებენ ბატონ ვალერი ჭანტურიას

დედის

გარდაცვალების გამო.

## განცხადება

**„ხაშურის საფეიქრო-საგალანტერიო ფაბრიკა, სააქციო საზოგადოება „გორგოტას" სამეთვალყურეო საბჭო აცნობებს აქციონერებს, რომ მიმდინარე წლის 21 ნოემბერს, დღის 12 საათზე, საზოგადოების იურიდიულ მისამართზე: ხაშური, სტალინის 2 ა, გაიმართება აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრება შემდეგი დღის წესრიგით:**

1. სააქციო საზოგადოების რეორგანიზაციის საკითხის განხილვა:

ა) სააქციო საზოგადოების ქონების აღწერის შედეგების დამტკიცება.

ბ) „გორგოტა-ენერგოს" ცალკე იურიდიულ პირად გამოყოფის შესახებ.

გ) სააქციო საზოგადოების ქონების ნატურით გაყოფის შესახებ.

დ) სააქციო საზოგადოების რეორგანიზაციის შესახებ საკონსულტაციო ჯგუფის მიერ მომზადებული ვარიანტების განხილვა.

კრების სააღრიცხვო დღედ დადგენილია 29 ოქტომბერი.

აქციონერებს კრებაში თავისი მონაწილეობის უფლება შეუძლიათ შეამოწმონ „კავკასრეესტრში", ან სააქციო საზოგადოებაში პირადობის დამადასტურებელი საბუთის წარდგენით კრების ჩატარებამდე 10 დღის განმავლობაში".

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა კოლორის" სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" თანამშრომლები
გამომცემელი — შპს „თანადგომა-1"
დირექტორი თენგიზ კალანდაძე.

მთავარი რედაქტორი რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი ოთარ ტურაბელიძე.

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე აიწყონ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.